



178 /
1991/3

სამართალი

პრაქტიკა • მეცნიერება • პუბლიცისტიკა

1991'2

მთავარი რედაქტორი
თევდორე ნინია

სარედაქციო კოლეგია:

- ვაჟა აბაქელია,
- ანზო არსენაშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
- გელა გერქანიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე),
- ოთარ გამყრელიძე,
- როლანდ გილიგაშვილი,
- ავთანდილ დემეტრაშვილი,
- მინეილ ქველია,
- ფეია ლეკვიშვილი,
- ალექსანდრე ტალიაშვილი,
- რუსუდან პიტავა,
- ჯონი ჯალალანია.

ტექნიკური რედაქტორი
გულნარა გონიკაშვილი

სარედაქციო საბჭო:

ვასტანგ აბაშვილი, ლევან ალექსიძე, ევთიხი ბენდელიანი, გივი იწყვირავილი, ოთარ ქაციტაძე, თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ლორია, გიორგი ნადარეიშვილი, ნოდარ ნეზირიძე, ვასტანგ რაზმაძე, ზურაბ რატიანი, გიორგი ტყეშელაძე, მინდია უგრეხელიძე, აპოლონ ტალიაშვილი, იაკობ შუტაძე, თამაზ შავჭავჭავაძე, ალექსანდრე შუშანაშვილი, ირაკლი ჩიქოვანი, დილარ ხაბუღიაძე, ჯონი ხატურანი, სერგო ჯორჯანიძე.



სამართალი

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

გამოდს 1928 წლიდან

№2 1991
თებერვალი

ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი

ვაჟკელავთ დისკუსიას ლადო ჭანტუაძე — ერის სამართლებრივი სინდისის წყარო	2
სამართალი და მკურნალობა თენგიზ ლილუაშვილი — საქართველოს ეკონომიკის განვითარების სამართლებრივი უზრუნველყოფა	11
ადგილობრივი თვითმმართველობა კონცეფტია კანონისა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ	17
იპსოზ ფუტკარაძე — ადგილობრივი თვითმმართველობის ტერმინოლოგიური საკითხები	27
პრაქტიკა მონადილ კობახიძე — ნივთმტკიცების ბედი და ზარალის ანაზღაურება ამნისტის შეფარდების დროს	31
დოკუმენტები დაპატიმრებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები	36
სიანაშვილი კანონმდებლობაში კანონი საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუსის შესახებ	61
უცხოური იურიდიული პრესა ალექსანდრე ბლანკენაზილი — სამართლებრივი სახელმწიფოს ცნებისათვის	69

ლადო ხანტუკია

ერის საპარტლუბრივი სინდისის წყარო


„როგორ უნდა გავსწორდეთ, თუ ჩვენი სიმრუდე არ გვეცოდინება? ნეტავი ორიოდ კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთნაირად აღწეროს და დაგვანახოს!... აბა, ის იქნება ნამდვილი საქებარი მამულის მოყვარე და არა ის, ვინც მეტისმეტად დამყავებულ სიყვარულისა გამო, ანგელოზივით ასახელებს საქართველოსა. ბოროტების ღვიარება ნახევარი გასწორებაა“. ილია ჭავჭავაძის ეს სიტყვები თითქოს დღევანდელ საქართველოშია დაწერილი. უსაშველოდ მომრავლდა შვილების უკიდევანოდ მაქებარი მშობლებისა და საქართველოს „დამყავებული სიყვარულით“ მეხოტბეების რიცხვი. მაგრამ, საუბედუროდ, არც ერთია ხეირის მომტანი და არც მეორე. „მართალს ვიტყვი“ დღეს უფრო გვჭირდება ვიდრე ერთმანეთის ქება-დიდება. ადამიანური ურთიერთობების ძირითადი საზომი, სამწუხაროდ, უმაღლესის დიპლომი ხდება. ამიტომ მე სრულიად მესმის მწერლის გულისტკივილი, რომ „მხოლოდ საქართველოში შეიძლება შექმნილიყო ფილმი „უდიპლომო სასიძო“, რომ „საქართველოში თითქმის აღარაინ დარჩა უდიპლომო“¹...

ამ რიგის ბოროტებებს ეძღვნება პროფესორ გიორგი ტყეშელიაძის „წერილი რედაქციას“². იგი ჩვენი ცხოვრების უაღრესად მნიშვნელოვან პრობლემას შეეხება და ქართველი კაცის სინამდვილის ბევრ სატკივარზე დაგვაფიქრებს. საქართველოში ფრიად მომრავლდა იურისტის დიპლომის მქონე ადამიანთა რაოდენობა. სწორედ დიპლომის მქონეთა და არა იურისტთა, ვინაიდან ვშიშობ, ბევრ მათგანს იურისტი ვუწოდო. ასევე კატასტროფულად გაიზარდა იურისტის დიპლომის მსურველთა რიცხვიც.

თავისთავად ბევრი იურისტი არ შეიძლება ცალსახად შეფასდეს როგორც დადებითი ან როგორც უარყოფითი მოვლენა. იურისტი ყველა დროსა და ყველა საზოგადოებაში ერთობ საჭირო პიროვნებაა. ეს მით უფრო ითქმის მაღალგანვითარებულ სახელმწიფოებზე. ცნობილი მწერალი ირვინ შოუ რომანში „მდიდარი, ღარიბი“... ერთ-ერთი გმირის სახით ურჩევს ახლად კოლექტივთაგვრებულ ჯორდახს, რომ აირჩიოს სწორედ სამართლისმცოდნეობა, იურისტობა: „მტკიცე ხასიათითა და ჭკუით დაჯილდოებულ ახალგაზრდა კაცს იურის-

¹ ჯ. ღვინჯილია. ქართველი კაცის სინამდვილე, „ცისკარი“, 1990 წ., № 4, გვ. 128.

² სახელმწიფო და სამართალი, 1990 წ., № 10, გვ. 6.



პრუდენცია ძალაუფლებისაკენ და სიმდიდრისაკენ უკაფავს გზას. ამერიკა იურისტების ქვეყანაა. ზშირად კარგ იურისტს თავისი დამჭირავებელი კომპანია ხელში უჭირავს და თანდათანობით მისი ბატონ-პატრონიც ხდება. ჩვენ ბედობის ქაშს ვცხოვრობთ და, რაც დრო გადის, იგი უფრო და უფრო რთულდება. იურისტი, კარგი იურისტი — ერთადერთი საიმედო მეგზურია, რომელიც გვეხმარება ჩვენი სირთულეების წიად გზის გაკაფვაში და ამის საფასურად შესაბამის ანაზღაურებას იღებს. პოლიტიკაშიც კი... ნახე, რამდენ იურისტს უჭირავს სენატში სავარძელი. ზომ შეიძლება, შენც გაიკეთო ასეთი კარიერა? ღმერთია მოწამე, ქვეყნისათვის შენი ინტელექტისა და ხასიათის ადამიანის შრომით სარგებლობა უფრო სარფიანია, ვიდრე კაპიტალიზმის ბორცვზე ზოგიერთ ამ ჯამბაზ-ვიგინდარის რჩენა“³. ნაწარმოები მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ამერიკის ცხოვრებას ეხება და ასევე აღწერილია ის უდიდესი ლტოლვა იურიდიული განათლების მისაღებად, რასაც ომგამოვლილი ახალგაზრდობა ავლენდა.

2009

თუ ამერიკელ „მტკიცე ხასიათითა და ჭკუით დაჯილდოებულ ახალგაზრდებს“ მოუწოდებდნენ იურიდიული განათლებისკენ, თუ იურისტი ძნელბედობის ქაშს ერთადერთ საიმედო მეგზურად მიიჩნეოდა, თუ პოლიტიკაშიც უპირატესობა იურისტებს მიენიჭებოდა, საბჭოთა კავშირში და მათ შორის საქართველოში, იურისტობა კანონგარეშედ იყო გამოცნადებული.

ეს არცაა გასაკვირი. ყოველივე ამას ღრმა ფესვები გააჩნია, რომელზეც დღეს გაბატონებული სამართლებრივი ნიჰილიზმის, განუკითხაობისა და ტოტალური უსამართლობის ურჩხული აღმოცენდა. სამართალი საბჭოთა სახელმწიფოს ჩამოყალიბების პირველივე წლებიდან მხოლოდ გაბატონებული ან გასაბატონებელი კლასის ნების გამომხატველ და მოწინააღმდეგე ძალთა დასათრგუნავ საშუალებად აღიქმებოდა. ამ მიზნის მისაღწევად საკმარისი იყო მხოლოდ ნება (პროლეტარიატის ნება) და სახელმწიფო (ე. ი. „შეიარაღებულ ადამიანთა განსაკუთრებული რაზმები“ — ლენინი). „სამართალი, როგორც მეცნიერება სიკეთესა და სამართლიანობაზე“ (იუსტინიანეს დიგესტები), „სამართლის იდეა, რომელიც თავისუფლებაა“ (პეგელი), „შეიცვალა სამართლის იდეით, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელების იარაღია. თავისუფლების იდეა მარცხდება დამონების იდეით. საბჭოთა ხელისუფლების საბოლოოდ გამარჯვების შემდეგაც დამონების იდეას ვერ ელევა მმართველი ძალა. თავისუფლება არჩევანის შესაძლებლობაა. მაგრამ რონალდ რეიგანის სიტყვებით რომ ვთქვათ, „თავისუფლება უფრო მეტია, ვიდრე არჩევანი“. თავისუფლება — ესაა უფლება ეჭვქვეშ დააყენო და შეცვალო არსებული წესრიგი... ესაა უფლება ცხოვრებაში განახორციელო ოცნებანი, უფლება, ყური დაუგდო მხოლოდ საკუთარ სინდისს, მაშინაც კი, როცა შენ მარტო რჩები მრავალ დაეჭვებულს შორის. თავისუფლება — ესაა იმის აღიარება, რომ არც ერთ ადამიანს, არც ერთ დაწესებულებას ან მთავრობას არა აქვს სიმართლის მონოპოლია, რომ ყოველი ადამიანის ცხოვრებას გააჩნია უსასრულო ღირებულება, ესაა იმის აღიარება, რომ ამ ქვეყნად თითოეული ჩვენთაგანის არსებობა არაა უაზრობა, რომ თითოეულს შეუძლია რაღაც შესძინოს ამ ქვეყანას“⁴. მონობა — ყოველივე ამის

³ ირვინ ზოუ. „მდიდარი, ღარიბი...“ თბილისი, 1989 წ., გვ. 238-239.
⁴ Рейган Рональд. Откровенно говоря: Избранные речи, М., 1990, с. 352-353.

საქართველოს
სამ. მ. ბ. ლე

წართმევია. პირველს სჭირდება სამართალი, ამ შესაძლებლობათა დასაცავად, მეორეს — უხეში ძალა (ფიზიკურიც და გონებრივიც) ამ უფლებათა წაქეზებისაგან. ამ დროს სამართალი კარგავს თავის ბუნებრივ დანიშნულებას თავისუფლების უზრუნველყოფას — და იგი ხალხის მომთვინიერებელ უხეშ ძალად იქცევა. შესაბამისად, ზედმეტი ხდება იურისტი (სამართლებრივი პიროვნების იდეალი — ბ. კისტიაკოვსკი), როგორც თავისუფლების ქურუმი, უკვე სულ ერთია, ვინ განახორციელებს ფორმალურ სამართალს. ხელისუფლება ამას არც მალავს. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) XV ყრილობაზე ორგანიკის მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში იხილება იუსტიციის ორგანოების გარდაქმნის საკითხი. გამოდის ერთ-ერთი პასუხისმგებელი თანამშრომელი იანსონი. იგი აკრიტიკებს იურისტების საქმიანობას და დაუფარავად ამბობს, (ციტატას გასაგები მიზეზების გამო რესულ ენაზე მოვიყვან):

„იანსონი: „...Правда, товарищи, которые работают в органах юстиции, призваны к тому, чтобы защищать законность. Но иногда эта защита законности превращается в буквоедство. Иногда начинают рассуждать таким образом, что если нужно тебе помирать, то помирай по закону.

კრილენკო: Правильно!

იანსონი: Это никуда не годится. По-моему, совершенно безразлично, если человек помирает: по закону он это делает или без закона — результат одинаковый. Мы думаем, что наша законность должна быть построена так, чтобы она была связана непосредственно и в первую очередь с требованиями жизни (ხმა: „სწორია“ с жизненной целесообразностью (ტაში). ...Идет орабочивание судебного аппарата, не только судейского, но также прокурорского и следственного. Но здесь еще колоссальное поле деятельности, и я полагаю, что наибольших результатов мы достигнем в том случае, если мы органы юстиции построим по такому принципу, чтобы там было определенное количество людей с практическим смыслом и опытом, людей рабочего происхождения (ტაში)...


სოლცი: И поменьше юристов.

იანსონი: ...которые должны быть спаяны с нашими советскими юристами... А сейчас у нас имеется некоторый профессиональный юридический уклон, который не совсем полезен для дела советской юстиции, являющейся совершенно новой формой юстиции по сравнению с буржуазными⁴⁵.

ამავე ყრილობაზე კრილენკომ წარმოადგინა შემდეგი მონაცემები: სამაზრო პროკურორების 1176 თანაშემწიდან იურიდიული განათლება ჰქონდა მხოლოდ 124-ს... (sic).

პროფესიონალი იურისტი სალანძღავი ხდება. სამართალდამცავ ორგანოებში მათ ნაცვლად მუშები და გლეხებია. ამ ორგანოების ავტორიტეტი, პრეს-

⁴⁵ XV съезд Всесоюзной коммунистической партии (большевиков): Стенографический отчет. М.-Л., 1928, с. 475—476.



ტივი და როლი უკიდურესდ ეცემა. მათ ეკისრებათ უპირატესად რეპრესიული ფუნქცია. ამას ემატება უსამანო კორუფცია, მექრთამეობა, გამოძალვა. სემარტალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის ნაცვლად სამართალდაცვის ორგანოები თავად ხდებიან უპირველესი სამართალდამრღვევები... საზოგადოებრივ ცნობიერებაში იურისტი აღიქმება როგორც მექრთამე, გამოძალველი, უსამართლობის მთესველი და ა. შ.

ამიტომაა დასაფიქრებელი სწორედ ასეთ ვითარებაში უსაზღვრო ლტოლვა იურიდიული ფაკულტეტებისაკენ. რა აინტერესებთ მათ? იურიდიული განათლების მიღება თუ იურისტის დიპლომი? საუბედუროდ, ეს სხვადასხვა რამეა და ერთი მეორეს არ შეესაბამება. იურისტის დიპლომიანი ძალზე ბევრია, ხოლო იურიდიული განათლების მქონე ძალიან მცირე.

სწრაფვა (თუნდაც მასობრივი) იურიდიული განათლების მისაღებად შესაქებია და წასახალისებელიც, ოღონდ განსაზღვრულ ფარგლებში. მით უმეტეს, რომ დღეს დიპლომიანი იურისტების რაოდენობის არნახულად ზრდის პირობებში, ასევე არანაკლებად იზრდება მათი დეფიციტიც, განსაკუთრებით ცივილური დარგების სპეციალისტებისა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ზოგი კურსის სტუდენტებთან მცირე ექსპერიმენტი ჩავატარე. მათი უმეტესობა დაწყებითი კურსების სტუდენტობა იყო. მე შევთავაზე, რომ თუკი მათ ექნებოდათ დიპლომის მიღების სურვილი, მთელი სასწავლო პროგრამის გაუვლელად ახლავე შეეძლოთ მიეღოთ იგი. სტუდენტთა ერთი ნაწილი დაინტერესდა მართლა მოქმედებს თუ არა ასეთი წესი. სტუდენტთა ნაწილმა კი პირდაპირ მკითხა, თუ როგორ შეიძლებოდა დიპლომის მიღება. ვისთვის უნდა მიემართათ მათ...

ცხადზე უცხადესია, რომ ამ სტუდენტთა უმრავლესობას არავითარი იურიდიული განათლების დაუფლება არ აინტერესებს. მათი მიზანი იურისტის დიპლომის მიღებაა. თუ რისთვის, ესეც გასაგებია... ამიტომ აბარებს უმეტესობა იურიდიულ ფაკულტეტზე. იურისტის დიპლომი უფრო სარფიანია... ამ ფაკულტეტზე საბუთები შემოაქვს ისეთს, რომელმაც არ იცის, თუ რა საგნები ბარდება მისაღებ გამოცდებზე, ჩარიცხვას აპირებს ისეთიც, რომელმაც ანბანის ასოები ხეირიანად არ იცის და გადაბმული წერა რიგიანად არ ეწერხება, ისეთიც, რომელსაც საკუთარი სახელის და გვარის უშეცდომოდ დაწერა არ შეუძლია, ისეთიც, ვინც განცხადებაში თავის სქესს ვერ წერს, ისეთიც, ვისაც მხოლოდ ხმამაღლა კითხვა შეუძლია და ა. შ. ესეც არაა უბედურება... უბედურება ისაა, რომ ამათგან დიდი ნაწილი ირიცხება. მისაღებ გამოცდებზე კორუფციისა თუ პროტექციის წყალობით, რომელმაც ასევე საგანგაშო ფორმები და ხასიათი შეიძინა, იურისტის დიპლომებს ეუფლება ჯიბეგასქელებული მამებისა და ლოყებშესიებული შვილების არმია... ვინც თბილისის უნივერსიტეტში ვერ ახერხებს მოწყობას, მათ შვილები საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში მიჰყავთ „სასწავლებლად“. იქ ჩარიცხვა უფრო იაფი ჯდება. შემდგომ „ეროვნული ურთიერთობის გამწვავების“ საბაბით გადმოჰყავთ თბილისის უნივერსიტეტში. როგორც წესი, ამგვარად გადმოყვანილთა უმეტესობა ზემოთ ჩამოთვლილ თვისებებს შეესაბამება... ამ მოძრაობის შედეგად სტუდენტთა რაოდენობა კატასტროფულად იზრდება. იგი იმ ზღვარს აღწევს, რომლის

მართვა დღეს არსებულ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პირობებში პრაქტიკულად შეუძლებელია. იქმნება ყველა პირობა იმისათვის, რომ სტუდენტები იურისტებმა მინიმალური განათლება კი არ მიიღონ. მოვიხმობ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს: ამჟამად იურიდიული ფაკულტეტის პირველ კურსზე, სწავლების ყველა ფორმის ჩათვლით (მათ შორის ფასიანი), 1147 სტუდენტია (!). თუკი ადრე მოქმედი ნორმების მიხედვით ვიმსჯელებთ, მართო ამ წელს შესრულებულია იურისტთა მომზადების 6 წლის გეგმა. ფაკულტეტის ბიბლიოთეკას იმ სპეციალურ საგნებში, რომლებიც ამ სტუდენტებმა უნდა ჩააბარონ აქვს სახელმძღვანელოების ასეთი რაოდენობა: სახელმწიფოსა და სამართლის თეორიაში (რუსული სახელმძღვანელოების ჩათვლით) — 45 ცალი, სსრკ სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია — 51 ცალი, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია — 35 ცალი, სამართალდამცავი ორგანოები — 8 ცალი. ამაში შედის ყველა გამოცემა როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე. 1147 სტუდენტიდან ყველა საგანში სახელმძღვანელო შეიძლება შეხვდეს მაქსიმუმ 50 სტუდენტს. თუკი ჩავთვლით საჯარო ბიბლიოთეკის, მეცნიერებათა აკადემიისა და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკების შესაძლებლობებს, ეს რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს კიდევ ასით. საიდან უნდა ისწავლოს დანარჩენმა ათასამდე სტუდენტმა? რითი უნდა მოამზადონ მათ ჩასაბარებელი საგნები? ე. ი. აპრიორულად ჩვენ ვუშვებთ ათასამდე სტუდენტს ისე, რომ სახელმძღვანელოსაც კი ვერ წაიკითხვენ.

ასეთივე მდგომარეობაა მეორე კურსზეც. აქ 460 სტუდენტი. სახელმძღვანელოების რაოდენობა კი ყველა საგნის ჩათვლით — 80-მდეა. არც სხვა კურსებზეა საიმედოდ საქმე.

ფაკულტეტის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში, რომელიც უფრო ქოხსამკითხველოს ჰგავს, ვიდრე ბიბლიოთეკას, ექვსიოდე მაგიდაა, სადაც სტუდენტს შეუძლია მეცადინეობა. ან როგორ უნდა ჩაატაროს პრაქტიკული მეცადინეობები კრიმინალისტიკის ლაბორატორიამ, რომელშიც ოცამდე სტუდენტი თუ დაეტევა, ზოლო პრაქტიკული სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობა თითო-ოროლას თუ აქვს.

სტუდენტთა ამ მოზღვაებას არ შეესაბამება პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობა. ამიტომ ხშირად ერთიანდება ჯგუფები. ასეთ ჯგუფებში კი, რომლებშიც ზოგჯერ სამოცამდე სტუდენტი, სემინარული მეცადინეობის ჩატარება პრაქტიკულად შეუძლებელია.

...დაუსრულებლად შეიძლება ამ მიზეზების ჩამოთვლა. მოკლედ რომ ვთქვათ, დიდი სურვილის მიუხედავად კი, იურიდიულ ფაკულტეტზე ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ სტუდენტებმა ვერ მიიღონ შესაბამისი სწავლა-განათლება.

ძალაუნებურად მახსენდება სიტყვები ოთარ ჭილაძის რომანიდან „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“: „განა ტალღებმა იციან, რომელ ნაპირს შეასკდებიან, ქვიანსა თუ სილიანს? მაგრამ მაინც ერთი სული აქვთ, როდის მიაღწევენ ნაპირამდე, რათა დაიმსხვრნენ, დაიფუშონ და განადგურდნენ იმ ერთწამიანი შეხების გულისთვის, რისთვისაც საერთოდ გაჩენილან, სადღაც ბნელსა და გათო-შილ წიაღში“.

განა მოშიმშილე და მოპიკეტე აბიტურიენტებმა და მათმა მშობლებმა იცი-



ან, თუ რამდენ გადაულახავ სიძნელეს აწყდება ფაკულტეტი მათი გაუმართლებელი მოთხოვნების დაკმაყოფილებით? მაგრამ მაინც ერთი სული აქვთ, დაელოდონ თავისი თითქმის ველურობამდე მისული უინი — როგორმე ჩარიცხონ თავისი შვილები...

იურიდიულ ფაკულტეტზე ჩარიცხვის მსურველთა დიდ მოზღვავებას, რა თქმა უნდა, უაღრესად დადებითი მხარეებიც გააჩნია: ფართო არჩევანის პირობებში, თუკი არჩევანი რაციონალური და სამართლიანია, ბევრი საუკეთესო სტუდენტის აღმოჩენა შეიძლება. მაგრამ ჯერ ერთი, მისაღები გამოცდების გაუქმდებარებული და დრომოჭმული წესების მეშვეობით საკმაოდ ბევრი უღირსი აღმოჩნდება ხოლმე ახალ სასწავლო წელს სტუდენტის ამბლუაში. მეორე, უკვე ხსენებული მიზეზების გამო ამ უკეთესი სტუდენტებისათვისაც სათანადო ყურადღებისა და მზრუნველობის გამოჩენა ჭირს. ამიტომ იმედი უცრუვდებათ მართლა სასწავლებლად მოსულებს და მათი დიდი ნაწილიც „ხელჩაქნეულთა“ რიგებს უერთდება...

ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა დღემდე შეიძლება ორი სიტყვით ასე შეფასდეს: სახელმწიფოს ანუ უფრო სწორედ, მმართველ პარტიულ თუ სამეურნეო ბიუროკრატიას არ სჭირდებოდა კვალიფიციური იურისტი, მას უფრო იურისტის დიპლომიანი ხელზე მოსამსახურე ესაჭიროებოდა... დღეს ვითარება სხვაგვარად იცვლება: იურისტი უფრო და უფრო საჭირო პიროვნება ხდება. ნორმალური ეკონომიკის პირობებში, როცა მოთხოვნილება გაიზრდება მცოდნეებზე და არა მხოლოდ დიპლომიანებზე, უეჭველია გაიზრდება მალაკვალიფიციური იურიდიული განათლების მიღების მსურველთა რაოდენობაც. ეს ასეცაა. მაგრამ იურიდიულ ფაკულტეტს დღეს პრაქტიკულად არ შეუძლია ყველა ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

უმადლესი განათლების და, კერძოდ, უმაღლესი იურიდიული განათლების კატასტროფული მდგომარეობა მხოლოდ ენერგიაჭარბი აბიტურიენტებისა და მათი მშობლების მოზღვავეების ბრალი რომ იყოს, ამას როგორმე ეშველებოდა. იგი უფრო საერთო-სახელმწიფოებრივი, საერთო-ეროვნული სიდუხჭირის ერთ-ერთი ნაწილთაგანია, სულ მთლად დაავადებული სხეულის ერთი ასოთაგანია, გაუქმდებარებული ცნობიერების გამოწვევით...

ხოლო უსამანო ლტოლვა იურიდიული ფაკულტეტებისაკენ ადამიანებში ხანგრძლივად დახშული უნარის გამოღვიძებისა და მისთვის თავისუფლების მიცემის დაუოკებელი მცდელობაა, საყოველთაო უსამართლობის მსწრაფლ გამოსწორების მიამიტური სურვილია, გაბატონებულ ოლიგარქიაზე შურისძიებისა და მასთან ჩუმი ანგარიშსწორებისკენ მისწრაფებაცაა. მაგრამ ამ თითქოს სასურველი მიზნის მიღწევა, სამუხუხაროდ, ვერ იქნება მათი ბედნიერების საწინდარი, ვინაიდან ლევან გოთუას დიდებული სიტყვები რომ მოვიშველიოთ „როცა ერში ვარამია, ყველას ბედში ვარამია“...

უნივერსიტეტი და კერძოდ, იურიდიული ფაკულტეტი სამრეწველო საწარმო ან საამქრო როდია. იგი საზოგადოების ვიტალურ მოთხოვნილებებს როდი აკმაყოფილებს. ფაკულტეტი შემოქმედებითი კოლექტივი უნდა იყოს და არა მხოლოდ იურისპრუდენციაში გარკვეული და განათლებული ადამიანების მექანიკური გაერთიანება. მისი მოღვაწეობა შემოქმედის საქმიანობა უფროა, ვიდრე მხოლოდ დაწესებულებისა, მისი მიზანი გა-

ცილებით უფრო დიდია, ვიდრე კადრების მომზადება... ერის წინაშე ამ საღვთო მისიის შესრულება დღევანდელ პირობებში განწირულია დასაღუპად.

ამას ხელს უწყობს ქართული იურადიული მეცნიერების დღევანდელი დონე. სამართალმა გარკვეულ წილად მეცნიერულობის პრეტენზია დაკარგა. უმთავრესად იგი პარტიული ვაკხანალიის მეხოტბედ იქცა... მართალია ს. ს. ალექსევი, როცა წერს, რომ „თანამედროვე იურადიული მეცნიერება მოწინავე მეცნიერული ცოდნის პერიფერიაში იმყოფება“⁶. სამართლის მეცნიერება გაქცენებული ცხენიდან ჩამოვარდნილ იმ მხედარს დაემსგავსა, რომელიც ჯერ ვერ გარკვეულა, თუ რა მოუვიდა... სამართლის მეცნიერების ბევრი დარგი თითო-ოროლა მკვლევარის ანაბარა დარჩა. ამის გამო რეალური მოვლენები სათანადო შესწავლისა და ანალიზის გარეშე რჩება. ამას ემატება საქართველოში გაბატონებული უკიდურესი სამართლებრივი ნიჰილიზმი, კანონის უგულვებლყოფა, სპონტანური სამართალშემოქმედება და ა. შ.

ყოველივე ეს მცირედია იმ მრავალთაგან, რომელიც დღეს სიმსივნესავით გაჩნდა ქართული სამართლებრივი აზრის, იურადიული განათლების და პრაქტიკის დაჩივებულ სხეულზე.

რა უნდა გაკეთდეს, რა უნდა მოვიმოქმედოთ, რა ვილონოთ, რომ თავი დავაღწიოთ უსამანო და უსაზღვრო განუკითხაობას? რით ვუშველოთ ჩვენს დაღმართად მთვალ საქმეს.

ჯერ ერთი, იურადიული განათლების პრობლემები საერთო ეროვნული პრობლემის ნაწილია და მისი ცალკე განხილვა, მით უფრო გადაწყვეტა შეუძლებელია. სამართლებრივი კულტურა ყოველი ერის საერთო კულტურის ორგანული ნაწილთაგანია, ამიტომ დაბალი სამართლებრივი კულტურა დაბალი ზოგადი კულტურის მაჩვენებელიცაა. საზოგადოებრივი მართლშეგნება ეროვნული ცნობიერების სულისკვეთებითაა ნასაზრდოები, როგორც სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა არჩილ ჯორჯაძე, „ეს შემეცნება ძლიერი იყო ქართული სახელმწიფოს ძლიერების ხანაში, ზოლო სუსტი ამ სახელმწიფოს დასუსტების დროს“⁷. ამგვარად, სამართლებრივი ცნობიერება ქართული სახელმწიფოს ძლიერების უტყუარი საზომია. შესაბამისად, ქართული სახელმწიფოს აღორძინებისა და გაძლიერების კვალობაზე იზრდება და იხვეწება ეროვნული სამართლებრივი კულტურაც. ეს უეჭველი კანონზომიერებაა და ამას მსოფლიო ისტორიაც ადასტურებს: იმ ხალხებს, რომელთაც კაცობრიობას კლასიკური სამართალი შესძინეს, იმ დროს ძლიერი სახელმწიფოები ჰქონდათ. ასე იყო რომში იუსტინიანეს დროს, ასე იყო საფრანგეთში ნაპოლეონის დროს.

მეორე, ძლიერების გზაზე სახელმწიფოსა და საზოგადოების შემყენებელი ზელისუფლება უმეტესწილად საიმედო დასაყრდენს სწორედ სრულყოფილ სამართალში პოუვს. ამ მიზნით იგი შემოიკრებს სწავლულ და სახელგანთქმულ იურისტებს, მათ ხელსაყრელ პირობებს უქმნის მოღვაწეობისათვის. ამიტომაც არის რომ დიდ საკანონმდებლო საქმიანობას ემთხვევა ხოლმე ცნობილ იურისტთა ამობრწყინება.

⁶ Алексеев С. С. Несколько мыслей о нашей юридической науке. // Сов. государство и право. 1989, № 5, с. 76.

⁷ არჩილ ჯორჯაძე. სამშობლო და მამულიშვილობა, თსუ, 1990 წ., გვ. 35.

530 წლის 15 დეკემბერს იმპერატორ იუსტინიანეს ინციატივით ცნობილ რომაელ იურისტთაგან შეიქმნა კომისია, რომელსაც რომის მთელი კანონმდებლობის სისტემატიზაცია დაევალა. სამი წლის დაუღალავი შრომის შედეგად 529 წლის 16 დეკემბერს სენატს მოხსენდა მუშაობის დამთავრების შესახებ. მომზადებულ იქნა 50 წიგნისაგან შემდგარი მონუმენტური შრომა, რომელმაც მძივებივით აკინძა იურიდიული აზრისა და პრაქტიკის უდიდესი გამოცდილება: იუსტინიანეს დიგესტები Corpus Iuris Civilis-ის ყველაზე უფრო სრულყოფილი და მნიშვნელოვანი ნიწილია და კაცობრიობის მარადიულ საგანძურს შეიძლება მიეკუთვნოს. რომაელ იურისტთა ნაღვაწმა საუკუნეებს გაუძლო და მრავალი თანამედროვე სამართლებრივი სისტემის უშრეტე წყარო გახდა. სრულიად სამართლიანად თქვა გუსტავ რადბრუხმა, რომ „რომის სამართალი ეს არის იურიდიული გონის სუფთა ფორმების პირველი შეცნობა“.

1804 წლის 21 მარტს ნაპოლეონის უშუალო ხელმძღვანელობითა და მისი ენერგიული მონაწილეობით მიღებულ იქნა „ფრანგების სამოქალაქო კოდექსი“, რომელიც ასევე ცნობილი ფრანგი იურისტების შემოქმედების პირმშო გახდა და რომელსაც დაებედა მრავალი ქვეყნის სამოქალაქო სამართლის საფუძველი ყოფილიყო.

მესამე, იურიდიული განათლებისა და იურიდიული მეცნიერების საკითხი მხოლოდ განათლების და მხოლოდ მეცნიერების პრობლემა როდია. არც ერთი პროფესია ისე ახლოს, ისე ორგანულად არაა დაკავშირებული რეალურ ცხოვრებასთან, როგორც სამართალი, როგორც იურისტი. იგი ერთადერთია, ვისაც უფლება აქვს წაართვას ადამიანს თავისუფლება და ზოგჯერ სიცოცხლეც კი. ამიტომ ეს პრობლემა მხოლოდ უმაღლესი სასწავლებლების რანგში განსახილველი საკითხი არაა... მოკლედ რომ ითქვას, უმაღლესი იურიდიული კადრების მომზადებას განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ყურადღება და მზრუნველობა სჭირდება. კვლავ გ. რადბრუხს მივმართავ: „იურიდიულ ფაკულტეტებს მინდობილი აქვთ პასუხისმგებლობა სამართლებრივი ცოდნის გავრცელებაზე, ერის სამართლებრივ სინდისზე“.

საქართველოს უზენაესმა საბჭომ უნდა შეიმუშაოს საქართველოში იურიდიული განათლებისა და მეცნიერების განვითარების გრძელვადიანი პროგრამა, დასაბნოს კრიტიკული მდგომარეობიდან გამოსვლის გზები. მაგრამ ეს პროგრამა უნდა იყოს არა ისეთი, როგორც კომუნისტური დიქტატის დროს მუშავდებოდა ხოლმე და ათეულობით ადამიანის ბედი რომ მიჰყვებოდა თან. პროგრამას საფუძვლად უნდა დაედოს რეალიზმი, პროფესიონალიზმი და ეროვნული ინტერესების პრიმატი.

ამ მიზნით, ვფიქრობ, უნდა ჩატარდეს სპეციალური სემინარები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის ყველა იურიდიული სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლები. უნდა განისაზღვროს იურისტთა კადრების მომზადების რეალური შესაძლებლობები — რამდენად მიზანშეწონილია, რომ უმაღლესი განათლების იურისტებს დღეს საქართველოში ამზადებს 6 უმაღლესი სასწავლებელი. ეს მაშინ, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს, რომელიც ერთ-ერთ წამყვან იურიდიულ სასწავლებლად ითვლება საბჭოთა კავშირში, პრაქტიკულად უჭირს მაღალკვალიფიციური

კადრების მომზადება. და საერთოდ, საჭიროა კი ამდენი იურისტის დიპლომირება საქართველოში? ოპონენტები აქ, უეჭველია, შემომედავებიან, სხვა ქვეყნებში ხომ არ ზღუდავენ იურისტთა რაოდენობას? მთავარია მისცე იურიდიული განათლება და მორჩა... კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვებს შევახსენებ მათ: „დიდკაცები ხშირად წვრილმანებში პატარა კაცებს ემსგავსებიან, პატარანი კი ღიღებს წვრილმანებში ჰგვანან, მაგრამ, სამწუხაროდ, მსხვილმანებში ვერ უტოლდებიან“. ნუ დავემსგავსებით იმ პატარა კაცებს, რომლებიც წვრილმანებში ბაძავენ დიდკაცებს და თავს ინუგეშებენ „ჩვენც დიდკაცები ვართ“.

ამავე სემინარებზე განხილულ უნდა იქნეს იურიდიული განათლების ყველა საკითხი. უნდა ჩამოყალიბდეს უმაღლესი იურიდიული სწავლების სფეროში ჩაბმული პროფესორ-მასწავლებლების, მეცნიერ-მუშაკების ერთობლივი ნება. იგი საფუძველი უნდა გახდეს სახელმწიფოებრივი პროგრამის შემუშავებისათვის. ჩვენს სატივიარს ჩვენზე უკეთესად და სრულყოფილად ვერავინ განსაზღვრავს.

ალბათ, სიმბოლური და ამავე დროს სასიამოვნო დამთხვევაა, რომ ბატონ გიორგი ტყეშელიაძის წერილის გამოქვეყნებას წინ უსწრებდა გუსტავ რაღბრუხის მშვენიერი ნაშრომი „თქვენ, ახალგაზრდა იურისტებო“⁸ ჩემის აზრით, ყველა დროის იურისტისთვის სამაგიდო მნიშვნელობის ეს ნაშრომი ორიენტირი უნდა გახდეს იურისტთა ახალი თაობების აღზრდის საქმეში: „მომავალი იურისტი, უპირველეს ყოვლისა, კანონის ბრმად შემსრულებელი არ იქნება. ის მოგვევლინება კანონის შემოქმედებით შემსრულებლად და მოწოდებული იქნება კანონის თანახმად შეასრულოს თავის თანამოქალაქეთა სამართლებრივი დაცვის მისია... მომავლის იურისტის მოღვაწეობის თავისებურება გამოიხატება არა იმით, რომ მოსამართლეების მსგავსად ემსახურონ სამართალს, არამედ იმით, რომ სამართლის მეშვეობით ემსახურონ ხალხს“.

მაღალკვალიფიციური იურისტების მომზადება იურიდიული ფაკულტეტების საღვთო მოვალეობაა ქართველი ერის წინაშე.

⁸ სახელმწიფო და სამართალი. 1990 წ., № 9, გვ. 49.

თენგიზ ლილუაშვილი

საქართველოს ეკონომიკის განვითარების სამართლებრივი უზრუნველყოფა

1. სამართალი ამკვიდრებს, იურიდიულად სავალდებულო და საყოველთაო ხასიათს ანიჭებს იმ პრინციპებს, იდეებს თუ დებულებებს, რომლებიც გამიზნულია ეკონომიკაში და სოციალურ სფეროში დასახული გარდაქმნებისათვის. ცხადია, რომ ასეთ პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შესაფერისი სამართლებრივი ხერხების და საშუალებების გამოძებნას, რომლებმაც თავის მხრივ უნდა უზრუნველყონ შემუშავებული ღონისძიებების, იდეების, პრინციპების ცხოვრებაში გატარება, ადამიანების ქცევაზე მოტივაციური ზემოქმედება. სამართალი უაღრესად ეფექტიანი და მძლავრი სოციალური ინსტრუმენტია, რომელსაც წესრიგი და ორგანიზებულობა შეაქვს საზოგადოებრივ ურთიერთობაში, ხელს უწყობს ადამიანთა შემოქმედებითი ინიციატივის გაზიარებას, ზუსტად განსაზღვრულ ფარგლებში და ჩარჩოებში აყენებს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ფუნქციებსა და საქმიანობას, ამასთანავე, ეკონომიკურ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების დროს აღარ შეიძლება გავიმეოროთ ის შეცდომები და გადახვევები, რასაც ჰქონდა და, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ აქვს ადგილი ჩვენს ცხოვრებაში.

2. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარება გარდაამავალ პერიოდში ორიენტირებულია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის. მაგრამ საჭიროებს თუ არა საბაზრო ეკონომიკა რეგულირებას საერთოდ, და კერძოდ, სამართლებრივ რეგულირებას?

საბაზრო ეკონომიკას ჩვენში ხშირად უპირისპირებენ გეგმიან მეურნეობას, ეკონომიკის გეგმაზომიერ განვითარებას. ამავე დროს, აღიარებული იყო შეხედულება, რომ საბაზრო ეკონომიკა ემყარება სტიქიურ კაპიტალისტურ წარმოებას, ხოლო სოციალისტური მეურნეობა ვითარდება გეგმიანად და მიზანდასახულად. ვინაიდან, გეგმაზომიერი და გამიზნული მოქმედების უპირატესობა სტიქიურ მოქმედებასთან შედარებით ექვს არ უნდა იწვევდეს, აქტივებენ დასკვნას, რომ მეურნეობის გეგმაზომიერი წარმართვა გაცილებით უფრო ეფექტიანია, ვიდრე კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკა, რომელიც სტიქიურობას ემყარება.

გარეგნულად თითქოს მართლაც ყველაფერი დამაჯერებლად გამოიყურება, მაგრამ უყურადღებოდ რჩება შემდეგი გარემოებები:

ჯერ-ერთი, უხეში შეცდომებისა და სამართლის ფუძემდებლური პრინციპებიდან გადახვევის გამო, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდების პირობებში, სამართალმა ვერ შეძლო მასზე დაკისრებული მისიის შესრულება. ცენტრალიზებულ-სახელმწიფოებრივი რეგულირება ფაქტობრივად გადაიზარდა ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ მართვის სისტემაში, რამაც ფართოდ გაუღო კარი ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას, თვითნებობას, ვოლუნტარიზმს.

სამართლებრივი სისტემის დეფორმაცია სხვადასხვა მიმართულებით ხორციელდებოდა, ფართო ხასიათი მიიღო კანონების უზენაესობის პრინციპის უგულვებელყოფამ. არც ისე იშვიათი იყო შემთხვევა, როდესაც მიღებული ქვეკანონური ნორმატიული აქტი (დადგენილება, განკარგულება, ინსტრუქცია და ა. შ.) ფაქტობრივად ეწინააღმდეგებოდა კანონს. ხშირად ასეთი კანონსაწინააღმდეგო ქვეკანონური აქტის შესრულება უფრო კარგად იყო უზრუნველყოფილი, ვიდრე საერთოდ კანონისა ან სხვა ნორმატიული აქტისა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ კანონი საერთოდ ვერ შესრულდებოდა თუ არ იქნებოდა მიღებული შესაბამისი ინსტრუქცია. სწორედ ასეთმა მახინჯმა პრაქტიკამ წარმოშვა სტერეოტიპად ქცეული გამოთქმა: „ვერ გვაკეთებთ, ინსტრუქცია არ მიგვიღია (ან ინსტრუქციაში არ წერია)“.

მეორე, ეკონომიკის სფეროში მოქმედი ბევრი კანონი ეკონომიკურ კანონზომიერებათა სრული გათვალისწინებით არ იყო შემუშავებული და დასაბუთებული, რის გამოც იგი გარკვეულად ამუხრუჭებდა საზოგადოების წინსვლასა და განვითარებას. ასეთი ვითარებით იყო განპირობებული სამართლებრივი რეგულირების ისეთი მეთოდის გამოყენება, როგორცაა აკრძალვა, რასაც მოჰყვა და არც შეიძლებოდა არ მოჰყოლოდა, ადამიანთა შემოქმედებითი ინიციატივის ჩახშობა.

ბოლოს, გეგმიური ეკონომიკისა და სტიქიური კაპიტალისტური ეკონომიკის შედარებისას მიჩქმალული იყო ის გარემოება, რომ სტიქიური კაპიტალისტური ეკონომიკის პირობებშიაც იყენებენ სამართლებრივი რეგულირების მეთოდებს. ამას შესანიშნავად ასაბუთებს თვით კ. მარქსის დებულებაც იმის შესახებ, რომ სტიქიური კაპიტალისტური წარმოების დროსაც სამართლებრივი რეგულირება მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკონომიკის განვითარებაში და რომ, ასეთი რეგულირების წყალობით შესაძლებელია აღმოიფხვრას დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლიან ეკონომიკის ბუნებრივ განვითარებას.

სწორედ იმის წყალობით, რომ კაპიტალისტურმა სახელმწიფომ კარგად მიაგნო საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი რეგულირების სფეროებს, ფორმებსა და მეთოდებს, იქ შებოჭილი აღმოჩნდა სტიქიურობის თანმდევი საშიში ტენდენციები.

აღსანიშნავია ისიც, რომ სსრ კავშირში ეკონომიკის ცენტრალიზებულ მართვას მარტო ეკონომიკური მიზნები არ გააჩნდა. ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო და არის ერების ე. წ. დაახლოება და მათი თანდათანობით შერწყმა, რესპუბლიკების სუვერენულ უფლებამოსილებათა ხარჯზე ფედერაციის კომპეტენციის გაფართოება. ასეთი მიზანი დღესაც ძალაში რჩება, ოღონდ მისი შესრულების მისია გადაეკისრა ბაზარს. კერძოდ, ფართოდაა გავრცელებული მოსაზრება, რომლის თანახმად, ამა თუ იმ რესპუბლიკის ეროვნული თავისებურებანი ყველაზე ნაკლებად ვლინდება ეკონომიკის სფეროებში, უფრო მეტიც, ასეთი თავისებურებანი აქ საერთოდ არ არის. აქედან აკეთებენ დასკვნას, რომ არსებობს ობიექტური წინამძღვრები რეგულირების ერთიანი მოდელის შესაქმნელად მთელი კავშირის მასშტაბით. ამ მოდელის გამოხატულების ფორმად, მათი აზრით, შეიძლება გამოდგეს სსრ კავშირის სამოქალაქო სამართლის კანონების კრებული. ამ კრებულს უნდა ჰქონდეს როგორც ფუძემდებლური, ისე პირდაპირი მოქმედების აქტის მნიშვნელობა. მიაჩნიათ, რომ რესპუბლიკების სამოქალაქო

სამართლის კოდექსები უნდა განვაახლოთ, მაგრამ უპირატესობა უნდა მიენიჭოს საკავშირო კანონმდებლობას.

3. თავისთავად ცხადია, რომ ისეთ პირობებში, როდესაც რესპუბლიკის ისწრაფვის თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის, ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის, ზემოთ მოყვანილი მოსაზრება სრულებით მიუღებელია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეკონომიკური დამოუკიდებლობა, უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად, გულისხმობს ეკონომიკის დამოუკიდებლად მართვას, მეურნეობის დამოუკიდებლად გაძლოვას. მთელი კავშირის მასშტაბით, საბაზრო ეკონომიკის რეგულირების ერთიანი მოდელის არსებობის პირობებში ასეთი დამოუკიდებლობა გამორიცხულია. მაშასადამე, ასეთ პირობებში ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზეც ლაპარაკი წმინდა ფორმალურ ხასიათს იღებს. ამიტომ, საქართველომ უნდა შეიმუშაოს საბაზრო ურთიერთობათა რეგულირების საკუთარი მოდელი, ასეთი მოდელის როლი კი უნდა შეასრულოს საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსმა. სამოქალაქო სამართალი არის სამართლის ის დარგი, რომელიც აწესრიგებს სასაქონლო-ფულად ურთიერთობებს, ე. ი. საბაზრო ურთიერთობებს. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების გამოყენება ნიშნავს იმას, რომ სახალხო მეურნეობაში წარმოებული პროდუქცია იძენს საქონლის ფორმას, ხოლო ამ საქონლის მოძრაობა წარმოებასა და განაწილების სფეროში ხორციელდება გაცვლის ფორმით. ამასთან ერთად, ისეთი ეკონომიკური კატეგორიები, როგორცაა საქონელი, ფული, ღირებულება და ა. შ. თავის მხრივ, განსაზღვრავენ შესაბამისი სამართლებრივი ფორმების გამოყენებასაც. ბუნებრივია, რომ ეს სამართლებრივი ფორმა უნდა იყოს ისეთი, რომელიც ყველაზე უფრო შეესაბამება გაცვლის ეკონომიკურ ურთიერთობას. ასეთი სამართლებრივი ფორმაა, კერძოდ, **ხელშეკრულება**.

საბაზრო ურთიერთობათა რეგულირების ერთ-ერთი მთავარი და ძირითადი ფორმა სწორედ ხელშეკრულება უნდა გახდეს. საქმე ისაა, რომ მართალია, ხელშეკრულება საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე იყო სამეურნეო ორგანოებს შორის კავშირების ძირითადი ფორმა, მაგრამ გეგმიური მეურნეობის, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდებით მართვის პირობებში ხელშეკრულებამ დაკარგა თავისი ნამდვილი ფუნქცია. იგი აღარ გამოხატავდა ხელშეკრულების დამდები მხარეების ნამდვილ ნებას, უფრო მეტიც, საკითხი, თუ რომელმა ორგანიზაციამ ვისთან დადოს ხელშეკრულება, რა საქონელზე და რა ფასით, განსაზღვრული იყო სახალხო მეურნეობის მართვის ორგანოს მიერ. შემთხვევითი არ იყო ამიტომ ის, რომ სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის დადებულ ხელშეკრულებებს გეგმურ ხელშეკრულებებს უწოდებდნენ.

ამასთან ერთად, სამოქალაქო სამართლით გათვალისწინებული ხელშეკრულების ობიექტური ეკონომიკური აუცილებლობა სწორედ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის, არსებითად კი, საბაზრო ურთიერთობის არსებობიდან გამომდინარეობს. ვინაიდან სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა გეგმურ ხასიათს ატარებდა, მისი შესრულების უზრუნველყოფის სამართლებრივი მეთოდებაც არ იყო სრულყოფილი. ეჭვს გარეშეა, რომ როგორც ხელშეკრულების დამდების, ისე მისი შესრულების უზრუნველყოფის მთელი სისტემის სრულყოფა გადაუდებელ ამოცანად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ **სრულყოფას მოითხოვს საქართველოს რესპუბლიკის სამო-**

ქალაქო სამართლის ყველა ინსტიტუტი, როგორცაა, მაგალითად, საქართველოს სამართალი, ვალდებულებათა სამართალი, კერძოდ, ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებებისა და ვალდებულებების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის ღონისძიებათა სისტემა და ა. შ.

რა თქმა უნდა, სამოქალაქო სამართალი არ არის სამართლის ერთადერთი დარგი, რომელიც ემსახურება ეკონომიკის განვითარებას. საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას ხელი უნდა შეუწყოს აგრეთვე შრომის სამართალმა. საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება ბევრადაა დამოკიდებული შრომის სწორ ორგანიზაციაზე. შრომის ორგანიზაციის შინაარსი, თავის მხრივ, მოიცავს ღონისძიებათა ფართო წრეს, როგორცაა, მაგალითად, კადრების შერჩევა და განლაგება, სამუშაო ადგილის ორგანიზაცია და მომსახურება, შრომის ჯანმრთელი და უსაფრთხო პირობების შექმნა, შრომისა და დასვენების რაციონალური რეჟიმის დადგენა, მუშა-მოსამსახურეთა კვალიფიკაციისა და კულტურულ-ტექნიკური ღონის ამაღლება, შრომის მატერიალური სტიმულირება, ახალი ტექნიკის დანერგვა და ა. შ. შრომის ორგანიზაციასთან დაკავშირებით წარმოშობილი საზოგადოებრივი ურთიერთობების დიდი ნაწილი სამართლით არის მოწესრიგებული. სამართალი აწესრიგებს, მაგალითად, მოქალაქეთა შრომაში ჩაბმას, შრომის დაცვას, სამუშაო დროს, დასვენების დროს, მუშა-მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და შრომის პირობების საკითხებს და სხვა.

თავისთავად ცხადია, რომ საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსი ველარ პასუხობს საქართველოს ეკონომიკის განვითარების დღევანდელ მოთხოვნებს. იგი მთლიანად უნდა გადაისინჯოს და ჩამოყალიბდეს შეცვლილი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური პირობების სრული გათვალისწინებით.

ეკონომიკურ ურთიერთობათა მოწესრიგებაში დიდ როლს ასრულებს სამართლის ისეთი დარგი, როგორცაა მიწის სამართალი. კანონმდებლობა მიწათსარგებლობის შესახებ მოწოდებულია უზრუნველყოს მიწის რაციონალურად გამოყენება, ამ მიზნით შესაბამისი პირობების შექმნა, განსაზღვროს სხვადასხვა კატეგორიის მიწათსარგებლობის რეჟიმი, მიწათმოსარგებლეთა უფლებები და მოვალეობები და ა. შ.

სამეურნეო ურთიერთობათა მოწესრიგებაში დიდი მნიშვნელობა აქვს წყლის, ტყისა და წიაღის კანონმდებლობას. წიაღის კანონმდებლობის ამოცანები პირდაპირაა განსაზღვრული საქართველოს წიაღის კოდექსის პირველი მუხლით, კერძოდ, სამთო ურთიერთობათა მოწესრიგება, მინერალურ ნედლეულზე მოთხოვნილებათა და სახალხო მეურნეობის სხვა საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის წიაღის რაციონალური, კომპლექსური გამოყენება, წიაღის დაცვა, წიაღით სარგებლობისას სამუშაოთა უზრუნველყოფა და სხვ.

აღსანიშნავია, რომ სამართლის ყველა დარგი მეტნაკლებად აწესრიგებს ეკონომიკურ ურთიერთობებს, თუმცა სამართლის თითოეულ დარგს აქვს თავისი სპეციფიკური, მისთვის დამახასიათებელი რეგულირების მეთოდი. სამართალშემოქმედებთმა ორგანომ უნდა შეძლოს ამ მეთოდების კომბინირებულად და მოხერხებულად გამოყენება, რეგულირების ისეთი ფორმებისა და მეთოდების შერჩევა, რომელიც ყველაზე უფრო მორგებულია მოსაწესრიგებელი ურთიერთობისათვის.

ეკონომიკის მართვის უპირატესად ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლა,

თავისუფალი საბაზრო სისტემის დანერგვა იწვევს სამართლის ყველა იმ დარგის სრულყოფას, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ სამეურნეო სექტორში ნომიკურ ურთიერთობებს აწესრიგებს.

4. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამართლებრივი უზრუნველყოფა სხვადასხვა მიმართულებით უნდა განხორციელდეს:

პირველი მიმართულება — ესაა ეკონომიკის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმების სრული შესაბამისობა ხალხის ინტერესებთან. სამართალი, ადამიანის მოღვაწეობის რომელ სფეროსაც არ უნდა აწესრიგებდეს იგი, მოწოდებულია გამოხატოს ხალხის ინტერესები, ზუსტად და სრულად გაითვალისწინოს მისი ხასიათი, თავისებურებანი, ტრადიციები. რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის უზენაეს საბჭოში მიღებულ კანონებში ვერ იქნება გათვალისწინებული ყოველივე ეს იმ უბრალო მიზეზის გამოც, რომ საბჭოთა კავშირის შექმადგენლობაში არის სრულიად განსხვავებული ინტერესების, ტრადიციებისა და თავისებურებათა მქონე ხალხები და რესპუბლიკები. სწორედ ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ მიღებული კანონები არ სრულდება და მათ არავითარი სასიკეთო შედეგები არ მოაქვთ ცხოვრებაში. აქედან გამომდინარე, ცხადია, საქართველოში მოქმედი კანონები უნდა შეიმუშაოს და მიიღოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ.

მეორე მიმართულება — ესაა ეკონომიკის სფეროში მიღებული კანონების თუ სხვა ნორმატიული აქტების დასაბუთებულობა, მათი შემუშავება მოსაწესრიგებელი ურთიერთობის ყოველმხრივი შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე. ნაჩქარევად თუ ზედაპირულად მიღებული შთაბეჭდილებების საფუძველზე შემუშავებული კანონი ცხადია ვერავითარ ეფექტს ვერ მოგვცემს. პირიქით, ასეთი გზით შემუშავებულმა კანონმა შეიძლება უკუეფექტიც კი მოგვცეს, რასაც არც ისე იშვიათად ჰქონდა და დღესაც აქვს ადგილი. სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში მიმდინარე პროცესებს სწავლობენ და ანალიზს უკეთებენ სოციოლოგები, ეკონომისტები, იურისტები და სხვა დარგის წარმომადგენლები. ამიტომ ბუნებრივი და ნორმალურია, რომ მათი ფართო მონაწილეობით შემუშავდეს ამ სფეროებში მოქმედი კანონები.

მესამე მიმართულება — ესაა სამართლებრივი რეგულირების ისეთი მეთოდის შერჩევა, რომელიც ყველაზე უფრო მორგებული იქნება მოსაწესრიგებელი ურთიერთობისათვის. საბოლოოდ უარი უნდა ვთქვათ სამართლებრივი რეგულირების ისეთი მეთოდების ფართოდ და უპირატესად გამოყენებაზე, როგორცაა დავალდებულება და აკრძალვები, რომლებიც ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდების დამკვიდრებისათვის იყო მომარჯვებული. რა თქმა უნდა, ამ მეთოდების გამოყენებაზე მთლიანად უარის თქმა დაუშვებელია. არც ერთი სახელმწიფო, მათ შორის ყველაზე დემოკრატიულიც, სამართლებრივი რეგულირების ამ მეთოდზე უარს არ ამბობს. აქ მთავარია ის, რომ ეს მეთოდები თავის ადგილზე და გონივრულად გამოვიყენოთ.

სამართლებრივი რეგულირების რომელ მეთოდს უნდა მიენიჭოს უპირატესობა?


ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში, განსაკუთრებით ეკონომიკაში, სადაც საქმე გვაქვს ადამიანის შემოქმედებით და პოზიტიურ მოღვაწეობასთან, ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული რეგულირების ნებადართვითი მეთოდები, უფრო ზუსტად, რეგულირების ისეთი მეთოდი, როგორცაა უფლებების მინიჭება. იურიდიული უფლება — ესაა კანონით განსაზღვრული და ნებადარ-

თული ქცევის ზომა, მოქმედებისათვის გარკვეული ასპარეზის დადგენა, დამოუკიდებლად და საკუთარი შეხედულებით მოქმედება. ამ მეთოდების ტესად გამოყენება უზრუნველყოფს ადამიანების შემოქმედებით აქტივობას, მათ ინიციატივას წამოიწყონ ახალი და ახალი სოციალურად სასარგებლო საქმიანობა. ამრიგად, უპირატესად აკრძალვითი მეთოდიდან უნდა გადავიდეთ სამართლებრივი რეგულირების უპირატესად ნებადართვით მეთოდზე.

მეოთხე მიმართულება — ესაა ადამიანის ნებაზე და შეგნებაზე მოტივაციური ზემოქმედების ისეთი საშუალებების სამართლებრივად დამკვიდრება, როგორცაა წახალისება. იქ, სადაც ეს მიზანშეწონილია, სამართლის მეშვეობით უნდა განისაზღვროს არამართო ქცევის შესაძლო ზომები, არამედ წახალისების ღონისძიებანიც, რომლებიც აუცილებელია ადამიანის ფაქტორის გააქტიურებისათვის. იმისათვის, რომ შესაფერისი სტიმულირების მეშვეობით დავაინტერესოთ, მან უნდა ისარგებლოს მინიჭებული უფლებებით — შეასრულოს სოციალურად სასარგებლო მოქმედება, აწარმოოს პროდუქცია, გასწიოს მომსახურება და ა. შ.

მეხუთე მიმართულება — ესაა მიღებული ნორმატიული აქტების ცხოვრებაში განუხრელად გატარება. საქმე ისაა, რომ რაგინდ დასაბუთებული და სოციალურ-ეკონომიკურ კანონზომიერებათა გათვალისწინებით იყოს შემუშავებული კანონი თუ სხვა ნორმატიული აქტი, ისინი ვერავითარ ეფექტს ვერ მოგვეცემენ მათი შესრულების გარეშე. ცნობილია მაგალითად, რომ სსრ კავშირში მიღებული კანონების გატარების საქმეში, არც წარსულში და არც ამჟამად, ყველაფერი რიგზე არ იყო და არც არის. იქ ამ ბოლო წლებში მრავალი საკანონმდებლო აქტი იყო მიღებული, რომლებიც ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნისათვის იყო გამიზნული. ეს ნორმატიული აქტები, მმართველობითი საქმიანობის გარდაქმნასთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის სრულყოფასაც. ასეთია, კერძოდ, კანონი სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ, კანონი იჯარის შესახებ, კანონი საკუთრების შესახებ და ა. შ. სინამდვილეში ეს კანონები არ მოქმედებენ. აქ შეიძლება მრავალი მიზეზი იყოს, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ან ეს კანონები სრულყოფილად არ ითვალისწინებენ რეალურ სინამდვილეს და არ გამოხატავენ მოქალაქეთა ინტერესებს, ან ამ კანონების გატარებას უქმნიან ბიუროკრატიულ დაბრკოლებას, არ არის გამორიცხული, რომ ორივე მიზეზი ერთდროულად მოქმედებს.

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების ღონისძიებების სამართლებრივი უზრუნველყოფის მიზნით დაძლეული უნდა იქნეს ყველა მიზეზი, რომლებიც აბრკოლებს კანონის რეალიზაციას. საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე საკანონმდებლო აქტების შესრულების უზრუნველყოფის ისეთი წმინდა იურიდიული ღონისძიების დახვეწას, როგორცაა პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობის ღონისძიების განსაზღვრისას ყურადღება უნდა მიექცეს ორ საკითხს: პირველი — პასუხისმგებლობის თანაზომიერების საკითხი. ამა თუ იმ სამართალდარღვევისათვის უნდა შემუშავდეს პასუხისმგებლობის ისეთი ზომა, რომელიც ამ დარღვევის თანაზომიერი იქნება. მეორე — პასუხისმგებლობის აუციენლობა. არ შეიძლება პასუხისმგებლობის გარეშე დარჩეს სამართალდამრღვევი, რომელიც ჩვენი ხალხის ინტერესების გამომხატველი კანონების გატარებას უშლის ხელს. მხოლოდ პასუხისმგებლობის აუციენლობის რწმენას შეუძლია მოტივაციური ზემოქმედების მოხდენა ადამიანის ნებასა და შეგნებაზე.



კონცეფცია კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ

2009

საქართველოს პარტიულ-საბჭოთა ორგანოებისა და სამეურნეო სამსახურების ცენტრ-რადიო-ტელევიზიური სისტემების ქორეულად მოშალა ერის ისტორიულ ტრადიციებზე დაფუძნებული ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურა და მისი ეკონომიკური საფუძვლები, მოხდა სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველოს მაქსიმალური უნიფიცირება. აღნიშნულს დაშორდა და დაუპირისპირდა კიდევ დარგობრივი (უწყებრივი) და ტერიტორიული (ადგილობრივი) ინტერესები. მთელი სერიოზულობით დადგა ხელისუფლებისა და მმართველობის რაციონალური დეცენტრალიზაციის აუცილებლობის პრობლემა.

ამ უადრესად საჭირობოდა საკითხების დამუშავებისა და თანამდევრული საქონომდებლო უზრუნველყოფის მიზნით გასული წლის სექტემბერში თანამოაზრე იურისტებისა და ეკონომისტების მცირე ჯგუფის ინიციატივით ჩამოყალიბდა სრულიად საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კავშირი. კავშირის გამგეობის წევრებმა ავთანდილ დემეტრაშვილმა, იაკობ ფუტყარაძემ, ლადო ზანტაძერმა, ტარიელ კულულაშვილმა და შოთა ქისტაშვილმა გამგეობასთან ერთად შეიმუშავეს კონცეფცია კანონისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საფუძვლების შესახებ. კონცეფცია მოწონებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მიერ, რის შემდეგაც იგი წარედგინა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს.


შესაძლოა, კანონპროექტი სრულად ვერ ითვალისწინებს საქართველოს რესპუბლიკის მიმდინარე პერიოდის თავისებურებებს, მაგრამ ვფიქრობთ, იგი საინტერესო იქნება საქართველოში გარდამავალი პერიოდის დამთავრების შემდეგ. საყურადღებოა ისიც, რომ აღნიშნული კონცეფცია გადამუშავებული სახით საფუძვლად დაედო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ კანონს „გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ“. ამდენად, უურნაღის რედაქციამ საჭიროდ ჩათვალა მისი, როგორც ავტორთა ჯგუფის მონაზრების გამოქვეყნება.

კონცეფციაში გამოყენებულია შესაბამისი დარგის ეროვნული ტერმინოლოგია, რომელიც თავის დროზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივ აქტებში არსებობდა. კონცეფციასთან ერთად მკითხველს ვთავაზობთ იაკობ ფუტყარაძის მიერ მომზადებულ საცნობარო მასალას — „ადგილობრივი თვითმმართველობის ტერმინოლოგიური საკითხები“.

1. ზოგადი ნაწილი

მუხლი 1. ადგილობრივი თვითმმართველობის ცნება. ადგილობრივი თვითმმართველობა, როგორც საქართველოს რესპუბლიკის საერთო სახალხო მმართველობის შემადგენელი ნაწილი, არის აღმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებზე მცხოვრები მოსახლეობის თვითორგანიზაცია და ადგილობრივ საქმეთა გამგებლობის სფეროში მათ მიერ არჩეული ორგანოებისა და თანამდებობების პირთა დამოუკიდებელი საქმიანობის ერთობლიობა; საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობა წყვეტს ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხს ქვემდებარე ტერიტორიაზე.

მუხლი 2. ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპები. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპებია: ადგილობრივი თვითმმართველობის



ყველა წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევითობა და ანგარიშვალდებულება მოსახლეობის წინაშე; კანონიერება და მისი უზრუნველყოფა; სოციალური სამართლიანობა; თვითმმართველობის აქტებს შორის ადგილობრივი რეფერენდუმების (საყოველთაო კენჭისყრის) გადაწყვეტილებათა უზენაესობა; თვითმმართველობის ერთეულთა კავშირურთიერთობებში სახელშეკრულებო საწყისების უპირატესობა; მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, საჭარობა და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება; ეროვნული ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების გათვალისწინება.

ადგილობრივ თვითმმართველობასა და საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურ ორგანოებს შორის დავების გადაწყვეტა ხდება კანონის შესაბამისად.

მუხლი 3. ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიული ფარგლები. ადგილობრივი თვითმმართველობა მოწყობილია და მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესაბამისად სოფლის (დაბის), რაიონის და ქალაქის დონეზე; ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების საბჭოებს შეუძლიათ დააყენონ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წინაშე საკითხი ამ ერთეულთა სახელწოდებისა და საზღვრების შეცვლის თაობაზე; საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველობა ორსტრუქტურია: რაიონები, რომელთა შემადგენლობაშია სოფლები (დაბები) და რაიონული დაქვემდებარების ქალაქები (შემდგომში — რაიონული ქალაქები); რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქები (შემდგომში — რესპუბლიკური ქალაქები), რომელთა შემადგენლობაში შეიძლება იყოს აგრეთვე ქალაქის რაიონები; ადგილობრივი თვითმმართველობის განსაკუთრებული ერთეულია საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქი — ქალაქი თბილისი, რომლის სტატუსი ცალკე კანონით განისაზღვრება.

მუხლი 4. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელება. ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება უშუალო და წარმომადგენლობითი დემოკრატიის სხვადასხვა ფორმით: მოსახლეობა მონაწილეობს ადგილობრივ საქმეთა განხილვა-გადაწყვეტაში თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევის, ადგილობრივი რეფერენდუმების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე კონტროლის გაწევის და სხვა ფორმით; თვითმმართველობის მნიშვნელოვანი საკითხების ადგილობრივი რეფერენდუმით გადაწყვეტის წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის კანონი „რეფერენდუმის შესახებ“.

ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა

მუხლი 5. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოებია სოფლის (დაბის), ქალაქის, რაიონის, რაიონული ქალაქის, რესპუბლიკური ქალაქისა და ქალაქ თბილისის საბჭოები; საბჭოების ორგანიზაცია, საქმიანობის წესი და კომპეტენცია განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით, ამ კანონით საქართველოს რესპუბლიკის სხვა კანონებითა და თვითმმართველობის საბჭოების რეგლამენტებით; თვითმმართველობის საბჭოს წევრებს — ხმონებს „ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების შესახებ“ კანონით დადგენილი წესით ირჩევენ შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობა 3 წლის ვადით.

მუხლი 6. თვითმმართველობის საბჭოს საქმიანობის ძირითადი ფორმები. თვითმმართველობის საბჭოს საქმიანობის ძირითადი ფორმებია:

საბჭოს სესია; საბჭოს კომიტეტების საქმიანობა; საბჭოს წევრთა (ხმონათა) მუშაობა თავიანთ საარჩევნო ოლქებში; საბჭოს აღმასრულებელ-განმკარგულებელ ორგანოთა და თანამდებობის პირთა საქმიანობა.

მუხლი 7. თვითმმართველობის საბჭოს სესიის ორგანიზაცია. ახლად არჩეული საბჭოს პირველ სესიას იწვევს შესაბამისი საარჩევნო კომისია არჩევნილებიდან სამი კვირის განმავლობაში, თუ არჩეულია თვითმმართველობის საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის სულ ცოტა ორი მესამედი. მომდევნო სესიებს იწვევს საბჭოს თავმჯდომარე (მოურავი). წელიწადში ტარდება თვითმმართველობის საბჭოს 4 მორიგი სესია. საბჭოს თავმჯდომარე (მოურავი) იწვევს საბჭოს

რიგგარეშე (საგანგებო) სესიას თავისი ინიციატივით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს რწმუნებულის მოთხოვნით, საბჭოს წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნაზე, ადგილობრივი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ამომრჩეველთა მოთხოვნით რეგლამენტით განსაზღვრულ წესის შესაბამისად. საბჭოს თავმჯდომარის (მოურავის) არჩევამდე ახლად არჩეული საბჭოს პირველ სესიას ხსნის და უძღვება საბჭოს უხუცესი წევრი (ხმოსანი).

მუხლი 8. ადგილობრივი თვითმმართველობის საბჭოს სესიაზე გადაწყვეტთ საკითხები:
მხოლოდ და მხოლოდ საბჭოზე უნდა გადაწყდეს შემდეგი საკითხები:

- თვითმმართველობის საბჭოს რეგლამენტის მიღება, მასში ცვლილებების შეტანა;
- ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის სიმბოლიკის დამტკიცება;
- ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;
- ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცება, მისი შესრულების მიმდინარეობის კონტროლი და შესრულების ანგარიშის დამტკიცება;
- საბჭოს თავმჯდომარის (მოურავის) მოადგილის და საბჭოს მდივნის არჩევა და თანამდებობიდან გადაყენება;
- საბჭოს მუდმივი კომიტეტებისა და სარევიზიო კომისიის შექმნა;
- საბჭოს გამგეობის ფორმირება;
- თვითმმართველობის ტერიტორიაზე მოქმედი ობიექტების სამართლებრივი რევიზიის განსაზღვრა;
- სამეურნეო საქმიანობის ნებართვის გაცემა, გაუქმება ან სამუშაოთა შეჩერება იმ შემთხვევაში თუ საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია არღვევს კანონმდებლობას ბუნების დაცვის, მიწათსარგებლობისა და ადგილობრივი ბუნებრივი ან- შრომითი რესურსების გამოყენების, სანიტარიისა და ჯანდაცვის, საფინანსო ანგარიშსწორების შესახებ;
- ადგილობრივ გადასახადებსა და მოსაკრებებთან დაკავშირებული საკითხები;
- თვითმმართველობის ორგანოების და თანამდებობის პირთა მიერ დადებულ ხელშეკრულებათა დამტკიცება;
- კანონმდებლობით, საბჭოს რეგლამენტითა და გადაწყვეტილებით განსაზღვრული სხვა საკითხები.

მუხლი 9. თვითმმართველობის საბჭოს თავმჯდომარე (მოურავი). თვითმმართველობის საბჭოს თავმჯდომარე (მოურავი) ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის თვითმმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირია. იგი წარმართავს საბჭოს მუშაობას და ამავე დროს ხელმძღვანელობს საბჭოს გამგეობას; თვითმმართველობის საბჭოს თავმჯდომარეს (მოურავს) საბჭოს უფლებამოსილების ვადით უშუალოდ ირჩევს შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობა. ერთი და იგივე პირი საბჭოს თავმჯდომარედ (მოურავად) შეიძლება აირჩიონ არა უმეტეს ზედიზედ ორი ვადისა.

მუხლი 10. თვითმმართველობის საბჭოს თავმჯდომარის (მოურავის) კომპეტენცია. თვითმმართველობის საბჭოს თავმჯდომარე (მოურავი): იწვევს საბჭოს მორიგ და რიგგარეშე (საგანგებო) სესიებს და ახორციელებს მისი ჩატარებისათვის საჭირო მოსამზადებელ ღონისძიებებს; ადგილობრივი თვითმმართველობის სახელით ახორციელებს წარმომადგენლობით ფუნქციებს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ფარგლებს გარეთ, დებს ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს; თვითმმართველობის ტერიტორიის ფარგლებში წარმომადგენლობს საბჭოს თვითმმართველობის სხვა რგოლებთან, საზოგადოებრივ და სამეურნეო ორგანიზაციებთან, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს რწმუნებულთან ურთიერთობებში; უძღვება საბჭოს სესიის სხდომებს; კოორდინაციას უწევს საბჭოს კომიტეტების საქმიანობას; ხელს აწერს საბჭოს სესიის სხდომების ოქმებს, საბჭოს გადაწყვეტილებებს და ატყობინებს მოსახლეობას მათ შინაარსს.

როგორც საბჭოს გამგეობის ხელმძღვანელი, საბჭოს თავმჯდომარე (მოურავი) წარმართავს გამგეობის მუშაობას; უძღვება გამგეობის სხდომებს; კოორდინაციას უწევს გამგეობის აპარატის მუშაობას; უზრუნველყოფს გამგეობის მუშაობაში კოლექტიურობის პრინციპის დაცვას; წარმართავს საბჭოსა და გამგეობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

საბჭოს თავმჯდომარე (მოურავი) არის ბანკში გამგეობის კრედიტისა და მიმდინარე ანგარიშის განმკარგულებელი.

მუხლი 11. თვითმმართველობის საბჭოს თავმჯდომარის (მოურავის) მოადგილე და საბჭოს მდივანი. საბჭოს თავმჯდომარის (მოურავის) წარდგინებით საბჭო თავისი უფლებამოსილებიდან ვადით ხმოსანთა შემადგენლობიდან ირჩევს საბჭოს თავმჯდომარის (მოურავის) მოადგილესა და საბჭოს მდივანს; საბჭოს თავმჯდომარის (მოურავის) მოადგილე ასრულებს თავმჯდომარის (მოურავის) ფუნქციებს თუ საბჭოს თავმჯდომარეს (მოურავს) დროებით არ შეუძლია შეასრულოს თავისი მოვალეობები, თუ იგი არ იმყოფება თვითმმართველობის ტერიტორიაზე, ან თავმჯდომარის (მოურავის) დაავლებით.

საბჭოს თავმჯდომარის (მოურავის) ნებაყოფლობით გადადგომისას, ან მისი ფუნქციების შესრულებისათვის დაუძლეველი დაბრკოლებების არსებობისას, ან თავმჯდომარის (მოურავის) თანამდებობიდან ვადამდე ადრე გადაყენების შემთხვევაში საბჭოს თავმჯდომარედ (მოურავად) ხდება საბჭოს თავმჯდომარის (მოურავის) მოადგილე.

საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს საბჭოს სესიისა და გამგეობის სხდომებისათვის საჭირო მასალების მომზადებას; უძღვება საბჭოსა და გამგეობის საქმისწარმოებას; ასრულებს საბჭოს რეგლამენტით განსაზღვრულ სხვა მოვალეობებს.

მუხლი 12. ადგილობრივი თვითმმართველობის საბჭოს გამგეობა. თვითმმართველობის საბჭოს აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოა საბჭოს გამგეობა (შემდგომში — გამგეობა). სასოფლო (სადაბო) საბჭოებში გამგეობის საჭიროების საკითხს წყვეტს საბჭოს სესია; გამგეობას ქმნის თვითმმართველობის საბჭო. წინადადება გამგეობის სტრუქტურისა და პერსონალური შემადგენლობის შესახებ სესიაზე შეაქვს საბჭოს თავმჯდომარეს (მოურავს). გამგეობის წევრი იმავდროულად არ შეიძლება იყოს საბჭოს წევრი (ხმოსანი); გამგეობას უფლება აქვს გადაწყვიტოს ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხი, რომელიც ამ კანონის მეორე მუხლის თანახმად არ შედის საბჭოს სესიის განსაკუთრებულ კომპეტენციაში. გამგეობა სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით.

მუხლი 13. საბჭოს გამგეობის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. საბჭოს მუშაობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის სფეროში გამგეობა საბჭოს თავმჯდომარის (მოურავის) ხელმძღვანელობით უზრუნველყოფს საბჭოს სესიის მასალების მომზადებას; ორგანიზებას უწევს საბჭოსა და გამგეობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას; კოორდინაციას უწევს საბჭოს კომიტეტების საქმიანობას; ხელს უწყობს საბჭოს წევრებს (ხმოსნებს) მათი ფუნქციების განხორციელებაში.

საბჭოს ფუნქციების განხორციელებისათვის გამგეობა საბჭოს თავმჯდომარის (მოურავის) ხელმძღვანელობით; წარმართავს საბჭოსადმი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას; კოორდინაციასა და კონტროლს უწევს თვითმმართველობის ტერიტორიაზე მოქმედ სხვა დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას ტერიტორიის ინტერესების შესაბამისად; უზრუნველყოფს თვითმმართველობის ტერიტორიის კომპლექსურ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას; ორგანიზებას უწევს ბიუჯეტის შემუშავებას და უზრუნველყოფს მათ შესრულებას; განიხილავს მოქალაქეთა განცხადებებს, განაზოგადებს წინადადებებს და იღებს გადაწყვეტილებებს; თავისი კომპეტენციის ფარგლებში წყვეტს საკადრო საკითხებს.

მუხლი 14. თვითმმართველობის საბჭოს კომიტეტები. თვითმმართველობის საბჭო პირველ სესიაზე საბჭოს წევრთა შემადგენლობიდან თავისი უფლებამოსილების ვადით ირჩევს მუდმივ კომიტეტებს (ჯგუფებს ან საბჭოს რწმუნებულებს).

საბჭოს მუდმივი კომიტეტი (ჯგუფი ან საბჭოს რწმუნებულო) წინასწარ ამზადებს საბჭოს სესიაზე განსახილველ საკითხებს; ხელს უწყობს საბჭოს გადაწყვეტილებათა განხორციელებას; კანონით განსაზღვრულ ფარგლებში აკონტროლებს საბჭოს გამგეობის, საბჭოს ტერიტორიაზე მოქმედი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას.

საბჭოს შეუძლია შექმნას დროებითი კომიტეტები. დროებითი კომიტეტის შემადგენლობაში დასაშვებია ისეთი პირების შეყვანა, რომელიც საბჭოს წევრები არ არიან.

თვითმმართველობის საბჭოს კომიტეტების (ჯგუფების, რწმუნებულებების) რაოდენობას, უფლებამოსილებას და საქმიანობის წესს განსაზღვრავს ეს კანონი და თვითმმართველობის შესაბამისი საბჭოს რეგლამენტი.

მუხლი 15. თვითმმართველობის საბჭოს ხარვეზიო კომისია. თვითმმართველობის საბჭო



პირველ სესიაზე წევრთა (ხმოსანთა) შემადგენლობიდან თავისი უფლებამოსილების ვადით, ირჩევს სარევიზიო კომისიას (ან რევიზორს).

სარევიზიო კომისია (რევიზორი) აკონტროლებს საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებას, ამოწმებს გამგეობის და თანამდებობის პირთა საფინანსო საქმიანობას.

მუხლი 16. საზოგადოებრივი ტერიტორიული თვითმმართველობა. საზოგადოებრივ თვითმმართველობაში სოფლის (დაბის) მოსახლეობის მონაწილეობა ხდება საერთო კრებებისა და უშუალო თუ წარმომადგენლობითი დემოკრატიის სხვა ფორმებით. ქალაქებში საზოგადოებრივი თვითმმართველობის განხორციელების ორგანოებია მიკრორაიონებისა და საცხოვრებელი კომპლექსების საზოგადოებრივი საბჭოები, ბინის კომიტეტები და მოსახლეობის თვითორგანიზაციის სხვა საზოგადოებრივი ფორმები. საზოგადოებრივი ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოებს შეიძლება დადგენილი წესით მიეცეთ იურიდიული პირის უფლება.

ადგილობრივი თვითმმართველობის ეკონომიკური საფუძველი და ფინანსები

მუხლი 17. თვითმმართველობის ეკონომიკური საფუძველი. ადგილობრივი თვითმმართველობის ეკონომიკურ საფუძველს შეადგენს თვითმმართველობის საკუთრება, კანონით დადგენილი წესით თვითმმართველობისათვის გადაცემული უძრავი და მოძრავი ქონება, ადგილობრივი ბიუჯეტი და ბიუჯეტგარეშე სახსრები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს სხვა სახსრები, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობისა და შესაბამისი ტერიტორიის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების წყაროა; თვითმმართველობის უფლება მის ტერიტორიაზე არსებულ ბუნებრივ რესურსებზე (მიწა, მისი წიაღი, წყალი, ტყე, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო) განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

მუხლი 18. ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრება. თვითმმართველობის საკუთრებაში შეიძლება იყოს: კომუნალური — საბინაო ფონდი და საბინაო კომუნალური მეურნეობა, ტრანსპორტის, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები, სახალხო განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებანი, აგრეთვე მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის საწარმოო კომპლექსები და საწარმოები, ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები, ფასიანი ქაღალდები (აქციები, ობლიგაციები და ა. შ.) და სხვა უძრავ-მოძრავი ქონება, რომელიც საჭიროა შესაბამისი თვითმმართველობის წინაშე მდგომი ამოცანების განსახორციელებლად.

ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში შეიძლება იყოს სამეცნიერო-ტექნიკური, ტექნოლოგიური და სხვა სახის ინფორმაცია.

ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობა განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მფლობელობის, სარგებლობის და განკარგვის უფლება აქვს შესაბამის თვითმმართველობის ორგანოს ან იმ იურიდიულ თუ ფიზიკურ პირებს, რომელთაც ამგვარი უფლება გადაეცემათ.

მუხლი 19. ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრების წარმოშობის საფუძველები. თვითმმართველობის საკუთრების უფლება წარმოიშობა:

კანონით განსაზღვრული წესით თვითმმართველობისათვის სახელმწიფო საკუთრების გადაცემით; თვითმმართველობის ორგანოების მიერ ახალი ობიექტების შექმნით; თვითმმართველობის ორგანოების მიერ კანონით გათვალისწინებული გარიგებების დადების შემთხვევაში, აგრეთვე, იმ გარიგებათა საფუძველზე, რომლებიც თუმცა არაა გათვალისწინებული კანონით, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. იმ ხდომილებათა შედეგად, რომელთაც საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა სამოქალაქო სამართლებრივი შედეგების წარმოშობას უკავშირებს (მოქალაქის გარდაცვალების შემთხვევაში, თვითმმართველობის ორგანოთათვის მისი ბეითალმანი ქონების გადაცემის შემთხვევაში და სხვა).

მუხლი 20. ადგილობრივი მეურნეობა. ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითად ეკონომიკურ წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი მეურნეობა. ადგილობრივ მეურნეობას შეადგენს თვითმმართველობის ტერიტორიაზე განლაგებული იმ საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებუ-

ლებების ერთობლიობა, რომლებიც ემსახურებიან ადგილობრივი მოსახლეობის საწარმოო საქმიანობებისა და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ადგილობრივი მეურნეობის შემადგენლობაში შეიძლება იყოს: საბინაო-კომუნალური მეურნეობის, სამრეწველო, სასაფლაო-სამეურნეო, სამშენებლო, კავშირგაბმულობის, სამედიცინო, განათლების, კულტურის, საყოფაცხოვრებო, სატრანსპორტო, სარემონტო-სამშენებლო, ბუნების დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, სპორტული, რეკრეაციული და სხვა საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები. ადგილობრივი მეურნეობისათვის საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების მიკუთვნება ხდება შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ა) რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ადგილობრივი მეურნეობისათვის საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების მიკუთვნება ხდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ, თუ საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება აკმაყოფილებს ამ მუხლის მოთხოვნებს, ან წარმოებული პროდუქციის, შესრულებული სამუშაოების, გაწეული მომსახურების ნახევარზე მეტი გათვალისწინებულია ადგილობრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

ბ) რაიონის, რაიონული დაქვემდებარების ქალაქის ადგილობრივი მეურნეობისათვის საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების მიკუთვნება ხდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ ამ მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

მესაკუთრეთა თანხმობით ადგილობრივი მეურნეობის შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს ის საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები, რომლებიც არ შეადგენენ თვითმმართველობის საკუთრებას, მაგრამ რომელთა საქმიანობა უპირატესად დაკავშირებულია მოსახლეობის მომსახურებასთან.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შეუძლიათ საერთო-რესპუბლიკური ინტერესებისათვის ზიანის მიუყენებლად ადგილობრივი მეურნეობის საწარმოებს, ორგანიზაციებს და დაწესებულებებს შეუქმნან მეურნეობრიობის უპირატესი პირობები.

მუხლი 21. თვითმმართველობის ეკონომიკური კომპეტენცია. ადგილობრივი მეურნეობის რაციონალურად გაძლიერებისათვის თვითმმართველობის ორგანოებს აქვთ სათანადო უფლებები და ეკისრებათ მოვალეობები, რომელთა ერთობლიობა შეადგენს მათ ეკონომიკურ კომპეტენციას.

თვითმმართველობის ორგანოს უფლება აქვს:

- ა) შექმნას საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები;
- ბ) გადასცეს იჯარით ან კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა წესით ბუნებრივი სიმდიდრეები ან სხვა ქონება მოქალაქეებს, საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, ამხანაგობებს;
- გ) გასცეს ნებართვა სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე;
- დ) დაადგინოს თვითმმართველობის ტერიტორიაზე არსებული ყველა ობიექტის მშენებლობის, გაფართოების ან რეკონსტრუქციის პირობები;
- ე) რეგისტრაციაში გაატაროს საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები;
- ვ) გადაწყვიტოს სოციალური და საწარმოო ინფრასტრუქტურის ყველა ობიექტის დაპროექტებისა და მშენებლობის საკითხები;
- ზ) დააწესოს ქვემდებარე ტერიტორიაზე გარემოს დაცვის დამატებითი მოთხოვნები, შეარჩოს იმ ობიექტების ექსპლუატაცია, რომელთა ეკოლოგიური უსაფრთხოება უზრუნველყოფილი არაა და სახიფათოა მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის;
- თ) განსაზღვროს თვითმმართველობის ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებები, პრიორიტეტული დარგები და მათი უზრუნველყოფის გარანტიები;
- ი) მოსთხოვოს ქვემდებარე ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებს მათ მიერ დამზადებული სახალხო მოხმარების საქონლის 25 პროცენტამდე რეალიზაცია ან გაცვლა ადგილობრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად;
- კ) კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში გააკონტროლოს და მოაწესრიგოს ქვემდებარე ტერიტორიაზე მომსახურებისა და საქონლის რეალიზაციის ფასები, გაატაროს ანტიმონოპოლური პოლიტიკა;
- ლ) დადოს ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულებები და შეთანხმებები სხვა თვითმმართველობებთან, უცხოეთის ფირმებთან და ხელისუფლებისა და მმართველობის საზღვარგარეთის ადგილობრივი ორგანოებთან;
- მ) მიანიჭოს მიწისა და სხვა ადგილობრივი ბუნებრივი რესურსებით, ადგილობრივი ფონდ-

ბიდან მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებით უპირატესი სარგებლობის უფლება თვითმმართველობის საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს და მოქალაქეებს;

ნ) მონაწილეობა მიიღოს საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

ო) შექმნას სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების, მოსახლეობის მომსახურების ერთობლივი საწარმოები. ითანამშრომლოს უცხოეთის ფირმებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მეცნიერების, კულტურის ხელოვნების, ჯანდაცვის, სპორტის და სხვა სფეროებში.

გარდა ამისა, ადგილობრივ თვითმმართველობას აქვს უპირატესი უფლება შეისყიდოს შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებული საზოგადოებრივი ნაგებობები ან სხვა ობიექტები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადგილობრივი საჭიროებისათვის.

თვითმმართველობის ორგანო მოვალეა:

ა) იზრუნოს მოცემული ტერიტორიის ეკონომიკური, სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. ამ მიზნით იგი:

— ქმნის ხელსაყრელ პირობებს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო დაწესებულებების განვითარებისათვის;

— აწესებს სავაჭრო, კვების, საყოფაცხოვრებო და სატრანსპორტო მომსახურების, კულტურის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის, საბავშვო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ მოსახლეობის მომსახურების ხელსაყრელ რეჟიმს;

ბ) ხელი შეუწყოს იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების შექმნას, რომლებიც უზრუნველყოფენ საქონლისა და მომსახურების დეფიციტის აღმოფხვრას, დაიცავს მოხმარებელთა ინტერესები;

გ) განახორციელოს ქვემდებარე ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი სიმდიდრეების საკონსერვაციო აღრიცხვა, საწარმო-სამეურნეო და სხვა სახის ობიექტების ეკონომიკურ-ეკოლოგიური ინვენტარიზაცია;

დ) შეუქმნას ხელსაყრელი პირობები მოქალაქეებს ტრადიციული მეწარმეობის განვითარებისათვის, ადგილობრივ თვითმმართველობის საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს მათ წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებისა და მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

ზარალი, რომელიც მიადგება მოქალაქეებს, საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, თვითმმართველობის ორგანოს მითითების შესრულების შედეგად, აგრეთვე, თვითმმართველობის ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ თავისი მოვალეობების არასათანადოდ შესრულების შედეგად, უნდა ანაზღაუროს ამ თვითმმართველობის ორგანომ, ან ამ ორგანოს თანამდებობის პირმა, ვისი მიზეზითაც მოხდა ეს ზარალი. ზარალის ანაზღაურების საკითხზე წამოკრილ დავას წყვეტს სასამართლო ან არბიტრაჟის ორგანოები კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 22. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ურთიერთობა იმ საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან, რომლებიც არ შეადგენენ თვითმმართველობის საკუთრებას. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ურთიერთობა იმ საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან, რომლებიც არ შეადგენენ თვითმმართველობის საკუთრებას, წესრიგდება მათთან დადებული ხელშეკრულებებით ან ემყარება კანონმდებლობით განსაზღვრულ საგადასახადო საფუძველს.

მუხლი 23. ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური ბაზა. თვითმმართველობის საქმიანობის ფინანსური ბაზა ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსები. თვითმმართველობის ორგანოები ადგილობრივი ფინანსების საშუალებით ახორციელებენ ეროვნული შემოსავლის განაწილებას, გადასაწილებას და გამოყენებას თავის კომპეტენციის ფარგლებში, მოცემულ ტერიტორიაზე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად.

მუხლი 24. ადგილობრივი ფინანსების სისტემა. ადგილობრივი ფინანსების სისტემას შეადგენს: ადგილობრივი ბიუჯეტი, ადგილობრივი მნიშვნელობის სპეციალური ფონდები. ადგილობრივი თვითმმართველობის საწარმოებისა და ორგანიზაციების ფინანსები. აგრეთვე საწარმოების, ორგანიზაციებისა და კერძო პირების ნებაყოფლობით შეტანილი სხვა სახსრები, რომლებიც გამოყენებული იქნება მოცემული ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადასაწყვეტად.

ადგილობრივი ფინანსების მთავარ რგოლს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტი, რომელიც არის მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ფულადი რესურსების შექმნისა და გამოყენების ძირითადი ფინანსური გეგმა.

ადგილობრივი თვითმმართველობის საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების ფინანსები, ადგილობრივი მნიშვნელობის სპეციალურ ფონდები, სხვა და სხვა იურიდიული პირების შენატანები წარმოადგენენ ადგილობრივი ფინანსების უმნიშვნელოვანეს რგოლებს. მათი სიმტკიცის საფუძვლებს.

მუხლი 25. ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები. ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები იქმნება იმ საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების და მოსახლეობის გადასახადებისაგან, რომლებიც იმყოფებიან ამ ტერიტორიაზე და საქართველოს რესპუბლიკის საგადასახადო კანონის შესაბამისად გადაიხდება. აგრეთვე სხვა შემოსავლისა და შენატანებისაგან, რომლებიც ამოიღება (გადაიხდებიან) მმართველობის ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებების შესაბამისად: ზემდგომი ბიუჯეტიდან მიღებული სესხებისაგან, დოტაციებისაგან, სუბვენციებისაგან, ბანკების კრედიტებისაგან. სახელმწიფო გადასახადებიდან ანარიცხები ადგილობრივ ბიუჯეტში განისაზღვრება შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული სტაბილური, გრძელვადიანი ნორმატივებით. ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავალში ჩაირიცხება ადგილობრივი დაქვემდებარების სამეურნეო ანგარიშზე მყოფი სახელმწიფო კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოების, დაწესებულებების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების, შესაბამის ტერიტორიაზე ადგილობრივი და საზღვარგარეთის იურიდიული პირებისა და მოქალაქეების მონაწილეობით შექმნილი ერთობლივი საწარმოებისა და მათი ფილიალების მოგებიდან გადასახადი, მოხმარებაზე მიმართული სახსრების ხარჯის მარგულირებული გადასახადი, გადასახადი ქონებაზე, აქციებიდან, ობლიგაციებიდან და სხვა ფასიანი ქაღალდებიდან გადასახადი, აგრეთვე, ერთობლივ საწარმოებში წილობრივი მონაწილეობიდან მიღებული შემოსავლის გადასახადი, ბუნებრივი რესურსების (მიწის, წყლის და სხვა ბუნებრივი რესურსების) გადასახადი, გადასახადი ადგილობრივი მნიშვნელობის სანახაობრივი ღონისძიებებიდან, ჯარიმები, რომლებიც ადგილობრივი ორგანოების მიერ დაეკისრა სხვადასხვა სუბიექტებს, შრომითი რესურსების გადასახადი, შემოსავალი მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ქონების რეალიზაციიდან და არენდიდან, კოლექტიური მეურნეობის საშემოსავლო გადასახადი, საბაჟო გადასახადი, სარეწარმო გადასახადი, საკურორტო გადასახადი, სატყეო შემოსავალი, სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, სატრანსპორტო საშუალებათა და თვითმავალი მექანიზმების გადასახადი, ტურისტული გადასახადი, რომელსაც მოგებიდან (შემოსავლებიდან) ახდენიან იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც არ შედიან შესაბამისი ადგილობრივი მეურნეობის შემადგენლობაში, სხვა შემოსავლები საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ბიუჯეტების შემოსავლებში ჩაირიცხება სახელმწიფო გადასახადებიდან ანარიცხების ნაწილი და შემოსავლებიდან: ბრუნვის გადასახადიდან, მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან, ზემდგომი ორგანიზაციების კუთვნილი საწარმოების და ორგანიზაციების მოგების გადასახადიდან, სხვა შემოსავლებიდან. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად, საქალაქო და რაიონული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შეუძლიათ შექმნან ბიუჯეტის გარეშე სახსრები: საწარმოების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, კოოპერატივებისა და მოსახლეობის ნებაყოფლობითი შენატანებისაგან, ადგილობრივი მნიშვნელობის სესხების ობლიგაციების რეალიზაციიდან, ქვემდებარე ტერიტორიაზე განხორციელებული ეკონომიკური, სოციალური ღონისძიებებიდან მიღებული შემოსავლებიდან, მათ მიერ დაწესებული სხვადასხვა გადასახადიდან, საქველმოქმედო შემოწირულობებიდან.

მუხლი 26. ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები. ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები გამოიყენება იმ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, რომლებსაც ახორციელებენ ადგილობრივი დაქვემდებარების დაწესებულებები და ორგანიზაციები განათლების, მეცნიერების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ფიზიკური კულტურის, სპორტის დარგში და სხვა; ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების განვითარების, აგრეთვე, ეკოლოგიური და სხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად. მმართველობის ადგილობრივი ორგანოების შენახვაზე, თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოებისათვის საბიუჯეტო სესხის, მიზნობრივი დოტაციის ან სუბვენციისათვის, საბანკო კრედიტის, სახელმწიფო ვალისა და ზემდგომი ბიუჯეტიდან მიღებული სესხის დასაფარავად, სხვა ღონისძიებებისათვის, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინან-

სებას; ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ თავიანთი სახსრებით სააქციო და საპაიო საფუძველზე საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების შექმნაში და საქმიანობაში, არსებული კანონმდებლობის ფარგლებში განხორციელონ ფასების სახელმწიფო პოლიტიკა მოცემულ ტერიტორიაზე, მათი კომპეტენციის ფარგლებში დაამტკიცონ კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების ტარიფები; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უფლება აქვთ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში განხორციელონ საგარეო-ეკონომიკური კავშირები საზღვარგარეთელ პარტნიორებთან, დადონ ხელშეკრულებები, შექმნან ერთობლივი საწარმოები, მოაწყონ საზღვრისპირა ვაჭრობები საბიუჯეტო რესურსების გადიდების მიზნით; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ქმნიან სავალუტო ფონდებს მათ ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების და ორგანიზაციების სავალუტო შემოსავლებიდან და საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა წყაროებიდან; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, საწარმოებთან, კოოპერატივებთან, ერთად ნებაყოფლობით საწყისებზე აერთიანებს ფინანსურ რესურსებს ერთობლივი სოციალური და ეკონომიკური პროგრამების განხორციელებლად და მათი კომპეტენციის სხვა სფეროებში ერთობლივი ღონისძიებების გასატარებლად; ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის საკასო აღსრულებას ახორციელებს საბანკო დაწესებულებები, სადაც ინახება თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების სახსრები; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უზრუნველყოფენ ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის აღრიცხვას და პერიოდულად წარადგენენ ინფორმაციას მისი შესრულების შესახებ კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 27. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ძირითადი საბიუჯეტო უფლებები. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად დამოუკიდებლად ადგენენ და ამტკიცებენ ადგილობრივ ბიუჯეტებს; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად წყვეტენ საკითხს ადგილობრივი გადასახადებისა და შენატანების შემოღების, გაუქმების, მათი განაკვეთების ცვლილებებისა და აღნიშნული გზით მიღებული ფინანსური სახსრების გამოყენების შესახებ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საბიუჯეტო პროცესის განხორციელებაში ჩაუტრეკლობა ზემდგომი ორგანოებიდან გარანტირებულია საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით. ურთიერთობა რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის რეგულირდება საქართველოს რესპუბლიკის კანონით საბიუჯეტო უფლებებისა და გადასახადების შესახებ.

ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი გარანტიები და სამართო რეაგირება უზრუნველყოფა

მუხლი 28. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს რწმუნებულები ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებში. ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში რესპუბლიკის უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებათა განხორციელებისა და საერთო რესპუბლიკური ინტერესების უზრუნველყოფისათვის წესდება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს რწმუნებულის თანამდებობა (შემდგომში — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს რწმუნებულები); საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს რწმუნებულები დაინიშნებიან საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიაზე 4 წლის ვადით; საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს რწმუნებულთა კომპეტენციას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს რწმუნებულის შესახებ“.

მუხლი 29. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და თანამდებობის პირების აქტებით თვითმმართველობის საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს; თვითმმართველობის საბჭოს თავმჯდომარე (მოუტრავი) გამოსცემს განკარგულებებსა და ბრძანებებს; თვითმმართველობის საბჭოს გამგეობა იღებს გადაწყვეტილებებსა და გამოსცემს განკარგულებებს; რეფერენდუმით მიიღება გადაწყვეტილება; თვითმმართველობის საბჭოს შეუძლია ნება მისცეს თვითმმართველობის საზოგადოებრივ ორგანოებს განსაზღვრულ საკითხებზე მიიღონ ნორმატიული ხასიათის აქტები; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, თანამდებობის პირების კომპეტენციის ფარგ-

ლებში მიღებული აქტების შესრულება სავალდებულოა თვითმმართველობის ტერიტორიაზე არსებული ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის, აგრეთვე თანამდებობის პირებისა და მოსახლეობისათვის.

მუხლი 30. თვითმმართველობის სხვადასხვა აქტების იურიდიული ძალა. თვითმმართველობის აქტებს შორის უმაღლესი იურიდიული ძალისაა ადგილობრივი რეფერენდუმის გადაწყვეტილებები, რომლებიც მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებზე მიიღება. მათი გაპროტესტება შეუძლია მხოლოდ საქართველოს უზენაესი საბჭოს რწმუნებულს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში; თვითმმართველობის ცალკეული სტრუქტურული ერთეულების აქტებს შორის უპირატესი იურიდიული ძალა აქვს თვითმმართველობის რაიონული საბჭოებისა და რესპუბლიკური ქალაქების თვითმმართველობის საბჭოების გადაწყვეტილებებს, მათდამი დაქვემდებარებულ შესაბამის ტერიტორიაზე; საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს რწმუნებულებს უფლება აქვთ დარღვეონ, მაგრამ არა უშეუტეს ერთი თვისა, შეაჩერონ თვითმმართველობის აქტების (გარდა რეფერენდუმით მიღებული გადაწყვეტილებისა) მოქმედება. ამ ვადის განმავლობაში მათ სსსამართლოში უნდა შეიტანონ მოტივირებული პროტესტი; ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ კანონით დადგენილი წესით გაასაჩივრონ საბჭოების, გამგეობებისა და თანამდებობის პირების გადაწყვეტილებები და განკარგულებები სახალხო სასამართლოში, არბიტრაჟში ან თვითმმართველობის შესაბამის საბჭოში, ხოლო თვითმმართველობის საბჭოს გადაწყვეტილებები — თვითმმართველობის შესაბამისი საფეხურის ზედა საბჭოში.

მუხლი 31. თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების პასუხისმგებლობა. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საკუთარი ინიციატივით ან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს რწმუნებულის წინადადებით შეუძლია დაშალოს თვითმმართველობის საბჭო თუ იგი:

— უხეშად არღვევს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას;

— კომპეტენტური ორგანოების გაფრთხილების მიუხედავად სისტემატურად უგულებელყოფს საქართველოს რესპუბლიკის კანონების მოთხოვნებს;

— ფაქტობრივად არ მოქმედებს, რაც იმით გამოიხატება, რომ კანონით დადგენილი მინიმალური შემადგენლობით არ შეიკრებება სესიებზე ექვსი თვის განმავლობაში.


თვითმმართველობის საბჭოს თავმჯდომარე (მოურავი) თავისუფლდება თანამდებობიდან თვითმმართველობის საბჭოს სესიის გადაწყვეტილებით, რომელსაც მიიღებს საბჭოს წევრთა (ხმოსანთა) სულ ცოტა სამი მეოთხედი. თავმჯდომარის (მოურავის) თანამდებობიდან განთავისუფლების საკითხი შეიძლება დაისვას ხმოსანთა საერთო რაოდენობის ერთი მეოთხედის ან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს რწმუნებულის მოთხოვნით.

თვითმმართველობის საბჭოს თავმჯდომარის (მოურავის) გაწვევის საკითხი შეიძლება დააყენოს საბჭოს წევრთა (ხმოსანთა) საერთო რაოდენობის არანაკლებ ერთმა მეოთხედმა ან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს რწმუნებულმა. გაწვევის წესს განსაზღვრავს საბჭოს რეგლამენტი და შესაბამისი კანონი გაწვევის წესის შესახებ.

კანონით დადგენილი წესით ადგილობრივი თვითმმართველობის საბჭოს შეუძლია რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წინაშე დააყენოს საკითხი რწმუნებულის გაწვევის შესახებ.

თვითმმართველობის საბჭოს დაშლის ან საბჭოს თავმჯდომარის (მოურავის) განთავისუფლების ან გაწვევის შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი არა უგვიანეს 2 თვისა ნიშნავს ახალ არჩევნებს.

ახალი არჩევნების ჩატარებამდე თვითმმართველობის საბჭოს თავმჯდომარის (მოურავის) ან დაშლილი თვითმმართველობის საბჭოს გამგეობის შესაბამის უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს რწმუნებული მის მიერ ჩამოყალიბებულ დროებით კომიტეტთან ერთად.



ადგილობრივი თვითმმართველობის

ტერმინოლოგიური საკითხები

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გარდამავალ პერიოდში „უნდა მომზადდეს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის რეალური საფუძვლები“ (საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის პრეამბულა). ამ პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა უცხო ძალის ზეგავლენით უკუგდებული და დროთა განმავლობაში მივიწყებული ეროვნული სახელმწიფო-სამართლებრივი ინსტიტუტების დამკვიდრება. ამჯერად, ადგილობრივი თვითმმართველობის კანონმდებლობის შემუშავებასთან დაკავშირებით, წამოიჭრა იმ ტერმინების აღდგენის საკითხი, რომლებიც გამოიყენებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სათანადო საკანონმდებლო აქტებში.

როგორი უნდა იყოს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ზოგადი სახელწოდება?

ამ ბოლო დროს დაიწყეს ლაბარაკი მუნიციპალიტეტის, მუნიციპალური არჩევნების შესახებ და ა. შ. ჩვეულებრივ სიტყვათხმარებაში ასეთი ტერმინების გამოყენება, ცხადია, დასაშვებია; კანონმდებლობაში კი მათი დამკვიდრება, ვფიქრობთ, გაუმართლებელი იქნებოდა. ოფიციალურად, იურიდიული ტერმინის სახით უნდა დამკვიდრდეს „თვითმმართველობა“, „ადგილობრივი თვითმმართველობა“, „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები“, რომლებიც გამოიყენებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აქტებში. ასე მაგალითად, 1918-1921 წლებში მიღებულ ქართულ სამართლებრივ აქტებში იხსენიება „თვითმმართველობის საორგანიზაციო ხარჯი“, „ქალაქ ტფილისის თვითმმართველობა“, „თვითმმართველ ერთეულთა საზღვრების დაწესება და შეცვლა“, „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაცია, უფლება-მოვალეობა და მართვა-გამგეობის წესი“, „მილიციის ადგილობრივ თვითმმართველობათა ხელში გადაცემა“, „ადგილობრივ თვითმმართველობათა ორგანოებში ენის ხმარება“ და სხვა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მიხედვით, „ადგილობრივი თვითმმართველობა არის იმავე დროს ორგანო ადგილობრივი მმართველობისა“, „ადგილობრივი თვითმმართველობა ირჩევა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი, ფარული და პროპორციული საარჩევნო წესით“, „ადგილობრივ თვითმმართველობას უფლება აქვს გამოსცეს სავალდებულო დადგენილება“, „ადგილობრივ თვითმმართველობის დადგენილება და განკარგულება შეიძლება გაუქმებულ იქნეს მხოლოდ სასამართლოს წესით“, „მთავრობის ცენტრალურ ორგანოებს უფლება აქვთ შეაჩერონ ადგილობრივი თვითმმართველობის დადგენილება და განკარგულება, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს...“

ამგვარად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილი იქნება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობაში შემოვიდეს ტერმინები „ადგი-

ლობრივი თვითმმართველობა“ და „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციები“.

საქართველოს სსრ 1978 წ. კონსტიტუცია ითვალისწინებდა, რომ „რაიონებში, ქალაქებში, ქალაქის რაიონებში, დაბებსა და სოფლებში სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს წარმოადგენენ შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბჭოები“.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ასეთი სახელწოდება — „სახალხო დეპუტატთა საბჭოები“ თანამედროვე პირობებში მიუღებელია და იგი სხვა ტერმინით უნდა შეიცვალოს.*

სიტყვათშეწყობაში — „სახალხო დეპუტატთა საბჭოები“ — სიტყვა „სახალხო“ იდეოლოგიური შინაარსის მატარებელია და ამიტომ ახლა მიუღებელი. „დეპუტატი“ აქ სწორედ იხმარება და მისი ამ სახით გამოყენება დასაშვებია, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ „უზენაესი საბჭოს დეპუტატი“ უმართებულო ფორმად იქნა მიჩნეული, „ადგილობრივი საბჭოს დეპუტატი“ მიუღებელ ტერმინად ჩაითვლება. რაც შეეხება „საბჭოს“, ყოვლად გაუმართლებელია მისი გაიგივება საბჭოთა სისტემასთან და იგი ახალ კანონმდებლობაშიც უნდა იქნეს შენარჩუნებული. საქმე ისაა, რომ „საბჭო“ ძველი ქართული ტერმინია, რომელიც ღრმადაა აღბეჭდილი ხალხის მეხსიერებაში. სპეციალური ტერმინის სახით იგი განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ქართველ მთიელთა ყოფა-ცხოვრებაში. აქ საკმარისია გავიხსენოთ „სამების საბჭო“, რომელიც აღწერილია ა. ყაზბეგის მოთხრობაში — „ხევისბერი გოჩა“: „ყველანი სამებისაკენ გაემართნენ, ისინი მიეშურებოდნენ იმ ტაძრისკენ, სადაც თემის ყრილობა უნდა მომხდარიყო, სადაც თემის საბჭო იყო გამართული და სადაც ერთხელ ხალხისგან გადაწყვეტილებას ყველა მთიელი ემონებოდა და განუკითხველად ასრულებდა“. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამომცხადებელ ორგანოს „საბჭო“ („საქართველოს ეროვნული საბჭო“) ერქვა. ტერმინი „საბჭო“ გამოიყენებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონმდებლობაში („ქალაქის საბჭო“, „ქალაქთა საბჭოები“).

იმის გათვალისწინებით, რომ „უზენაესი საბჭოს დეპუტატი“ „უზენაესი საბჭოს წევრით“ შეიცვალა, „ადგილობრივი საბჭოს დეპუტატსაც“ ახალ პირობებში „თვითმმართველობის საბჭოს წევრი“ დაერქმევა. ამასთან ერთად, მიზანშეწონილია აღდგეს სპეციალური იურიდიული ტერმინი, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში და უფრო ადრეც სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობის წევრის აღსანიშნავად იხმარებოდა. მხედველობაშია ტერმინი „ხმოსანი“. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ: „ხმოსანი... 3. რევოლუციამდელი ქალაქის თვითმმართველობის ან ერობის საბჭოს დეპუტატი“, „ხმოსნობა... ხმოსნის ადგილი, დეპუტატობა ქალაქის თვითმმართველობაში“ (საილუსტრაციო მასალად მოყვანილია ილია ჭავჭავაძის სიტყვები — გ. თუმანოვმა „მიიღო ხმოსნობა ამ ძმურად შემდგარ საბჭოში“). განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 17 დეკემბერს მიიღო საგანგებო საკანონმდებლო აქტი — „დებულება ქალაქთა საბჭოების ხმოსანთა არჩევნე-

* საქართველოს რესპუბლიკის 1991 წ. 29 იანვრის კანონით სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს „სახალხო დეპუტატთა საბჭოების“ ნაცვლად ეწოდა „საკრებულოები“.

ბიასა“. ამ დეტალებით დადგენილია, რომ „ქალაქის საბჭოს ხმოსნები ამერიკულ ვიან ორი წლის ვადით. ხმოსანთა რიცხვის რაოდენობა თვითეული ქალაქისთვის განსაზღვრულია... დართულის ნუსხით“ (დებულებას ერთვის „ნუსხა ქალაქთა საბჭოებში ასარჩევ ხმოსანთა რიცხვისა“). შემდგომში (1919 წლის 14 და 15 იანვარს) საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონები „ქალაქთა საბჭოების ხმოსანთა საარჩევნო დებულების შეცვლისა და დამატებისა“ და ამ აქტის ძალაში შესვლის შესახებ.

ეს ძასალები თვალნათლივ ადასტურებენ იმის საჭიროებას, რომ ტერმინმა „ხმოსანმა“ დაიმკვიდროს თავისი კუთვნილი ადგილი საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობაში.

ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოს საქ. სსრ 1978 წ. კონსტიტუციით აღმასრულებელი კომიტეტი ეწოდებოდა. ასეთი სახელწოდება არ შეესატყვისება ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოს, ვინაიდან, იგი საბჭოს გადაწყვეტილებათა აღსრულებასთან ერთად გამგებლობით საქმიანობასაც განახორციელებს. ამიტომ, მიზანშეწონილია აღდგეს იურიდიული ტერმინი „გამგეობა“, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონმდებლობაში გამოიყენებოდა. იმდროინდელ სამართლებრივ აქტებში იხსენიება „სამაზრო საერობო გამგეობა“, „ქალაქის გამგეობა“, „საქალაქო და სამაზრო გამგეობანი“, „ადგილობრივი თვითმმართველობის გამგეობა“ (საქართველოს პარლამენტის 1919 წლის 28 იანვრის კანონის მიხედვით, „შინაგან საქმეთა მინისტრს შეუძლიან გადააყენოს თანამდებობიდან როგორც საქალაქო მილიციის უფროსი, ისე სამაზრო კომისარი და მისი თანაშემწენი. საბოლოო დათხოვნის შესახებ კი მინისტრი წინადადებას აძლევს ადგილობრივ თვითმმართველობის გამგეობას“).*

და ბოლოს, საგანგებოდ უნდა ითქვას ძველი ქართული ტერმინის — „მოურავის“ შესახებ, რომლის დამკვიდრებაც საჭიროა თვითმმართველობის ორგანოს ხელმძღვანელის აღსანიშნავად (თუნდაც „თავმჯდომარის“ პარალელურად).

„მოურავის“ ის მნიშვნელობა, რომელიც ჩვენ ამჟამად გვინტერესებს, ასეა გადმოცემული ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში — „რომელიმე პროვინციის, ქალაქის, თემის და მისთ. გამგე“ (ლექსიკონში საილუსტრაციოდ დასახელებულია „ქართლის მოურავი“, „თბილისის მოურავი“, „გორისა და ქიზიყის მოურავები“, დიდი მოურავი — გიორგი სააკაძე).

საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 17 დეკემბერს მიღებული ზემოაღნიშნული „დებულება ქალაქთა საბჭოების ხმოსანთა არჩევნებისა“ რამდენიმეჯერ იხსენიებს „ქალაქის მოურავს“ („დღე, საათი, და ადგილი არჩევნებისა ქალაქის მოურავმა... უნდა გამოაცხადოს საყოველთაოდ იმ საშუალებით, რომელსაც მიიღებს ქალაქის საბჭო“, „ამომრჩევლებს უფლება აქვთ წარუდგინონ ქალაქის მოურავს სიები იმ კანდიდატებისა, რომელთაც განუცხადებიათ სურვილი კენჭის ყრისა“, „ყველა სია წარედგინება ქალაქის მოურავს, რომელიც დანომრავს მათ“, „ხმოსანთა არჩევნების მოსაწესრიგებლად უნდა

* საქართველოს რესპუბლიკის 1991 წ. 29 იანვრის კანონით სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს რაიონული დაქვემდებარების ქალაქებში, ქალაქის რაიონებში, თემებში, სოფლებსა და დაბებში აღმასრულებელი კომიტეტების ნაცვლად ეწოდათ „გამგეობა“ („გამგებელი“).

შესდგეს ქალაქის საარჩევნო კომისია ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით, ამ კომისიაში ქალაქის მოურავი მოიწვევს სამ პირს ამომრჩეველთაგან. **ქალაქის მოურავი**

მოვიყვანთ ამონაწერს ისეთი საყოველთაოდ აღიარებული გამოცემის, როგორცაა ქართული ენციკლოპედია (ტ. 7, გვ. 147): „მოურავი — ადგილობრივი მმართველობის მოხელე ძველ საქართველოში... იგი იყო... პროვინციის ქალაქის, სოფლის (თემის) გამგე. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო ქიზიყის, ყაზახისა და არაგვის მოურავობა. ფართოდ იყო გავრცელებული სოფლის მოურავობა. ქალაქების მოურავებიდან პირველი ადგილი ეჭირათ თბილისისა და გორის მოურავებს. მოურავი ქალაქის უპირველესი მოხელე იყო. მას ემორჩილებოდნენ ქალაქის მოხელები — მელიქი, მამასახლისი, ნაცვალი და ასახები... მოურავობა იმდენად... საბატიო თანამდებობა იყო, რომ ბატონიშვილებიც კი არ ამბობდნენ უარს ამ სახელოზე. მიგალითად, იესე ბატონიშვილი ერთ დროს თბილისის მოურავი იყო“.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ადგილობრივი მართველობის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენლის **ქალაქის მოურავის** თანამდებობა წმინდა ქართული წარმოშობისაა. „საქართველოს რუსეთთან შეერთებისთანავე... მეფის რუსეთის მთავრობამ მაშინვე დაიწყო ადგილობრივი ქართული მმართველობის აპარატის მოსპობა“. „ადგილობრივი თავდაზნაურობა გრძნობდა, რომ მოურავობასაც მალე დაკარგავდნენ. მოურავობის გაუქმება ქართველ თავადობას მასობრივად ჩამოაცილებდა ქვეყნის მართველ-გამგებობას. ამიტომ თავდაზნაურობა თავგამოდებული და დარაზმული იბრძოდა მოურავობის შესანარჩუნებლად, რის გამო რუსეთის მთავრობამ ვერ გაბედა ერთი დაკვირვებით მოესპო ქვეყნის მართველ-გამგებობის ეს შუასაუკუნეების ქართული ფეოდალური ინსტიტუტი და მისი თანდათან გაუქმების გზას დაადგა“. „მოურავობა საქართველოში გაუქმებული იქნა... ცარიზმის ღონისძიებების შედეგად XIX საუკუნის პირველ ნახევარში. თუმცა მემამულეთა მამულების გამგებლებად შემდეგაც ინიშნებოდნენ მოურავები, მაგრამ ის ისეთი სახის მოხელეს აღარ წარმოადგინდა თავისი ფუნქციებით, როგორც ადრე იყო“ (ჭ. კოპალიანი, **მოურავის სახელო ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1982, გვ. 5, 67-68, 71**).

მოურავობის შემოღება და მისი აღიარება ადგილობრივი თვითმმართველობის უპირველეს თანამდებობად იქნება ისტორიული სამართლის აღდგენა, მემკვიდრეობითობის განმტკიცება ეროვნულ სახელმწიფო-სამართლებრივ მშენებლობაში.

ერთი უხერხულობა რომ არა, მოურავობასთან ერთად მამასახლისობის აღდგენაც შეიძლებოდა. საქმე ისაა, რომ ამ ტერმინში აშკარადაა გამოკვეთილი პატრიარქალური, მამაკაცური საწყისი (მამა-სახლისი). ამის გამო ძნელი წარსადგენია აღნიშნულ თანამდებობაზე ქალის მუშაობა. ეს კი საგნებით მოსალოდნელია თანამედროვე პირობებში. ამიტომ არ იქნება გამართლებული მამასახლისის თანამდებობის შემოღება ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემაში.

ავთანდილ კობახიძე

ნივთმტკიცების ბედი და ზარალის ანაზღაურება ამნისტიის შეფარდების დროს

ამნისტიის შეფარდება რთული პროცესუალური მოქმედებაა, რომლის დროსაც იშვიათი როდია შეცდომები და დარღვევები.

ამჟამად შევეხებით პრობლემის ერთ მხარეს, კერძოდ იმას, თუ რა ბედი უნდა ეწიოს საქმეზე დართულ ნივთმტკიცებასა და დაყადაღებულ ქონებას და როგორ გადაწყდეს დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურება მაშინ, როცა ამნისტიის აქტის საფუძველზე პირი თავისუფლდება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.

როგორც ცნობილია, ამნისტია ეფარდება როგორც მსჯავრდებულს, ისე განსასჯელს, ბრალდებულსაც და ექვმიტანილსაც, მათ შორის იმასაც, ვის მიმართაც საქმე არ არის ჯერ აღძრული. მთავარია, რომ დანაშაული ჩადენილი იყოს ამნისტიის აქტის გამოცემამდე და ეხებოდეს ამ დანაშაულს და მის ჩამდენ პირს. ამნისტიის შეფარდებას ახდენენ სასამართლოები, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოები. კერძოდ, სასამართლო ამნისტიას უფარდებს მსჯავრდებულებს, რომლებმაც სასჯელი უნდა მოიხადონ ან უკვე იხდიან; განსასჯელს, რომელიც სამართალშია მიცემული, მაგრამ საქმის განხილვა ჯერ არ დაწყებულა; ბრალდებულს, რომელიც ჯერ სამართალში არ არის მიცემული.

როცა ამნისტია დანაშაულის ჩამდენ პირს მთლიანად ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან, ამნისტიას იყენებს გამოძიებისა და მოკვლევის ორგანოც, რომელიც დადგენილებით წყვეტს აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს ანდა იგივე დადგენილებით არ აღძრავს საქმეს ამ პირის მიმართ. მაგრამ თუ გამოძიების (მოკვლევის) მიერ საქმე უკვე გადაცემულია სასამართლოზე ბრალდებულის მიმართ, საქმის შეწყვეტას ახდენს სასამართლო განმწესრიგებელ სხდომაზე, ხოლო თუ სასამართლომ ბრალდებული უკვე მისცა სამართალში, ასეთი განსასჯელის მიმართაც, როცა საქმის განხილვა ჯერ არ დაწყებულა, სასამართლო ამნისტიის შეფარდებას ახდენს განმწესრიგებელ სხდომაზე (თუ სამართალში მიცემა მოხდა განმწესრიგებელ სხდომაზე, ასეთი სხდომა ჩატარდება განმეორებით).

ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იურიდიულ პერიოდიკაში გამოთქმულ მცდარ მოსაზრებას, რომლის მიხედვით სასამართლოს, რომელმაც უკვე სამართალში მისცა ბრალდებული, თითქოს უფლება აღარ ჰქონდეს განმწესრიგებელ სხდომაზე შეწყვეტოს ეს საქმე თუნდაც დაწყებული არ იყოს მისი განხილვა¹.

¹ См. журн. «Социалистическая законность», 1983, № 11.

კანონის მოთხოვნის ასეთმა განმარტებამ შესაძლოა არასასურველი პრაქტიკული შედეგები გამოიწვიოს. საქართველოს რესპუბლიკის სისხლის საწარმოების საპროცესო კოდექსის მე-5 და 233-ე მუხლები (ასევე სხვა რესპუბლიკების კოდექსების შესაბამისი მუხლებიც) გარკვევით მიუთითებენ, რომ როცა ამნისტია პირს ათავისუფლებს სასჯელისაგან ჩადენილი ქმედობისათვის, სასამართლო წყვეტს საქმეს განმწესრიგებელ სხდომაზე, ხოლო თუ საქმის განხილვა უკვე დაწყებულია, ბოლომდე მიიყვანს მას და დაადგენს განაჩენს მსჯავრდებულის სასჯელისაგან განთავისუფლებით.

ზემოაღნიშნული მოსაზრება კი ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნას და იუსტიციის სამინისტროს ბრძანებებს ამ საკითხზე, და ცხადია, ეწინააღმდეგება თვით სასამართლო პრაქტიკასაც. სასამართლომ, თუ ის ამ მცდარი მითითების ზეგავლენით არ მოქმედებს, საკითხი უნდა გადაწყვიტოს კანონის შესატყვისად. როცა ამნისტია მთლიანად არ ათავისუფლებს პირს სასჯელისაგან (მხოლოდ უმცირებს სასჯელს ან გარკვეული ვადით თავისუფლების აღკვეთას ეხება და კანონის სანქცია, რომლითაც ბრალი ედება პირს, მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს), საქმის შეწყვეტა არ დაიშვება არც გამოძიებაში და არც სასამართლოს განმწესრიგებელ სხდომაზე. ასეთ დროს საქმე უნდა განიხილოს სასამართლომ და განაჩენით გადაწყვიტოს მსჯავრდებულის სასჯელისაგან მთლიანად თუ ნაწილობრივ განთავისუფლების საკითხი.

იმ მსჯავრდებულთა მიმართ, რომელთაც ადრე, ამნისტიის გამოცემამდე შეეფარდათ სასჯელები, ანდა სასამართლოს გამორჩა ამნისტიის გამოყენება, ამნისტიის გამოყენება ხდება ზემდგომი სასამართლოს მიერ ან იგივე სასამართლოს განჩინებით საპროცესო კოდექსის 379-380-ე მუხლების საფუძველზე, განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის წესით.

როგორც ვხედავთ, ამნისტიის შეფარდება ხდება როგორც სასამართლოს განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისა და მსჯავრის დადების დროს, ისე საკასაციო სასამართლოს განჩინებით ან საზედამხედველო ინსტანციის სასამართლოს დადგენილებით, ანდა საქმის შეწყვეტის შესახებ იგივე სასამართლოს განჩინებით, ასევე გამოძიების და მოკვლევის ორგანოს დადგენილებით. ყველა ასეთ შემთხვევაში საჭიროა გადაწყდეს საკითხი, თუ რა ბედი უნდა ეწიოს დანაშაულით მიყენებულ ზარალს, საქმეზე დართულ ნივთმტკიცებას და დაყადაღებულ ქონებას.

როცა საქმე განაჩენის გამოტანით მთავრდება, ეს საკითხი ძნელი გადაწყვეტი არ არის, რადგან სასამართლო განაჩენით დაადგენს ყველაფერ ამას კანონის შესაბამისად და მსჯავრდებულის შემდგომში სასჯელისაგან განთავისუფლება არ შეცვლის განაჩენის იმ ნაწილს, რომელიც ნივთმტკიცებას თუ ზარალის ანაზღაურებას შეეხება.

უფრო რთულია საკითხი, როცა საქმის წარმოება წყდება ამნისტიის საფუძველზე ანდა ამავე საფუძველზე საერთოდ არ აღიძვრება. ასეთ შემთხვევაში კანონი არ ითვალისწინებს თუ როგორ უნდა გადაწყდეს დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება და მხოლოდ სასამართლოში საქმის შეწყვეტისას ითვალისწინებს დანაშაულის იარაღის თუ სხვა ნივთმტკიცების და დაყადაღებული ქონების ბედის გადაწყვეტას.

სახელდობრ, საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებულია, რომ „როცა არსებობს სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის სა-

ფუძველი (მათ შორის ამნისტიის აქტის გამოყენებით), სასამართლო აუქციონს გამოყენებულ აღმკვეთ ღონისძიებას, აგრეთვე სამოქალაქო სარჩელისა და ქონების შესაძლებელი კონფისკაციის უზრუნველყოფის ღონისძიებებს და წყვეტს საკითხს ნივთიერი მტკიცებულებების შესახებ“.

როგორც ვნედავთ, ზარალის ანაზღაურების შესახებ აქაც არაფერია ნათქვამი, რაც სრულიად გაუმართლებელია. აღნიშნული ხარვეზის ერთგვარი შევსებაა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1980 წლის 28 ნოემბრის № 8 დადგენილების მე-8 პუნქტის მესამე ნაწილი, სადაც განმარტებულია, რომ სასამართლომ განმწესრიგებელ სხდომაზე საქმის შეწყვეტის დროს „უნდა გადაწყვიტოს საკითხი ნივთმტკიცების შესახებ აღკვეთის ღონისძიების გაუქმების, სამოქალაქო სარჩელის და ქონების კონფისკაციის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე. ამასთან, სასამართლო ვალდებულია განუმარტოს დანატერესებულ პირებს მათი უფლება კერძო საჩივრის შეტანისა და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო სარჩელის წარდგენის შესახებ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით“.

ცხადია, აღნიშნულმა განმარტებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სასამართლოებს საკითხის სწორად გადაწყვეტაში, მაგრამ ამით მაინც არ არის გასწორებული ის ნაკლი, რაც საპროცესო კანონს აქვს. ჯერ ერთი, აღნიშნული განმარტებაც არ არის სრული, რაზედაც ქვემოთ იქნება ნათქვამი, მეორეც — თვით კანონში უნდა იყოს მითითებული იმ საკითხების გადაწყვეტის შესახებ, რასაც გვერდს ვერ აუვლის ვერც სასამართლო და ვერც გამოძიების ორგანო. ერთ-ერთი ასეთი საკითხი კი სწორედ დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურება და დანაშაულის იარაღის ბედის გადაწყვეტაა.

სამწუხაროდ, ასეთი მითითება არ არის საპროცესო კოდექსის იმ მუხლებში, სადაც ლაპარაკია სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტაზე ამნისტიის აქტის გამო ან საქმის არაღძვრაზე. სახელდობრ, კოდექსის მე-5 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს, რომ სისხლის სამართლის საქმე არ შეიძლება აღიძრას, ხოლო აღძრული საქმე უნდა შეწყდეს ამნისტიის აქტის გამო, თუ ის ათავისუფლებს სასჯელისაგან ჩადენილი ქმედობისათვის (მე-4 პუნქტი), არაფერს ამბობს, თუ რა ბედი უნდა ეწიოს ქმედებით მიყენებულ ზარალს ანდა ნივთმტკიცებას. ეს ენება აგრეთვე ამ მუხლის იმ პუნქტებს, რომლებიც ითვალისწინებს საქმის შეწყვეტას ხანდაზმულობის, გარდაცვალების თუ სხვა არამარეაბილიტირებელი საფუძველით, აგრეთვე ამავე კოდექსის მე-6 და მე-9 მუხლებით საქმის შეწყვეტასაც (ვითარების შეცვლა, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში გადაცემა, საქმის ამხანაგურ სასამართლოზე ან არასრულწლოვანთა კომისიაზე გადაცემა, პირის თავდებქვეშ გადაცემა).

ასევე, საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლი, რომელიც საქმეზე წინასწარი გამოძიების დამთავრებას ენება, მეორე ნაწილში ჩამოთვლის საქმის წარმოებით შეწყვეტის საფუძველებს (მათ შორის ამნისტიასაც), მაგრამ არაფერს უთითებს ნივთმტკიცებისა და დაყადაღებული ქონების ბედის გადაწყვეტაზე, აგრეთვე, დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე.

ნივთმტკიცების ბედის გადაწყვეტა ყველა შემთხვევაში ხდება საპროცესო კოდექსის 77-ე მუხლის შესაბამისად. ამ მუხლში კი მითითებულია, რომ ეს საკითხი წყდება როგორც სასამართლოს განაჩენით, ისე განჩინებით და დადგენილებით საქმის შეწყვეტის შესახებ. ცხადია, აქ „დადგენილების“ ქვეშ იგულისხმება როგორც სასამართლოს დადგენილება, ისე გამოძიებისა და მოკვლე-

ვის ორგანოს მიერ გამოტანილი დადგენილება. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ნივთმტკიცება, რომელიც დანაშაულის იარაღს წარმოადგენს, კონფისკაციაქმნილი უნდა იქნეს. ასევე ადგენს ეს მუხლი ნივთმტკიცების ბედის გადაწყვეტას სხვა შემთხვევაშიც. ე. ი. კანონმდებელი ადგენს, როგორ უნდა გადაწყდეს ნივთმტკიცების ბედი სასამართლოს თუ გამოძიების მიერ, მაგრამ არაფერს გვეუბნება, თუ როდის უნდა გადაწყდეს ეს საკითხი; კერძოდ კი იმაზე, რომ საკითხი უნდა გადაწყდეს წინასწარ გამოძიებაში საქმის შეწყვეტის თუ საქმის არაღძვრის დროსაც ამნისტიის შეფარდების და სხვა არამარეაბილიტირებელი საფუძვლის გამო.

რა თქმა უნდა, როცა საქმე არ იქნება აღძრული ამნისტიის აქტის გამო, ქონების დაყადაღებაც არ მოხდება და არც ნივთმტკიცებად იქნება ცნობილი საგნები, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დანაშაულის იარაღის ბედი არ იქნეს გადაწყვეტილი და საჭირო არ გახდეს ქმედებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება. ამიტომ, საქმის არაღძვრის დადგენილებაშიც კი იქნება საჭირო ამის შესახებ მითითება. მით უფრო ითქმის ეს საქმის შეწყვეტის დადგენილებაზე.

ამასთან ერთად, როგორც ითქვა, არც საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საკითხის გადაწყვეტაა სრულყოფილი, კერძოდ, ამ მუხლში მითითებულია, რომ სასამართლო საქმის შეწყვეტის დროს აუქმებს სამოქალაქო სარჩელისა და ქონების შესაძლებელი კონფისკაციის უზრუნველყოფის ღონისძიებებს (ე. ი. ყადაღას ქონებაზე) და არაფერს ამბობს თუ როგორ უნდა გადაწყდეს ზარალის ანაზღაურება. ეს ამ მუხლის სერიოზული ხარვეზია.

გარდა ამისა, აღნიშნულ მუხლს და პლენუმის დასახელებულ განმარტებას სხვა ნაკლიც გააჩნია. კერძოდ, ქონებაზე ყადაღის მოხსნა ყოველთვის არ იქნება გამართლებული, ვთქვათ, პირს ასანაზღაურებელი აქვს დიდი ოდენობის თანხა და ამ მიზნით დაყადაღებული იყო მისი კუთვნილი ძვირად ღირებული ქონება. ამ ქონებაზე ყადაღის მოხსნამ შეიძლება შემდგომში შეუძლებელი გახადოს საერთოდ ზარალის ანაზღაურება, რადგან სანამ დაზარალებული სამოქალაქო წესით აღძრავდეს სარჩელს, ეს ქონება შეიძლება გაიყიდოს ან გადაიმალოს. ამიტომ, უმჯობესია, კანონში ნათქვამი იყოს, რომ სასამართლო (გამომძიებელი) თავისი შეხედულებით აუქმებს დადგენილებას ქონების დაყადაღების შესახებ; ე. ი. სავალდებულო არ უნდა იყოს სამოქალაქო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება.

ასევე მიგვაჩნია, რომ ყოველთვის არ უნდა იყოს აუცილებელი ზარალის ანაზღაურების საკითხი სამოქალაქო სამართალწარმოებას გადაეცეს. ზოგიერთ შემთხვევაში ისე ნათლადაა გარკვეული ზარალის ოდენობა და სადაოც აღარაფერია, რომ საჭიროა მხოლოდ კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილება ამ თანხის დაკისრების შესახებ. ასეთ დროს საკითხის გადასაწყვეტად სხვა ორგანოზე გადაცემას შედეგად მოჰყვება მხოლოდ საქმის გაჭიანურება და მხარეთა გაწვავლება, რაც სულაც არ უნდა იყოს კანონმდებლის მიზანი. ამიტომ, კანონში ალტერნატიულად უნდა დაისვას საკითხი საქმის შეწყვეტის დროს დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის დაკისრების ან ამ საკითხის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით გადაცემის შესახებ. თუ შეიძლება ამ საკითხის იმავდროულად გადაწყვეტა — გადაწყვეტს, თუ არა და გადასცემს სამოქალაქო სამართალწარმოებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში შეტანილ უნდა იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 9⁻ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მესამე ნაწილი:

„აღნიშნული საფუძვლით ანდა ამ კოდექსის 5-9 მუხლებში მითითებულ საფუძვლით სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის ან არაღმკვრის დადგენილებაში უნდა მიეთითოს, თუ როგორ გადაწყდეს ნივთმტკიცებისა და დაზარალებულისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების საკითხი“.


2. ამავე კოდექსის მე-200 მუხლის მეორე ნაწილის შემდეგ დაემატოს ასეთი შინაარსის ნორმა:

„სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის დადგენილებით გამომძიებელი აუქმებს აღკვეთის ღონისძიებას, სამოქალაქო სარჩელს ან ქონების შესაძლებელი კონფისკაციის უზრუნველყოფის ღონისძიებებს თავისი შეხედულებით და გადაწყვეტს ზარალის ანაზღაურების საკითხს ან განუშარტავს დაზარალებულს, რომ მას უფლება აქვს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მოითხოვოს მისი ანაზღაურება“.

3. საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების შემდეგ ტექსტი ჩამოყალიბდეს ასეთი რქდაქტით:

„ამასთან, სასამართლო აუქმებს გამოყენებულ აღკვეთის ღონისძიებას, თავისი შეხედულებით გააუქმებს ან დატოვებს სამოქალაქო სარჩელისა და ქონების შესაძლებელი კონფისკაციის უზრუნველყოფის ღონისძიებებს, გადაწყვეტს ნივთმტკიცების ბედს და დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების საკითხს ანდა განუშარტავს დაზარალებულს, რომ მას უფლება აქვს მოითხოვოს ამ ზარალის ანაზღაურება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით“.

დასახელებულ ნორმების შემოთავაზებული ფორმულირება ხელს შეუწყობს კანონის ერთგვაროვან გაგებასა და განხორციელებას, თავიდან აგვაცილებს შეცდომებს, როგორც ამნისტიის შეფარდების დროს, ისე სხვა არამარეაბილიტირებელი საფუძვლით სისხლის სამართლის საქმეთა შეწყვეტისას, უზრუნველყოფს ნივთმტკიცების ბედისა და ზარალის ანაზღაურების საკითხის დროულად და სწორად გადაწყვეტას, თავიდან აგვაცილებს მოქალაქეთა სასამართლოებში სიარულით უმიზნოდ მოცდენასა და გაუთავებელ საჩივრებს.



დაპატიმრებულთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული ნუსხი

1965 წლის 30 აპრილი*

წინასწარი შენიშვნები

1. ქვემოთ ჩამოთვლილი წესების მიზანია არ არის სანიმუშო ხასიათის პენიტენციური დაწესებულებების დაწვრილებითი აღწერა; ისინი განკუთვნილია იმისათვის, რომ თანამედროვე აზროვნების საყოველთაოდ აღიარებული მიღწევების საფუძველზე და დღეისათვის ყველაზე დამაკმაყოფილებელი სისტემების ძირითადი ელემენტების გათვალისწინებით გადმოიცეს, თუ ჩვეულებრივ რა არის პრინციპული და პრაქტიკული თვალსაზრისით დაპატიმრებულთა მოპყრობის და დაწესებულებათა მართვის სფეროში.

2. ნათელია, რომ თუ მხედველობაში მივიღებთ იურიდიული, სოციალური, ეკონომიკური და გეოგრაფიული პირობების მრავალფეროვნებას, ყველა ამ წესის ერთდროულად და ყველგან გამოყენება არ შეიძლება. მაგრამ, ამასთან, უნდა აღძრან სურვილი მათი ხორცშესხმის გზაზე მდგარი პრაქტიკული სირთულეების გადაჭრისა, რადგან მთლიანობაში მოიცავენ იმ მინიმალურ პირობებს, რომლებიც მისაღებად მიაჩნია გაერთიანებული ერების ორგანიზაციას.

3. მეორე მხრივ, ჩამოთვლილი წესები ეხება მოღვაწეობის იმ სფეროს, სადაც აზრი სულ უფრო წინ მიდის. მათი მიზანი არ არის ხელი შეუშალოს ცდების ჩატარებას და ჩამოთვლილი მიზნების მიღწევისაკენ მიმართული პრინციპებისათვის შესაბამისი პრაქტიკის დანერგვას.

4. 1) წესების I ნაწილი ეხება დაწესებულებათა საერთო მართვას და მისაღებია ყველა კატეგორიის პატიმართათვის, დამოუკიდებლად იმისაგან, ისინი დაკავებულნი არიან სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის თუ სამოქალაქო საქმის გამო და უკვე გასამართლებულნი არიან თუ საქმე ჯერ კიდევ ძიების პროცესშია; აგრეთვე გამოსაყენებელია იმ პატიმრებისათვისაც, რომლებსაც მოსამართლის გადაწყვეტილებით დაუნიშნეს „უსაფრთხოების“ ანუ გამოსასწორებელი ღონისძიებანი.

2) მეორე ნაწილში გადმოცემული წესები მისაღებია განსაკუთრებული კატეგორიის პატიმართათვის, რომელთა შესახებ ცალკეულ განყოფილებებშია საუბარი. მაგრამ განყოფილებაში მითითებული წესები გასამართლებული პატიმრებისათვის თანაბრად ეხება იმ კატეგორიის პირებსაც, რომელთა შესახებ სა-

* მიღებულია ენევაში 1955 წელს დამნაშავეობის აღკვეთის და სამართალდამრღვეთა მოპყრობის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პირველ კონგრესზე, მოიწონა ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ 1957 წლის ივლისის 663 (X XIV) რეზოლუციით, 1977 წლის 13 მაისს 2076 და 1984 წლის 25 მაისს 1984/47 რეზოლუციით.

უბარია ბ, გ და დ განყოფილებებში იმ შემთხვევაში, თუ არ ეწინააღმდეგებათ ამ კატეგორიებისათვის შემუშავებულ წესებს და აუქმობსებს პატიმართა მდგომარეობას.

5. 1) წესების მიზანი არ არის მოახდინოს მცირეწლოვანთათვის განკუთვნილი ისეთი დაწესებულებების მართვის რეგლამენტაცია, როგორცაა — ბორსტალის დაწესებულება ან გამოსასწორებელი სახლები. ამის მიუხედავად I ნაწილის წესები შეიძლება გამოიყენონ ამგვარ დაწესებულებებშიც.

2) მცირეწლოვანთა კატეგორიას მიეკუთვნება უკიდურეს შემთხვევაში ყველა ახალგაზრდა პატიმარი, რომელიც შედის მცირეწლოვანი დამნაშავეებისათვის განკუთვნილი სასამართლოების კომპეტენციაში, როგორც წესი, ასეთი ახალგაზრდები არ უნდა იქნენ პატიმრობაში აყვანილი.

ნაწილი I.

საქოველთაო წესები

ძირითადი პრინციპი

6. 1) ქვემოთ ჩამოთვლილი წესები გამოყენებული უნდა იქნეს მიკერძოების გარეშე, დისკრიმინაცია რასობრივი ნიშნის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიური, პოლიტიკური და სხვა წარმოდგენების, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის, ოჯახური ან სოციალური პირობების საფუძველზე დაუშვებელია.

2) მეორე მხრივ, საჭიროა მოსახლეობის ამა თუ იმ ჯგუფის წარმომადგენელი პატიმრების რელიგიური რწმენების და მორალური წარმოდგენების პატივისცემა.

რეესტრი

7. 1) საპატიმრო ადგილებში უნდა არსებობდეს რეესტრი აკინძული გვერდებდანომრილი ყურნალის სახით, რომელშიც შეტანილია შემდეგი მონაცემები თითოეული პატიმრის შესახებ:

a) ცნობები მისი პიროვნების შესახებ;

b) დაპატიმრების მიზეზები და ხელისუფალნი, რომელთაც მიიღეს გადაწყვეტილება მისი დაპატიმრების შესახებ;

c) ადგილზე შემოსვლის და წასვლის დღე და საათი;

2) ციხეში არავინ მიიღება დაპატიმრების შესახებ ნამდვილი ბრძანების გარეშე, რომლის დაწვრილებით მონაცემებს წინასწარ შეიტანენ რეესტრში;

კატეგორიებად დაყოფა

8. სხვადასხვა კატეგორიის პატიმრებს განცალკევებით ათავსებენ სხვადასხვა დაწესებულებაში ან ერთი და იგივე დაწესებულების სხვადასხვა ნაწილში მათი სქესის, ასაკის, წინანდელი ნასამართლობის, დაკავების იურიდიული მიზეზების და მათდამი მოპყრობის წინასწარ დადგენილი წესის საფუძველზე. ამდენად:

a) შეძლებისამებრ ქალები და მამაკაცები განცალკევებულ დაწესებულებებში უნდა მოთავსდნენ;

b) თუ მამაკაცები და ქალები ერთსა და იმავე დაწესებულებაში არიან, ქალები უნდა მოთავსდნენ სავსებით განცალკევებულ შენობებში;

c) გასამართლებული პატიმრებისაგან განცალკევებით ათავსებენ გაუსამართლებელ პატიმრებს;

d) პირნი, რომლებიც გასამართლებულნი არიან სავალო ვალდებულების შეუსრულებლობის გამო და სხვა პირნი, გასამართლებული სამოქალაქო საქმეების გამო უნდა მოთავსდნენ განცალკევებით სისხლის სამართლის დანაშაულის ჩამდენი პირებისაგან;

e) მცირეწლოვანი სამართალდამრღვენი მოზრდილთაგან განცალკევებით უნდა მოთავსდნენ.

შენობები

9. 1) იქ, სადაც პატიმრები ღამეს ათევენ, თითოეულ მათგანს უნდა ჰქონდეს ცალკე ოთახი ან საკანი. თუ განსაკუთრებული მიზეზით, მაგალითად — ციხის დროებითი გადატვირთვის გამო, ციხის ცენტრალურმა მმართველობამ უარი უნდა თქვას ამ წესის გამოყენებაზე, ორი პატიმრის მოთავსება ერთსა და იმავე საკანში ან ოთახში არასასურველია.

2) იქ, სადაც არსებობს საერთო საკნები, მათში მყოფი პატიმრების შერჩევა საჭირო, რათა მათ შეძლონ ერთად ცხოვრება მოცემულ პირობებში. უნდა ხორციელდებოდეს დაწესებულების დანიშნულების შესატყვისი მეთვალყურეობა.

10. ყველა შენობა, რომლითაც სარგებლობენ პატიმრები, განსაკუთრებით — საძილე, უნდა პასუხობდეს ყველა სანიტარულ მოთხოვნას; ამასთან, საჭირო ყურადღება უნდა დაეთმოს კლიმატურ პირობებს, შენობათა კუბატურას, მინიმალური ფართობის რაოდენობას, განათებას, გათბობას, ვენტილაციას.

11. შენობებში, სადაც ცხოვრობენ და მუშაობენ პატიმრები:

a) ფანჯრები უნდა იყოს ისეთი სიდიდის, რომ პატიმრებს შეეძლოთ დღის სინათლეზე კითხვა და მუშაობა, ისინი ისე უნდა იყოს კონსტრუირებული, რომ უზრუნველყოფდეს სუფთა ჰაერის შემოსვლას, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ვენტილაციის ხელოვნური სისტემა;

b) ხელოვნური განათება იმდენად საკმარისი უნდა იყოს, რომ პატიმრებს შეეძლოთ კითხვა და მუშაობა მხედველობისათვის ზიანის მიუყენებლად.

12. სანიტარული დანადგარები საჭირო რაოდენობით უნდა იყოს, რათა ყოველმა პატიმარმა შეძლოს თავისი ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება საჭიროების შემთხვევაში სისუფთავის და წესრიგის პირობებში.

13. სააბაზანო დანადგარების და შხაპების რაოდენობა საკმარისი უნდა იყოს, რათა ყოველმა პატიმარმა შეძლოს, და იგი ვალდებულიც არის, მიიღოს აბაზანა ან შხაპი ყოველი კლიმატისათვის შესაფერის ტემპერატურაზე და იმდენად ხშირად, რამდენადაც ამას ითხოვს საერთო ჰიგიენის მოთხოვნები წელიწადის დროის და გეოგრაფიული რეგიონის გათვალისწინებით, ე. ი. ყოველ შემთხვევაში კვირაში ერთხელ მაინც ზომიერი კლიმატის პირობებში.

14. შენობის ყოველი ნაწილი, რომლითაც პატიმრები რეგულარულად სარგებლობენ, ყოველთვის სუფთად და წესრიგში უნდა იყოს.



15. პატიმრებს უნდა მოსთხოვონ სისუფთავის დაცვა. სისუფთავისა და ჯანმრთელობის დასაცავად ისინი უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ წყლით და ტუალეტის საგნებით.

16. იმისათვის, რომ პატიმრებმა შეინარჩუნონ მათი ადამიანური ღირსების შესატყვისი გარეგნული სახე, საშუალება უნდა მიეცეთ იზრუნონ ვარცხნილობასა და წვერზე, მამაკაცებს ნება უნდა დაერთოთ რეგულარულად გაიბარსონ.

ტანისამოსი და საძილე მოწყობილობანი

17. 1) პატიმრებს, რომელთაც უფლება არა აქვთ ატარონ სამოქალაქო ტანსაცმელი, უნდა მიეცეთ კომპლექტი, რომელიც შეესატყვისება მოცემულ კლიმატს და საშუალებას იძლევა მათი ჯანმრთელობა დამაკმაყოფილებელ დონეზე იყოს. ტანსაცმლის კომპლექტი არ უნდა იყოს არც შეურაცხმყოფელი, არც დამამცირებელი.

2) ტანისამოსი უნდა იყოს სუფთა და მოწესრიგებული. საცვლების რეცხვა და გაცემა უნდა ხდებოდეს ჰიგიენის მოთხოვნების შესაბამისად.

3) განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა პატიმარი ტოვებს დაწესებულებას ხელისუფალთა ნებართვით, მას უფლება აქვს ჩაიცვას საკუთარი ტანსაცმელი, ან ტანსაცმელი, რომელიც გამომწვევი არ არის.

18. თუ პატიმარს უფლება აქვს ატაროს სამოქალაქო ტანსაცმელი, მისი პატიმრობის პერიოდში ზომები უნდა იქნეს მიღებული, რათა ტანსაცმელი იყოს სუფთა და ტარებისათვის ვარგისი.

19. ყოველი პატიმარი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ცალკე საწოლით ნაციონალური და ადგილობრივი ნორმების შესატყვისად, საკუთარი საძილე მოწყობილობებით, რომლებიც გაცემის მომენტში იქნება სუფთა, ხოლო გამოიცვლება იმდენად ხშირად, რამდენადაც ამას ითხოვს სისუფთავის და ვარგისიანობის დაცვა.

კვება

20. 1) ციხის მმართველობამ გარკვეულ საათებში ყოველი პატიმარი უნდა უზრუნველყოს საკმარისად ყუთიანი, კარგი ხარისხის და კარგად მომზადებული საკვებით, რომელიც აუცილებელია პატიმრის ჯანმრთელობის და ძალების შენარჩუნებისათვის.

2) ყოველი პატიმრის განკარგულებაში უნდა იყოს სასმელი წყალი, როდესაც ის მას სჭირდება.

ფიზიკური ვარჯიშები და სპორტი

21. 1) ყოველ პატიმარს, რომელიც არ არის დაკავებული სუფთა ჰაერზე მუშაობით, უფლება აქვს სულ მცირე ერთი საათი გაატაროს ეზოში ფიზიკური ვარჯიშების შესრულებისათვის, თუ ამის საშუალებას იძლევა ამინდი.

2) მცირეწლოვანი და სხვა შესაბამისი ასაკის პატიმრები უზრუნველყო-

ფილი უნდა იყვნენ ფიზიკური ვარჯიშით და ვარჯიშის დროს თამაშობებში ამისათვის საჭიროა არსებობდეს შესაბამისი მოედნები, დანადგარები და მოწყობილობები.

სამედიცინო მომსახურება

22. 1) ყოველ დაწესებულებაში უნდა იყოს მინიმუმ ერთი კვალიფიციური სამედიცინო მუშაკი, რომელიც ერკვევა ფსიქიატრიაში; სამედიცინო მომსახურება ორგანიზებული უნდა იყოს ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივ ან სახელმწიფო ორგანოებთან მჭიდრო კავშირში. იგი უნდა მოიცავდეს ფსიქიატრიულ სადიაგნოსტიკო სამსახურს და იქ, სადაც ეს აუცილებელია, ფსიქიურად არანორმალური პაციენტების მკურნალობას.

2) ავადმყოფი პაციენტები, რომელთაც სპეციალისტის დახმარება სჭირდებათ, გადაყვანილ უნდა იქნენ განსაკუთრებულ დაწესებულებებში ან სამოქალაქო საავადმყოფოებში, ციხის საავადმყოფოები აღჭურვილი უნდა იყოს ავადმყოფის მოვლის და განკურნებისათვის საჭირო დანადგარებით, მოწყობილობებით და წამლებით, აგრეთვე საკმარისად კვალიფიციური პერსონალით.

3) ყოველ პატიმარს საშუალება უნდა ჰქონდეს ისარგებლოს კვალიფიციური კბილის ექიმის დახმარებით.

23. 1) ქალთა დაწესებულებებს უნდა ჰქონდეთ განსაკუთრებული შენობები ფეხმძიმე და მშობიარე ქალების მოვლისათვის. იქ, სადაც შესაძლებელია, საჭიროა იმაზე ზრუნვა, რომ მშობიარობა წარიმართოს არა ციხის, არამედ სამოქალაქო ჰოსპიტალში. თუ ბავშვი დაიბადა ციხეში, ამის შესახებ მითითება დაბადების მოწმობაში არ არის საჭირო.

2) იქ, სადაც პატიმარ დედებს ნებადართული აქვთ თან იყოლონ ჩვილი ბავშვები, გათვალისწინებული უნდა იყოს კვალიფიციური პერსონალით აღჭურვილი ბავშვის შექმნა, ბავშვი ბავშვი მოთავსდება მაშინ, როცა ის მოკლებულია დედის მზრუნველობას.


24. საჭიროა ყოველი პატიმრის სამედიცინო შემოწმება მიღებისთანავე და შემდეგ, საჭიროების მიხედვით, რათა: დადგინდეს — არის თუ არა იგი ფიზიკურად ან გონებრივად ავად; მიღებული უნდა იქნეს აუცილებელი ზომები, რათა მოხდეს იმ პატიმართა იზოლირება, რომელთა მიმართ არსებობს ეჭვი, რომ ისინი დაავადებულნი არიან რაიმე ინფექციური ან გადამდები სნეულებით; გამოვლინდეს მათი გამოსწორებისათვის ხელშემშლელი ფიზიკური ან გონებრივი ნაკლი; განისაზღვროს, როგორია პატიმრის შრომისუნარიანობა.

25. 1) პატიმართა ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე უნდა იზრუნოს ექიმმა, რომელმაც ყოველდღე უნდა მიიღოს ან ინახულოს ავადმყოფები; ყველა პატიმარი, ვინც ავადმყოფობას უჩივის, აგრეთვე ისინი, ვინც მისი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია.

2) ყოველთვის, როდესაც ექიმი ჩათვლის, რომ პატიმრის ფიზიკური ან გონებრივი წონასწორობა დაირღვა ან ირღვევა მისი პატიმრობაში ყოფნის გამო ან პატიმრობის რაიმე გარემოების გამო, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ დირექციას.

26. 1) ექიმმა რეგულარულად უნდა აწარმოოს ინსპექცია და მოახსენოს დირექტორს შემდეგი საკითხების შესახებ:

a) საკვების რაოდენობა, ხარისხი, მომზადება და დატარების პირობები;



b) დაწესებულების და მასში მყოფ პირთა ჰიგიენა და სისუფთავე;

c) დაწესებულების სანიტარული მდგომარეობა, გათბობა, განათება

სისუფთავე;

d) პატიმართა ტანსაცმლის და საძილე მოწყობილობების ვარგისიანობა და

სისუფთავე.

e) ფიზკულტურასა და სპორტის დაკავშირებული წესების შესრულება შემთხვევებში, როდესაც ეს სამუშაო არა აქვს დაკისრებული სპეციალიზებულ პერსონალს.

2) ღირექტორმა მხედველობაში უნდა მიიღოს ექიმის მიერ 25 (2) და 26 წესების თანახმად გაგზავნილი მოხსენებანი და რჩევები და თუ ეთანხმება ექიმის რეკომენდაციებს, დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები მათი განხორციელებისათვის. თუ აღნიშნული რეკომენდაციები მისი კომპეტენციის ფარგლებს სცილდება ან თუ იგი არ ეთანხმება მათ, დაუყოვნებლივ უნდა წარუდგინოს ზემდგომ ორგანოებს როგორც საკუთარი მოხსენება, ისე ექიმის რეკომენდაციები.

დისციპლინა და სასჯელები

27. დისციპლინა და წესრიგი უნდა შენარჩუნდეს მტკიცედ, მხოლოდ იმ შემთხვევების შემთხვევაში, რომლებიც აუცილებელია ზედამხედველობის სიმტკიცის უზრუნველყოფისა და დაწესებულებაში ერთად ცხოვრების სათანადო წესების დაცვისათვის.

28. 1) პატიმრები არ უნდა დაინიშნონ დისციპლინარული წესით დაწესებულების მომსახურების სამუშაოებზე.

2) მაგრამ ეს წესი არ კრძალავს თვითმმართველობის საჭირო სისტემის ფუნქციონირებას, რომლის დროსაც პასუხისმგებლობა გარკვეული სახის სოციალურ, აღზრდობით ან სპორტულ მოღვაწეობაზე ეკისრებათ პატიმრებს, რომლებიც ზედამხედველობის ქვეშ მუშაობენ მათი გამოსწორების მიზნით შექმნილი ჯგუფების შემადგენლობაში.

29. შემდეგი ფაქტები ყოველთვის უნდა განისაზღვროდეს კანონით ან კომპეტენტური ადმინისტრაციული ხელისუფლების განკარგულებით:

- a) დისციპლინარული დარღვევის შემცველი მოქმედება;
- b) პატიმრის დასჯისათვის განკუთვნილი სასჯელის სახე და ხანგრძლივობა;
- c) ორგანო, რომელსაც უფლება აქვს დაადოს სასჯელი.

30. 1) სასჯელის დადება შეიძლება მხოლოდ ამგვარი კანონის ან განკარგულების შესაბამისად, ამასთან, ერთ პატიმარს არ უნდა დაედოს განმეორებითი სასჯელი იმავე დანაშაულისათვის.

2) არც ერთი პატიმრის დასჯა არ შეიძლება ისე, თუ მას არ ეცნობება ჩადენილი დანაშაულის შესახებ და არ მიეცემა საშუალება გაიმართლოს თავი, კომპეტენტურმა ხელისუფლებამ ყოველგვარი ამგვარი საქმე ყურადღებით უნდა განიხილოს.

3) იქ, სადაც საშუალება არსებობს, პატიმარმა თავი უნდა დაიცვას თარჯიმნის მეოხებით.

31. დისციპლინარული დანაშაულისათვის აკრძალულია სხეულის დამაზიანებელი სასჯელის გამოყენება, ბნელ საკანში მოთავსება, სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახველი სასჯელების გამოყენება.

32. 1) სასჯელი, რომელიც ითვალისწინებს მკაცრ პატიმრობას ან ექვემდებარებას, პატიმარს უნდა დაედოს სამედიცინო შემოწმების შემდეგ, წერილობით უნდა დაადასტუროს, რომ პატიმარს შეუძლია ამგვარი სასჯელის ატანა.

2) იგივე ეხება სასჯელის ისეთ ფორმებს, რომელთაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ პატიმრის ფიზიკურ ან ფსიქიკურ მდგომარეობას. ამგვარი სასჯელების გამოყენება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს 31-ე წესის დებულებებს ან არ უნდა წარმოადგენდეს მათგან გადახრას.

3) ექიმმა ყოველდღიურად უნდა მოინახულოს პატიმარი, რომელსაც ამგვარი სასჯელი ადევს, და თუ თელის, რომ მისი ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის გამო აუცილებელია სასჯელის გამოყენების შეწყვეტა ან შეცვლა, უნდა აცნობოს დირექტორს.

ალაგმვის საშუალებაანი

33. სასჯელის ალაგმვის დროს არასოდეს არ უნდა იქნეს გამოყენებული ხელბორკილები, ბორკილები, დასაწყნარებელი პერანგები ან ჯაჭვები. ამას გარდა, საერთოდ არ შეიძლება ბორკილების ან ჯაჭვების გამოყენება ალაგმვის დროს, სხვა საშუალებებით სარგებლობა შეიძლება მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

a) ტრანსპორტირებისას გაქცევის მცდელობის შემთხვევაში იმ პირობით, რომ სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე წარმდგარი პატიმარი თავისუფლდება ბორკილებისაგან;

b) სამედიცინო ხასიათის მიზეზით და ექიმის მითითებით;

c) დირექტორის ბრძანებით, თუ სხვა საშუალება არ მოქმედებს და ხელი უნდა შეეშალოს პატიმარს ზიანი მიაყენოს თავის თავს ან სხვებს, ან მიაყენოს მატერიალური ზარალი, ამ შემთხვევებში დირექტორი სასწრაფოდ უნდა მოეთათბიროს ექიმს და მოხსენება წარუდგინოს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოებს.

34. ალაგმვის მეთოდები და საშუალებაანი განისაზღვრება ციხის ცენტრალური მმართველობის მიერ. არ შეიძლება ისინი გამოყენებული იქნეს იმაზე მეტად, ვიდრე ეს ნაკარნახევია აუცილებლობით.

პატიმართათვის ინფორმაციის მიწოდება და საჩივრის წარდგენა

35. 1) ციხეში თითოეული პატიმრის მიღებისას მას უნდა მიეცეს წერილობითი ინფორმაცია, რომელიც ეხება მისი კატეგორიის პატიმართა მოპყრობის წესებს, მოცემული დაწესებულების დისციპლინარულ მოთხოვნებს, ასევე ინფორმაციის მიღების და საჩივრის წარდგენის ნებადართულ საშუალებებს, სხვა საკითხებს, ინფორმაციის გაცნობა დაეხმარება მათ გაიგონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი და შეეგუონ მოცემულ დაწესებულებაში ცხოვრების პირობებს.

2) წერა-კითხვის უცოდინარი პატიმრები ინფორმირებული უნდა იყვნენ ზეპირად.

36. 1) ყოველ პატიმარს საშუალება უნდა ჰქონდეს სამუშაო დღეებში

განცხადებებით ან საჩივრებით მიმართოს დაწესებულების დირექტორს ან მის უფლებამოსილ ხელკვეითს.

2) ინსპექციის დროს პატიმრებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ განცხადებით ან საჩივრით მიმართონ ციხის ინსპექტორებს. მათ უფლება უნდა ჰქონდეთ ესაუბრონ ინსპექტორს ან ინსპექციის რომელიმე სხვა თანამშრომელს დირექტორის ან დაწესებულების სხვა თანამშრომლის თანდასწრების გარეშე.

3) ყოველ პატიმარს უფლება უნდა ჰქონდეს მიმართოს ციხის ცენტრალური მმართველობის ორგანოებს, სასამართლო ხელისუფლებას ან სხვა კომპეტენტურ ორგანოებს განცხადებებით ან საჩივრებით, რომლებიც არ გაივლიან ცენზურას შინაარსის თვალსაზრისით, მაგრამ შედგენილი უნდა იყოს დადგენილი ფორმით და გადაიცეს დაწესებულებით.

4) გარდა შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი განცხადებები ან საჩივრები ზედაპირული ან უსაგნო ხასიათისაა, ისინი სასწრაფოდ უნდა იქნეს განხილული და მათზე დაუყოვნებლივ უნდა გაეცეს პასუხი.

გარეგნობისათვის კონტაქტები

37. პატიმართ საშუალება უნდა ჰქონდეთ რეგულარული შუალედების შემდგომ იქონიონ კავშირი ოჯახებთან ან შეუბღალავი რეპუტაციის მქონე მეგობრებთან წერილობით, ასევე პაემანის მეშვეობით.

38. 1) უცხოელი პატიმრები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ მათი ქვეყნების დიპლომატიურ და საკონსულოთა წარმომადგენლებთან კავშირით.

2) პატიმრებს, რომელნიც იმ ქვეყნის მოქალაქენი არიან, რომელთაც არა აქვთ მოცემულ ქვეყანაში დიპლომატიური ან საკონსულო წარმომადგენლობა, ასევე ლტოლვილებს და პირთ, რომელთაც არა აქვთ მოქალაქეობა, საშუალება უნდა მიეცეთ კავშირი იქონიონ იმ სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლებთან, რომელმაც თავის თავზე აიღო მათი ინტერესების დაცვა, ან ნებისმიერ ეროვნულ ან საერთაშორისო ორგანოსთან, რომელიც იცავს მათ.

39. პატიმრები რეგულარულად უნდა გაეცნონ ყველა მნიშვნელოვან ახალ ამბავს, მათ ნება უნდა დაერთოთ იკითხონ გაზეთები, ჟურნალები ან განსაკუთრებული ციხის გამოცემები, უსმინონ რადიოს და დაესწრონ ლექციებს, ან ისარგებლონ სხვა საშუალებებით, რომლებიც ნებადართული და გაკონტროლებული იქნება ადმინისტრაციის ორგანოების მიერ.

წიგნები

40. ყოველ დაწესებულებაში უნდა იყოს ბიბლიოთეკა, ხელმისაწვდომი ყველა კატეგორიის პატიმართათვის და როგორც გასართობი, ისე შემეცნებითი ხასიათის ლიტერატურის შემცველი. ყველა პატიმარი უნდა წაახალისონ, რათა მან ისარგებლოს ბიბლიოთეკით.

რელიგია

41. 1) დაწესებულებებში, სადაც ერთი და იგივე აღმსარებლობის პატიმარი საკმაოდ დიდი რაოდენობითაა, უნდა დაინიშნოს შესაბამისი კულტურის

კვალიფიციური მსახური ან ნება დაერთოს მას აღასრულოს შესაბამისი რელიგიური წესები. თუ ამგვარ პატიმართა რიცხვი საკმაოდ დიდია და არსებობს საშუალებანი, სასულიერო პირი უნდა დაინიშნოს მუდმივ სამსახურში.

2) პირველი პუნქტის თანახმად დანიშნულ ან დაშვებულ სასულიერო პირს საშუალება უნდა ჰქონდეს რეგულარულად აღასრულოს რელიგიური წესები და განკუთვნილ დროს პერიოდულად მონახულოს მისი აღმსარებლობის პატიმრები რელიგიურ თემებზე საუბრისათვის.

3) პატიმრებს არ უნდა აეკრძალოთ ნებისმიერი აღმსარებლობის კვალიფიციურ წარმომადგენლებთან ურთიერთობა. მეორე მხრივ, თუ პატიმარი პროტესტს აცხადებს სასულიერო პირის მიერ მისი მონახულების გამო, მის სურვილს უნდა მოეციონ პატივისცემით.

42. შესაძლებლობის ფარგლებში ყველა პატიმარმა უნდა დაიკმაყოფილოს რელიგიური მოთხოვნებიანი, მონაწილეობა მიიღოს დაწესებულებაში მიმდინარე რელიგიურ რიტუალებში და თავის განკარგულებაში ჰქონდეს მისი აღსრულებისათვის დამახასიათებელი რელიგიური ლიტერატურა.

პატიმართა ქონების შენახვა

43. 1) ფული, ძვირფასი ნივთები, ტანსაცმელი და სხვა ქონება, რომელთაც არსებული წესების მიხედვით თან ვერ იქონიებს პატიმარი, მისი დაწესებულებაში მიღებისას ბარდება შესანახად. ქონების ნუსხას ხელს აწერს პატიმარი, საჭიროა ზომების მიღება, რათა პატიმართა ქონება შენახულ იქნეს საიმედოდ.

2) მოცემული დაწესებულებიდან პატიმრის გათავისუფლების დროს მას უბრუნდება კუთვნილი ფული გარდა იმ თანხისა, რომლის დახარჯვის უფლებაც მას მიეცა, ნივთებისა, რომლებიც გააგზავნა დაწესებულების გარეთ ნებართვის თანახმად ან ტანსაცმლისა, რომელიც განადგურდა სანიტარული მიზეზებით, პატიმარი ხელის მოწერით აღასტურებს მისთვის კუთვნილი ფულის ან ნივთების მიღებას.

3) იგივე ეხება ყველა ფულად სახსარს და ნივთს, რომელთაც პატიმარი იღებს მოცემულ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში.

4) თუ პატიმარს თან აქვს წამლები ან მედიკამენტები, მათ შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ექიმი.

გარდაცვალების, ავადმყოფობის, გადაადგილების შესახებ და ა. შ. შეტყობინება

44. 1) გარდაცვალების, სერიოზული დაავადების ან დაჭრის, ან ფსიქიურად დაავადებულთა დაწესებულებაში პატიმრის გადაყვანის შემთხვევაში დირექტორი დაუყოვნებლივ აცნობებს პატიმრის ცოლს ან ქმარს, თუ ასეთი არსებობენ, მის უახლოეს ნათესავს ან ყოველ შემთხვევაში, პირს, რომელზედაც აღრე მიუთითა პატიმარმა.

2) პატიმარს დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ ნებისმიერი მისი უახლოესი ნათესავის გარდაცვალების ან სერიოზული ავადმყოფობის შესახებ. ახლო

ნათესავის სერიოზული ავადმყოფობის შემთხვევაში პატიმარს ნება უნდა და-
ერთოს, თუ ამის საშუალებას იძლევა გარემოებანი, მონახულოს იგი და ცხელ
თანხლებით ან დამოუკიდებლად.

3) ყოველ პატიმარს უფლება აქვს დაუყოვნებლივ აცნობოს ოჯახის წევ-
რებს თავისი დაპატიმრების ან სხვა დაწესებულებაში გადასვლის შესახებ.

პატიმართა გადაადგილება

45. 1) როდესაც პატიმრები გადაჰყავთ პატიმრობის ერთი ადგილიდან მე-
ორე ადგილზე, მაქსიმალურად უნდა იყვნენ მოფარებული უცხო თვალს, მი-
ღებულ იქნეს ზომები, რათა პატიმრები დაიცვან შეურაცხყოფის, ცნობის-
მოყვარეობის გამოვლენის და ნებისმიერი სახის განმარტებისაგან.

2) აკრძალულია პატიმართა გადაყვანა არასაკმარისი ვენტილაციის ან გა-
ნათების ან ფიზიკურად მძიმე ასატან ნებისმიერ სხვა პირობებში.

3) პატიმართა გადაადგილება ხდება მმართველობის ხარჯით, ამასთან, მათი
გადაადგილება ხდება ყველასათვის ერთნაირ პირობებში.

დაწესებულებათა პერსონალი

46. 1) ციხის მმართველობამ უნდა იზრუნოს ყველა კატეგორიის პერსო-
ნალის შერჩევაზე, რადგან ამგვარ დაწესებულებათა კარგი მუშაობა დამოკი-
დებულია მის თანამშრომელთა კეთილსინდისიერებაზე, ჰუმანურობაზე, კომპე-
ტენტურობასა და პირად თვისებებზე.

2) ციხის ადმინისტრაციამ განუხრელად უნდა ჩაუხერგოს რწმენა თავის
თანამშრომლებს და საერთოდ, საზოგადოებრიობას, რომ ისინი ასრულებენ
დიდ, საზოგადოებრივი მნიშვნელობის სამუშაოს. ამ რწმენის განმტკიცებისათ-
ვის უნდა გამოიყენოს ინფორმაციის საშუალებანი.

3) ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად ციხის ადმინისტრაციის თანამშ-
რომლები უნდა დაინიშნონ სრული სამუშაო დროით ციხის ადმინისტრაციის
სპეციალიზებული თანამშრომლის თანამდებობებზე. მათ აქვთ სახელმწიფო მო-
ხელეთა სტატუსი და დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ სამუშაო ადგილი
შეუწარჩუნდებათ სანიმუშო ყოფაქცევის, მუშაობის ეფექტურობის და მათზე
დაკისრებული ამოცანების აღსრულებისათვის საჭირო ფიზიკური უნარიანობის
საფუძველზე. ხელფასი იმ რაოდენობის უნდა იყოს, რომ მიიზიდოს ამგვარ
სამუშაოზე მისი შემსრულებელი მამაკაცები და ქალები. მხედველობაში თუ
მივიღებთ მოცემული სამუშაოს განსაკუთრებულ მძიმე პირობებს, ეს პირები
უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ შესაბამისი შეღავათებით და შრომის პირო-
ბებით.

47. 1) პერსონალი უნდა იყოს საკმარისად განათლებული და განვითა-
რებული.

2) მუშაობის დაწყებამდე პერსონალი უნდა მომზადდეს მისი საერთო და
კონკრეტული ვალდებულებების აღსრულებისათვის, რის შემდეგაც მოითხო-
ვენ გამოცდების ჩაბარებას თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებაში.

3) მუშაობის დაწყების შემდეგ და მთელი მერმინდელი მოღვაწეობის მან-
ძილზე თანამშრომლებმა უნდა შეინარჩუნონ და აიმაღლონ თავიანთი კვალი-
ფიკაცია, სამუშაოსაგან მოუწყვეტლივ გაიარონ დროის შესაფერის შუალე-
დებში ორგანიზებული მოსამზადებელი კურსები.

48. პატიმრობის ადგილზე მომუშავე ყველა თანამშრომელს თავი იმგვარად უნდა ეჭიროს და ისე უნდა ასრულებდეს თავის მოვალეობას, რომ პატიმართათვის მისაბაძი იყოს და მოიპოვოს მათი პატივისცემა.

49. 1) შესაძლებლობის მიხედვით პერსონალის შტატებში უნდა შედიოდეს საჭირო სპეციალისტთა, საკმარისი, რაოდენობა, კერძოდ — ფსიქიატრები, ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები, მასწავლებლები და სახელოსნო დარგის მასწავლებლები.

2) სოციალური მუშაკები, მასწავლებლები და სახელოსნო დარგის მასწავლებლები უნდა დაინიშნონ მუდმივი თანამშრომლების სახით. ამასთან, არ უნდა უზღუდებულყოფიან პერიოდში რომელიმე მუშაობენ არასრული სამუშაო დღის განმავლობაში და ნებაყოფლობითი თანამშრომლები.

50. 1) დაწესებულების დირექტორის თანამდებობაზე უნდა დაინიშნოს ხასიათის, ადმინისტრაციული მონაცემების, მომზადების და გამოცდილების თვალსაზრისით კვალიფიციური პირი.

2) დირექტორმა მთელი თავისი დრო უნდა მოახმაროს მასზე დაკისრებული მოვალეობების ასრულებას, იმუშაოს სრულ სამუშაო განაკვეთზე.

3) მან უნდა იცხოვროს ან მის დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულების ტერიტორიაზე, ან მახლობლად.

4) როდესაც ერთსა და იმავე დირექტორს ეკისრება ორი ან რამდენიმე დაწესებულების ხელმძღვანელობა, მან თითოეული მათგანი უნდა მოინახულოს დროის ძალზე მოკლე მონაკვეთების გამოტოვებით, თითოეული დაწესებულების ხელმძღვანელობა დაევალება ადგილზე მცხოვრებ პასუხისმგებელ თანამშრომელს.

51. 1) დირექტორმა, მისმა მდივანმა და თანამშრომლების უმეტესობამ უნდა იცოდნენ ენა, რომელზედაც საუბრობს პატიმართა უმეტესობა ან ენა, რომელიც გასაგებია პატიმართა უმეტესობისათვის.

2) აუცილებლობის შემთხვევაში უნდა ისარგებლონ თარჯიმნის დახმარებით.

52. 1) დაწესებულებებში, რომელთა ფართობი ამართლებს სრულ განაკვეთზე მომუშავე ერთი ან რამდენიმე ექიმის ყოფნას, უკიდურეს შემთხვევაში, ერთი მათგანი მაინც უნდა ცხოვრობდეს ადგილზე ან დაწესებულების ახლოს.

2) სხვა დაწესებულებებს ექიმი უნდა ეწვიოს ყოველდღე, ამასთან, მან უნდა იცხოვროს მახლობლად, რათა შეიძლებოდეს მისი დაუყოვნებელი გამოძახება კრიტიკულ შემთხვევებში.

53. 1) დაწესებულებებში, სადაც ჰყავთ როგორც ქალები, ისე მამაკაცები, ქალთა განყოფილების ხელმძღვანელობა ეკისრება მდებარეობითი სქესის პასუხისმგებელ თანამშრომელს. მას აქვს გასაღები, რომლითაც იღება მოცემული განყოფილების შესასვლელი.

2) მამრობითი სქესის თანამშრომლები ქალთა განყოფილებაში დაიშვებიან მხოლოდ მდებარეობითი სქესის თანამშრომელთა თანხლებით.

3) პატიმრობაში მყოფ ქალებზე ზედამხედველობა და მათზე ზრუნვა ეკისრებათ მდებარეობითი სქესის თანამშრომლებს. ამასთან, ეს ხელს არ უნდა უშლიდეს მამრობითი სქესის თანამშრომლებს, კერძოდ — ექიმებს და მასწავლებლებს, აღასრულონ პროფესიული მოვალეობანი ქალთა დაწესებულებებში ან სხვა დაწესებულებების ქალებისათვის განკუთვნილ განყოფილებებში.

54. 1) პერსონალმა პატიმრებთან მოპყრობისას ძალადობას შეიძლება მიმართოს მხოლოდ თავდაცვის მიზნით ან გაქცევის მცდელობის დროს ასევე შემთხვევებში, როდესაც პატიმარი აქტიურად ან პასიურად ეწინააღმდეგება მოქმედ კანონებს ან წესებზე დაფუძნებული ბრძანებების შესრულებას. თანამშრომლები, რომელნიც მიმართავენ ძალადობას, მიღებულ ფარგლებს არ უნდა გადასცდნენ, ამასთან, დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ მომხდარი ინციდენტის შესახებ დირექტორს.

2) ციხის თანამშრომლებმა უნდა გაიარონ განსაკუთრებული ფიზიკური მომზადება, რომელიც საშუალებას მისცემს მათ საჭიროების შემთხვევაში ალაგმონ აგრესიული პატიმრები.

3) თანამშრომლებმა, რომელნიც თავიანთ ფუნქციებს ასრულებენ პატიმრებთან უშუალო კონტაქტში, იარაღი უნდა ატარონ განსაკუთრებულ შემთხვევაში, ამასთან, იარაღის ტარების უფლება აქვს თანამშრომელს, რომელმაც გაიარა შესაბამისი მომზადება.

ინსპექცია

55. პენიტენციალური დეწესებულებების და სამსახურების ინსპექცია უნდა განხორციელდეს რეგულარულად კომპეტენტური ხელისუფლების მიერ დანიშნული კვალიფიციური და გამოცდილი ინსპექტორების მიერ. კერძოდ, ინსპექტორები იმაში უნდა დარწმუნდნენ, რომ პატიმრობის ადგილების მართვა ხდება მოქმედი კანონების და მითითებების შესაბამისად, და რომ მათი მუშაობა უნდა შეესატყვისებოდეს პენიტენციალური და გამოსასწორებელი სამსახურების წინაშე დასახულ ამოცანებს.

ნაწილი II

წესები განსაკუთრებული კატეგორიების პატიმართა შესახებ

ა. განსამართლებული პატიმრები

სახელმძღვანელო პრინციპები

56. ქვემოთ ჩამოთვლილი სახელმძღვანელო პრინციპები ასახავენ, თუ როგორ უნდა ხორციელდებოდეს პენიტენციალური დაწესებულებების მართვა; ასახავენ მიზნებს, რომელთა განხორციელებასაც უნდა ესწრაფვოდნენ მოცემული ტექსტის პირველი წინასწარი შენიშვნის თანახმად.

57. დაპატიმრება და სხვა ზომები, რომლებიც ახდენენ გარესამყაროსგან სამართალდამრღვევის იზოლაციას, აყენებენ მას ტანჯვას უკვე იმიტომ, რომ ართმევენ თვითგამორკვევის უფლებას, რადგან მოკლებულია თავისუფლებას. იმიტომ, თუ სეგრეგაცია არ არის გამართლებული, ან თუ ამას არ ითხოვს დისციპლინა, ციხის სისტემა არ უნდა აძლიერებდეს მოცემული დებულებიდან გამომდინარე ტანჯვას.

58. პატიმრობის გამართლება და მიზანი არის საბოლოო ჯამში საზოგადოების დაცვა და საზოგადოებისათვის სახიფათო დანაშაულობათა აღკვეთა. ამ მიზნის მიღწევა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პატიმრობის ვადის

გავლისა და ნორმალურ ცხოვრებაში დაბრუნების დროს სამართალდამრღვევი იქნება არა მარტო მომზადებული, არამედ მას ექნება უნარი დაემორჩილოს კანონმდებლობას და უზრუნველყოს თავისი არსებობა.

59. ამისათვის დაწესებულებამ უნდა გამოიყენოს ყველა გამოსასწორებელი, აღმზრდელი, მორალური და სულიერი ძალები, დახმარების საშუალებანი, რომელიც ითვლება მისაღებად. მათი გამოყენება უნდა მოხდეს თითოეული პატიმრის გამოსწორებისათვის საკუთარ მოთხოვნათა გათვალისწინებით.

60. 1) დაწესებულებაში მიღებული რეჟიმი მოწოდებული უნდა იყოს მინიმუმამდე შეამციროს განსხვავება ციხეში ცხოვრებასა და ციხის გარეთ ცხოვრებას შორის, რაც არ ჩაკლავს პატიმრებში პასუხისმგებლობის და ადამიანური ღირსების გრძნობას.

2) სასურველია, რომ პატიმრობის ვადის დასასრულისათვის მიღებულ იქნეს ზომები პატიმრის საზოგადოებაში თანდათანობით დაბრუნებისათვის. ამ მიზნის მიღწევა შეიძლება თითოეული სამართალდამრღვევის თავისებურებათა გათვალისწინებით, დაწესებულებაში პატიმართათვის განსაკუთრებული რეჟიმის შემოღებით, ან პატიმართა გათავისუფლებით გამოსაცდელი ვადით, რომლის განმავლობაში ისინი ზედამხედველობის ქვეშ არიან, მაგრამ იმ პირობით, რომ ზედამხედველობა არ ეკისრება საპოლიციო ხელისუფლებას და შესაბამება ეფექტიან სოციალურ დახმარებას.

61. პატიმრებთან მოპყრობისას ხაზი უნდა გაეცვას არა მათ გამოთქმვას საზოგადოებიდან, არამედ იმ გარემოებას, რომ ისინი კვლავ რჩებიან საზოგადოების წევრებად; ამიტომ, ყოველთვის, როცა ეს შესაძლებელია, საზოგადოებრივი ორგანიზაციები უნდა თანამშრომლობდნენ ციხის პერსონალთან პატიმართა საზოგადოებაში დაბრუნებისათვის. ყოველ დაწესებულებაში უნდა იყვნენ სოციალური მუშაკები, რომელნიც იზრუნებენ პატიმრის ოჯახთა ურთიერთობების შენარჩუნებასა და განმტკიცებაზე, აგრეთვე კავშირზე მისთვის სარგებლობის მომტან სოციალურ ორგანიზაციებთან. ამასთან, მისაღებია ზომები, რათა პატიმრებმა შეინარჩუნონ კანონთა და მათ განაჩენთა შესატყვისი უფლებების მაქსიმუმი სამოქალაქო ინტერესების, სოციალური უზრუნველყოფისა და სხვა სოციალური შეღავათების სფეროში.

62. დაწესებულების სამედიცინო სამსახურებმა უნდა გამოავლინონ ყველა ფიზიკური და ფსიქიკური დაავადება ან ნაკლი, რომელიც ხელს შეუშლის პატიმრის გამოსწორებას და იზრუნონ განკურნებისათვის. ამ მიზნით, დაწესებულებებს უნდა შეეძლოს უზრუნველყონ აუცილებელი სამედიცინო, ქირურგიული და ფსიქიატრიული მომსახურება.

63. 1) ამ პრინციპთა ცხოვრებაში გატარება მოითხოვს ინდივიდუალურ მიდგომას პატიმრებისადმი, ამდენად — მათი ჯგუფებად კლასიფიკაციის მოქნილი სისტემის არსებობას. ამიტომ სასურველია, ამგვარი ჯგუფები ერთად მოთავსდნენ სამუშაოდ გათვალისწინებულ სხვადასხვა დაწესებულებაში.

2) არ არის აუცილებელი ამგვარ დაწესებულებებში თითოეული ჯგუფისათვის უსაფრთხოების ერთი და იგივე ზომები. სასურველია ამ საშუალებათა სიმკაცრის გრადუირება ჯგუფების მიხედვით. ყველაზე ხელსაყრელი პირობები გამოსწორებისა არსებობს ღია დაწესებულებებში, სადაც გაქცევათა თავიდან აცილების არა ფიზიკურ საშუალებებზეა აქცენტი, არამედ თვითდისციპლინაზე.

3) სასურველია, რომ დაწესებულებაში მყოფ პატიმართა რიცხვი არ იყოს ძალიან დიდი, რათა შეიძლებოდეს ინდივიდუალური მიდგომა. ზოგ ქვეყანაში ითვლება, რომ პატიმართა რიცხვი 50 არ უნდა აღემატებოდეს. ღია დაწესებულებებში რაც შეიძლება ნაკლები პატიმარი უნდა იყოს.

4) მეორე მხრივ, ციხეები საკმაო ფართობის უნდა იყოს, რათა შესაძლებელი გახდეს საჭირო მომსახურების უზრუნველყოფა.

64. საზოგადოების ვალდებულებანი არ წყდება პატიმრის გათავისუფლებისთანავე. ამიტომ უნდა არსებობდეს სახელმწიფო ან კერძო ორგანოები, რომელთაც შეეძლებათ იზრუნონ გათავისუფლებულ პატიმრებზე, ებრძოლონ დამახინჯებულ წარმოდგენებს, რომელთა მსხვერპლნიც არიან პატიმრები და დახმარონ მათ ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

პატიმრებთან მოპყრობა

65. პატიმრობამისიკილ ან სხვა მსგავს მსჯავრდებულებთან მოპყრობისას პატიმრობის ვადის გათვალისწინებით, მათ უნდა ჩაუნერგონ სურვილი დაემორჩილონ კანონებს და უზრუნველყონ თავიანთი არსებობა გათავისუფლების შემდგომ. მათთან მოპყრობამ უნდა აღძრას პატიმრებში პირადი ღირსების გრძობა და პასუხისმგებლობის შეგნება.

66. 1) ამ მიზნით მიღებულ უნდა იქნეს ყველა შესაბამისი ზომა, მათ შორის — რელიგიური მომსახურება ქვეყნებში, სადაც ეს შესაძლებელია. სწავლება, პროფესიული მომზადება და ორიენტაცია, კონკრეტული სოციალური შემთხვევების შესწავლა, შრომითი მოწყობის სფეროში კონსულტაციები, ფიზიკური აღზრდა და ხასიათის განმტკიცება პატიმრის ინდივიდუალური მოთხოვნების, მისი სოციალური წარსულის, დანაშაულის ისტორიის, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების და უნარიანობის, ტემპერამენტის, პატიმრობის ვადის და გათავისუფლების შემდგომ პერსპექტივების გათვალისწინებით.

2) ყოველი ხანგრძლივ პატიმრობამისიკილი პატიმრის მიღებისთანავე დირექტორმა უმოკლეს დროში უნდა მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია წინა პუნქტში მითითებული საკითხების შესახებ. ანაში შედის შეძლებისდაგვარად ფსიქიატრიაში გარკვეული ექიმის მონსენება პატიმრის ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ.

3) ეს მოხსენებანი და პატიმრის შესახებ სხვა ცნობები უნდა ჩაერთოს მის პირად საქმეში. საქმე უნდა შეივსოს ყველა ახალი ცნობით და უნდა ინახებოდეს ისე, რომ პასუხისმგებელ მუშაკებს შეეძლოთ საჭიროების შემთხვევაში ამ საქმით სარგებლობა.

კლასიფიკაცია და ინდივიდუალიზაცია

67. კლასიფიკაციის მიზნებია:

ა) პატიმართა განცალკევება იმ პირთაგან, რომელთაც თავიანთი დანაშაულებრივი წარსულის ან ხასიათის უარყოფითი თვისებების გამო შეუძლიათ უარყოფითი გავლენა მოახდინონ;

ბ) პატიმართა დაყოფა კატეგორიებად, რაც ადვილებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაბრუნების მიზნით მათთან მუშაობას.

68. სხვადასხვა კატეგორიის პატიმრებთან მუშაობა უნდა ჩატარდეს შეძლებისამებრ ან სხვადასხვა დაწესებულებაში ან ერთი და იმავე დაწესებულებაში სხვადასხვა განყოფილებაში.

69. ყოველი პატიმრის მიღებიდან უმოკლეს დროში და მისი ხასიათის შესწავლის საფუძველზე უნდა შედგეს მასთან მუშაობის ინდივიდუალური პროგრამა, ამასთან, გათვალისწინებული უნდა იყოს მისი ინდივიდუალური მონაცემები, მოთხოვნილებანი და მიდრეკილებანი.

შელავათები

70. ყოველ დაწესებულებაში უნდა არსებობდეს შელავათების სისტემა და უნდა შემუშავდეს სხვადასხვა კატეგორიისთან განსხვავებული მოპყრობის მეთოდები, რათა შეეწყოს მათ კარგ ყოფაქცევას, განავითაროს პასუხისმგებლობის გრძნობა, გაუღვიძოს გამოსწორების ინტერესი და მიღწეული იქნეს თანამშრომლობა.

შრომა

71. 1) შრომამ პატიმრებს ტანჯვა არ უნდა მიაყენოს,
2) ყველა პატიმარი ვალდებულია იშრომოს თავისი ფიზიკური და ფსიქიკური მონაცემების გათვალისწინებით, რომლებიც დამოწმებულია ექიმის მიერ.

3) პატიმრებმა უნდა შეასრულონ სასარგებლო სამუშაო, რომელიც საკმარისი უნდა იყოს სრული სამუშაო დღის შესავსებად.

4) პატიმართა სამუშაო უნდა იყოს იმგვარი, რომ აამაღლოს ან მისცეს მათ კვალიფიკაცია, რაც შესაძლებლობას მისცემთ გათავისუფლების შემდეგ ხელი მოჰკიდონ პატიოსან შრომას.

5) პატიმრები, განსაკუთრებით მცირეწლოვანნი, უნდა დაეუფლონ სასარგებლო ხელობებს.

6) პატიმრებს საშუალება უნდა ჰქონდეთ აირჩიონ სამუშაო, თუ ეს შესაბამება ხელობის სწორად არჩევას, დაწესებულების დისციპლინას და მმართველობის მოთხოვნებს.

72. 1) დაწესებულებაში მუშაობის ორგანიზაცია და მეთოდები მაქსიმალურად უნდა უახლოვდებოდეს მეთოდებს, რომლებიც მიღებულია ციხის გარეთ, რათა პატიმარი შეეჩვიოს ციხის გარეთ შრომის პირობებს.

2) მაგრამ პატიმართა ინტერესები და მათი პროფესიული მომზადება არ უნდა დაემორჩილოს ციხის საწარმოდან მოგების მიღების მოსაზრებებს.

73. 1) ციხის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობა უმჯობესია დაეკისროს ციხის მმართველობას და არა კერძო მოიჯარეებს.

2) პატიმრები, რომლებიც ასრულებენ სამუშაოს დაწესებულების კონტროლის გარეთ, თანამშრომელთა მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყვნენ. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა პატიმარი მუშაობს სხვა სახელმწიფო დაწესებულებებისათვის, სამუშაოთა მიმცემმა დაწესებულებას უნდა გადაუხადოს სრული ხელფასი შესაბამისი სამუშაოსათვის, ამასთან, გათვალისწინებული უნდა იყოს პატიმართა შრომის ნაყოფიერება.

74. 1) თავისუფალ მუშათა ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების წესები გამოყენებული უნდა იყოს ციხეშიც.

2) წარმობაში დაშვების ან პატიმრობის დროს პროფესიული დაავადების შემთხვევაში პატიმრებს ეძლევათ კომპენსაცია, ამ კომპენსაციის პირობები არანაკლებ ხელსაყრელი უნდა იყოს, ვიდრე კანონით გათვალისწინებული პირობები თავისუფალ მუშათა კომპენსაციისათვის.

75. 1) სამუშაო დღის ან კვირის მაქსიმალური ხანგრძლივობა განისაზღვრება კანონით ან ადმინისტრაციული დადგენილებით თავისუფალ მუშათა შრომის პირობების სფეროში არსებული ადგილობრივი წესების და ადათების გათვალისწინებით.

2) სამუშაო დრო ისე უნდა განაწილდეს, რომ პატიმრებს ჰქონდეთ სულ მცირე ერთი დასვენების დღე კვირაში და დრო სწავლის, გამოსწორებისა და სხვა მოღვაწეობისათვის.

76. 1) თავისი შრომისათვის პატიმრებმა უნდა მიიღონ სამართლიანი ანაზღაურება გარკვეული სისტემის ფარგლებში.

2) ამ სისტემის თანახმად, პატიმარს უფლება აქვს დახარჯოს უკიდურეს შემთხვევაში ხელფასის ნაწილი ნებადართული პირადი მოვლის საგნების შეძენაზე და ნაწილი გაუზზავნოს ოჯახს.

3) ეს სისტემა უნდა გათვალისწინებდეს, რომ ხელფასის ნაწილი ინახება ადმინისტრაციის მიერ, რომელიც ამ დანაზოგს განასცემს პატიმარს გათავისუფლების დროს.

განათლება და დასვენება

77. 1) პატიმრები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ შემდგომი განათლების მიღებით, რელიგიური განათლების ჩათვლით, ქვეყნებში, სადაც ამგვარი რამ დაშვებულია. აუცილებელია წერა-კითხვის უცოდნარათა და ახალგაზრდობის განათლება; ციხის ადმინისტრაციამ ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს.

2) პატიმართა განათლება შეძლებისამებრ უნდა უკავშირდებოდეს ქვეყნის განათლების სისტემას, რათა გათავისუფლების შემდგომ პატიმარმა დაბრკოლებების გარეშე შეძლოს განათლების მიღება.

78. ყველა დაწესებულებაში პატიმრები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ დასვენებითა და კულტურული მოღვაწეობით მათი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის ინტერესებიდან გამომდინარე.

ურთიერთობა გარესამყაროსთან და მზრუნველობა

გათავისუფლების შემდგომ

79. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კავშირის შენარჩუნებასა და განმტკიცებას ოჯახთან, რაც ორივე მხარის ინტერესებს შეესაბამება.

80. პატიმრობის დაწყებისთანავე საჭიროა ფიქრი პატიმრის მომავალზე. ამიტომ მხარი უნდა დაეჭიროს და განმტკიცდეს მისი კავშირი ციხის გარეთ მყოფ იმ პირებთან და დაწესებულებებთან, რომლებსაც შეუძლიათ დაიცვან მისი ოჯახის ინტერესები და ხელი შეუწყონ მის ჩართვას საზოგადოებრივ ცხოვრებაში გათავისუფლების შემდეგ.

81. 1) სახელმწიფო ან სხვა ორგანოებმა და დაწესებულებებმა, რომლებიც ეხმარებიან პატიმრებს, უნდა იზრუნონ, რომ იქ, სადაც ეს საჭირო და შესაძლებელია, პატიმრებმა მიიღონ პირადობის დამადასტურებელი მოწმობები და სხვა აუცილებელი დოკუმენტები, იშოვონ ბინა და სამუშაო, ჰქონდეთ მო-

ცემული კლიმატისა და წელიწადის დროისათვის შესატყვისი ტანისამოსი და ჰქონდეთ საკმარისი სახსრები, აუცილებელი პატიმრობის ადგილიდან გასვლის სუფლების შემდგომ საცხოვრებელ ადგილზე მგზავრობისათვის.

2) ამგვარ დაწესებულებათა აკრედიტებულ წარმომადგენლებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ მოინახულონ ციხის დაწესებულებანი და პატიმრები. პატიმრობის დაწყებიდანვე მათთან უნდა მოეწყოს კონსულტაციები პატიმართა შემდგომი ცხოვრების შესახებ.

3) სასურველია, რომ ამგვარ დაწესებულებათა მუშაობა შესაძლებლობის ფარგლებში ცენტრალიზებული ან კოორდინირებული იყოს, რათა უზრუნველყოფილი გახდეს მათი მუშაობის მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენება.

ბ. სულით ავადმყოფი და გონებარივად ჩამორჩენილი პატიმრები.

82. 1). სულით ავადმყოფებად მიჩნეული პირები არ უნდა დააპატიმრონ. მიღებული უნდა იქნეს ზომები მათ საჩქაროდ გადასაცვანად სულით ავადმყოფთა დაწესებულებებში.

2) სხვა ფსიქიკური დაავადებებით ან ნაკლოვანებებით დაავადებული პატიმრები აყვანილი უნდა იქნენ მეთვალყურეობის ქვეშ და ექიმთა ხელმძღვანელობით განიკურნონ სპეციალურ დაწესებულებებში.

3) ამგვარი პატიმრები ციხეში უნდა იმყოფებოდნენ განსაკუთრებული საექიმო მეთვალყურეობის ქვეშ.

4) პენიტენციურ დაწესებულებებთან არსებულმა სამედიცინო და ფსიქიატრიულმა სამსახურებმა უნდა უზრუნველყონ ფსიქიკური განკურნება ყველა პატიმრისა, რომელსაც სჭირდება ამგვარი მკურნალობის ჩატარება.

83. სასურველია, აუცილებლობის შემთხვევაში, კომპეტენტურ დაწესებულებებთან თანამშრომლობით მიღებულ იქნეს ზომები გათავისუფლებული პატიმრების ფსიქიატრიული მოვლის უზრუნველყოფისა და ასევე სოციალურ-ფსიქიატრიული მზრუნველობისათვის.

ბ. პატიმრობაში აყვანილი ან სასამართლოს მომლოდინე პირნი

84. 1) პირნი, რომლებიც დააპატიმრებულნი არიან სისხლის სამართლის დანაშაულის გამო და იმყოფებიან საპოლიციო განყოფილებაში ან ციხეში, მაგრამ ჯერ კიდევ არ არიან გამოძახებული სასამართლოზე და არ არიან გასამართლებული, ქვემოთ წესებში იწოდებიან „გამოძიებაში მყოფ“ პატიმრებად.

2) გამოძიებაში მყოფი პატიმრები არ ითვლებიან დამნაშავეებად და მათ შესაბამისად უნდა მოეპყრონ.

3) პიროვნების თავისუფლებასთან ან გამოძიებაში მყოფი პირებისადმი მოპყრობასთან დაკავშირებული პროცედურის დაცვის პირობით ამგვარი პატიმრებისათვის გამოყენებული უნდა იქნეს განსაკუთრებული რეჟიმი, რომლის ძირითადი წესები გადმოცემულია ქვემოთ წესებში.

85. 1) გამოძიებაში მყოფი პატიმრები უნდა იმყოფებოდნენ გასამართლებულთაგან განცალკევებით.

2) გამოძიებაში მყოფი ახალგაზრდა პატიმრები უნდა იმყოფებოდნენ მოზრდილთაგან განცალკევებით, ცალკე დაწესებულებაში.

86. ღამით გამოძიებაში მყოფი პატიმრები უნდა მოთავსდნენ ცალკე შენობებში. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იყოს ადგილობრივი კლიმატური პირობებიდან გამომდინარე თავისებურებანი.

87. როდესაც ეს არ არღვევს დაწესებულების წესრიგს, პატიმარს შეუძლია საკვები მიიღოს ციხის გარედან საკუთარი ხარჯებით, ან ციხის ადმინისტრაციის ორგანოების მეშვეობით, ან მისი ოჯახის ან მეგობრებისაგან. სხვა შემთხვევაში კვებას უზრუნველყოფს ადმინისტრაცია.

88. 1) გამოძიებაში მყოფ პატიმრებს უფლება აქვთ ატარონ სამოქალაქო ტანსაცმელი, იმ პირობით, რომ იგი უნდა იყოს სუფთა და ვარგისი.

2) თუ პატიმარი ატარებს ციხის ტანსაცმელს, იგი უნდა განსხვავდებოდეს გასასამართლებელთა ტანსაცმლისაგან.

89. გამოძიებაში მყოფ პატიმარს ნება უნდა დაერთოს იმუშაოს, მაგრამ ეს არ არის აუცილებელი მოთხოვნა. თუ ამგვარი პატიმარი გადაწყვეტს იმუშაოს, მისი შრომა უნდა ანაზღაურდეს.

90. გამოძიებაში მყოფ პატიმარს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს საკუთარი სახსრებით ან მესამე პირთა ხარჯზე შეიძინოს წიგნები, გაზეთები, საწერი მოწყობილობანი და სხვა საგნები, რომლებიც დროის გატარების საშუალებას მისცემს, იმ პირობით, რომ ისინი შეესაბამება მართლმსაჯულების წარმართვას, უსაფრთხოების მოთხოვნებს და დაწესებულების ცხოვრების ნორმალურ მიმდინარეობას.


91. გამოძიებაში მყოფ პატიმარს ნება უნდა დაერთოს ციხეში ყოფნისას ისარგებლოს თავისი ექიმის ან კბილის ექიმის მომსახურებით, თუ მისი თხოვნა დასაბუთებულია და მას შეუძლია საკუთარი ხარჯებით დაფაროს მომსახურება.

92. გამოძიებაში მყოფ პატიმართ უნდა შეეძლოს დაუყოვნებლივ აცნობონ ოჯახს დაპატიმრების შესახებ, ზომიერად ისარგებლონ ნათესავებთან და მეგობრებთან კონტაქტის შესაძლებლობით და მიიღონ ისინი ციხეში; ამასთან დაკავშირებით განიცადონ მხოლოდ იმგვარი შეზღუდვები და ზედამხედველობა, რომელსაც მოითხოვს მართლმსაჯულების აღსრულება, უსაფრთხოება და დაწესებულების ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფა.

93. თავის დაცვის მიზნით ამგვარ პატიმარს უფლება უნდა ჰქონდეს მიმართოს უფასო იურიდიულ კონსულტაციას. პატიმრობაში ყოფნისას მიიღოს იურიდიული მრჩეველი, რომელმაც თავის თავზე უნდა აიღოს მისი დაცვა. მოამზადოს და გადასცეს მას კონფიდენციალური ინსტრუქციები. ამ მიზნით პატიმრებს უნდა ჰქონდეთ საწერი მოწყობილობანი. პატიმრის შეხვედრა მის იურიდიულ მრჩეველთან უნდა მოხდეს პოლიციის ან ციხის ორგანოთა თანამშრომლების თვალწინ, მაგრამ სმენის არეალის ფარგლებს გარეთ.

დ. სამოქალაქო საქმეებზე დაბრუნებულნი

94. ქვეყნებში, სადაც კანონი ნებას რთავს პატიმრობაში აიყვანონ სავალდებულებების შეუსრულებლობის ან ნებისმიერი სხვა სამოქალაქო საქმის გამო, სასამართლოს გადაწყვეტილებით, არ უნდა მოეპყრონ იმაზე მეტად მკაცრად, ვიდრე ეს საჭიროა მეთვალყურეობის და შესაბამისი წესრიგის დასაცავად. ამგვარი პირებისადმი მოპყრობა არანაკლებ ლმობიერი უნდა იყოს, ვიდრე გამოძიებაში მყოფი პირებისა, იმ განსხვავებით, რომ მათი მუშაობა შეიძლება იყოს აუცილებელი.



95. ბრალდების წარდგენის გარეშე დაპატიმრებული ან ციხეში მოთავსებული პირებისადმი ადამიანთა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის დებულებათა დაზარალების გარეშე იგივე დაცვაა გათვალისწინებული, როგორც „გ“ განყოფილების I და II ნაწილებში მითითებული პირებისათვის, „ა“ განყოფილების II ნაწილში მითითებული დებულებანი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა ამას შეუძლია სარგებლობა მოუტანოს ამ განსაკუთრებული ჯგუფის პატიმრებს, იმ პირობით, რომ გამოსწორების მეთოდები არ იქნება გამოყენებული პირების მიმართ, რომელნიც არ არიან გასამართლებელი სისხლის სამართლის დანაშაულისათვის.

დაპატიმრა

პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების ეფექტიანად განხორციელების პროცედურები

პროცედურა 1

ყველა სახელმწიფო, რომელშიც ნებისმიერი სახით დაკავებული ან დაპატიმრებული პირების დაცვის ნორმები არ შეესაბამება მინიმალურ სტანდარტულ წესებს, ხელმძღვანელობს აღნიშნული წესებით.

კომენტარი

1971 წლის 10 დეკემბერს მიღებულ 2858 (XXVI) რეზოლუციაში გენერალურმა ასამბლეამ წევრ-სახელმწიფოთა ყურადღება მიაპყრო მინიმალურ სტანდარტულ წესებს და რეკომენდაცია გაუწია მკაცრად დაიცვან ისინი პენიტენციალური და გამოსასწორებელი დაწესებულებების მმართველობაში, ასევე სასურველად მიიჩნია განიხილონ საკითხი მათი ეროვნულ კანონმდებლობაში შეტანის შესახებ. ზოგიერთი სახელმწიფოს წესები შეიძლება უფრო პროგრესული იყოს, ამიტომ მათ არ სთავაზობენ ამ წესების მიღებას. თუ სახელმწიფოს აუცილებლად მიაჩნია შეუთანხმოს ეს წესები თავის სამართლებრივ სისტემას და მოახდინოს მათი ადაპტირება, ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს ამ წესების არსს.

პროცედურა 2

პატიმართა მოპყრობის მინიმალური წესების ხორცშესხმა ეროვნულ კანონმდებლობაში ან სხვა დებულებებში არსებულ კანონებსა და კულტურასთან ადაპტაციის აუცილებლობიდან გამომდინარე, უნდა ჩდებოდეს წესების არსისა და მიზნების გათვალისწინებით, მათი დამახინჯების გარეშე.

კომენტარი

მოცემული პროცედურა ხაზს უსვამს, რომ აუცილებელია წესების ხორცშესხმა ეროვნულ კანონმდებლობასა და დებულებებში, რაც გულისხმობს 1-ლი პროცედურის ზოგიერთ ასპექტს.

პროცედურა 3

მინიმალური სტანდარტული წესები ყველა პირის, კერძოდ — მართლწესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირების და გამოსასწორებელი დაწესებულებების პერსონალის განკარგულებაშია, რათა მათ გამოიყენონ ისინი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში.

კომენტარი

ამ პროცედურით ხაზგასმულია, რომ ეს წესები, აგრეთვე ეროვნული სტატუტები და დებულებანი ამ წესების შესრულების შესახებ უნდა იყოს იმ პირთა განკარგულებაში, რომლებიც ასრულებენ მათ, კერძოდ, ესენი არიან მართლწესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირნი და გამოსასწორებელი დაწესებულებების თანამშრომლები. ამ წესთა ეფექტიანად შესრულებისათვის გამოსასწორებელი დაწესებულებების მოღვაწეობაზე პასუხისმგებელ ცენტრალურ ორგანოს შეუძლია გაითვალისწინოს სასწავლო კურსების მოწყობა. პროცედურათა გავრცელებასთან დაკავშირებული საკითხები განხილულია მეშვიდე — მეცხრე პროცედურებში.

პროცედურა 4

ეროვნულ კანონმდებლობასა და სხვა დებულებებში განხორციელებულ მინიმალურ სტანდარტულ წესებს გაეცნობა ყველა პატიმარი და ყველა დაკავებული პირი შესაბამის დაწესებულებაში მიღებისას და პატიმრობის პერიოდში.

კომენტარი

მინიმალური სტანდარტული წესების მიზნების მისაღწევად აუცილებელია წესებს, აგრეთვე ამ წესების განხორციელების შესახებ არსებულ სტატუტებს და დებულებებს გაეცნონ დაკავებულნი და დაპატიმრებულნი (წესი 95), რაც ხელს შეუწყობს იმის გაგებას, რომ ეს წესები არის მინიმალური პირობები მისაღებად აღიარებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ. ამგვარად, ეს პროცედურა ავსებს მესამე პროცედურაში მითითებულ დებულებას.

დებულება ანალოგიური იმისა, რომელიც აცნობს მოცემულ წესებს პირთ, რომელთა დასაცავადაც ისინი შემუშავდა, უკვე გათვალისწინებულია 1943 წლის 12 აგვისტოს ქენევის ოთხ კონვენციაში. პირველი კონვენციის 47-ე მუხლში, მეორე კონვენციის 48-ე მუხლში, მესამე კონვენციის 127-ე და მეოთხე კონვენციის 144-ე მუხლებში იდენტურად ნათქვამია:

„მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები ვალდებულია იღებენ როგორც მშვიდობიან, ისე ომიანობის დროს, რაც შეიძლება ფართოდ გაავრცელონ ამ კონვენციათა ტექსტები, კერძოდ — შეიტანონ მათი შესწავლა სამხედრო სასწავლო პროგრამებში და, თუ ეს შესაძლებელია, სამოქალაქო სწავლების კურსშიც, რათა კონვენციის პრინციპებს მთლიანობაში გაეცნოს რაც შეიძლება ფართო წრე მოსახლეობისა, განსაკუთრებით კი — მებრძოლი სამხედრო ძალები, საინტარული პერსონალი და ღვთისმსახურნი“;

ხუთ წელიწადში ერთხელ სახელმწიფოები აცნობებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს მიღებული ანკეტის კითხვებზე პასუხის სახით მინიმალური სტანდარტული წესების გამოყენების თვალსაზრისით განხორციელებული ღონისძიებების მასშტაბისა და მიღებული პროგრამის შესახებ. ასევე იმ ფაქტორების და სიძნელეების შესახებ (თუ მათ ადგილი აქვთ), რომლებიც გავლენას ახდენს წესების გამოყენებაზე. ანკეტა შედგენილი უნდა იყოს განსაკუთრებული სქემით, იყოს შერჩევითი და შემოიფარგლოს სპეციალურად შერჩეული კითხვებით, რაც უზრუნველყოფს დასახული პრობლემების ღრმა მიმოხილვას და გამოკვლევას. გენერალური მდივანი მთავრობათა მოხსენებების, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემაში მიღებული სხვა ინფორმაციის გათვალისწინებით ამზადებს პერიოდულ მოხსენებებს მინიმალური სტანდარტული წესების გამოყენების შესახებ. ამ მოხსენებათა მოსამზადებლად მას შეუძლია ითანამშრომლოს სხვა სამთავრობათაშორისო ან არასამთავრობო სპეციალიზებულ დაწესებულებებთან ან ორგანიზაციებთან, რომელთაც ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოში კონსულტატიური სტატუსი აქვთ. გენერალური მდივანი განსახილველად გადასცემს შემოხსენებულ მოხსენებებს დანაშაულობათა აღკვეთის და მასთან ბრძოლის კომიტეტს, რათა ამ უკანასკნელმა განახორციელოს შემდგომი მოქმედებანი.

კომენტარი

საჭიროა შეხსენება, რომ ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ 1957 წლის 31 ივლისის 663 C (XXIV) რეზოლუციით რეკომენდებულად ჩათვალა ყოველ ხუთ წელიწადში გენერალური მდივნის ინფორმირება მინიმალური სტანდარტული წესების გამოყენების თაობაზე, აგრეთვე უფლება მისცა გენერალურ მდივანს გამოაქვეყნოს მიღებული ინფორმაცია და, თუ საჭიროდ ჩათვლის, მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დიდი ხანია ჩამოყალიბდა სპეციალიზებულ დაწესებულებებთან და შესაბამის სამთავრობათაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პრაქტიკა.

მოხსენების მომზადებისას გენერალური მდივანი მხედველობაში მიიღებს ინფორმაციას, რომელსაც ფლობენ ადამიანის უფლებათა საკითხებზე მომუშავე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოები, ადამიანის უფლებათა კომისია, უმცირესობათა დაცვის და დისკრიმინაციის აღმკვეთი ქვეკომისია, სამოქალაქო და პოლტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის თანახმად მოქმედი ადამიანის უფლებათა კომიტეტი, რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კომიტეტი. შეიძლება გათვალისწინებული იქნეს წამების აღკვეთის შესახებ კონვენციის მიღებასთან დაკავშირებული მუშაობა, ასევე ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც შეიძლება შეგროვდეს გენერალური ასამბლეის მიერ ამჟამად მიმდინარე მუშაობისას დაპატიმრებულთა და ზედამხედველობის ქვეშ მყოფ პირთა დაცვის პრინციპთა კრებულის შესადგენად.

პროცედურა 6

მეხუთე პროცედურის დებულების თანახმად სახელმწიფოები გენერალურ მდივანს გადასცემენ შემდეგ ინფორმაციას:

ა) დაპატიმრებულ პირთათვის განკუთვნილი მინიმალური სტანდარტული წესების გამოყენების, პატიმრობის ადგილებისა და პირობების შესახებ არსებული ადმინისტრაციული ნორმების, წესების, საკანონმდებლო დებულებების ასლებს ან ნაწყვეტებს მათგან;

ბ) ნებისმიერ მონაცემებს ან აღწერით მასალას სამართალდამრღვევებთან მოპყრობის, დაწესებულებაში მომუშავე პერსონალის შესახებ, ინფორმაციას ნებისმიერი სახით დაკავებულ პირთა რიცხვის შესახებ, ასევე არსებულ სტატისტიკურ მასალას;

გ) ნებისმიერ შესაბამის ინფორმაციას წესების გამოყენების, აგრეთვე მათი განხორციელებისას მოსალოდნელი სიძნელეების თაობაზე.

კომენტარი

ეს მოთხოვნები გამომდინარეობს როგორც ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 663C (XXIV) რეზოლუციიდან, ისე დამნაშავეთა ადვოკატის და მართლწესრიგის დამრღვევა შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონგრესთა რეზოლუციებიდან. თუმცა აქ არ იყო ცალკე გამოყოფილი ინფორმაციის სახეები, მაგრამ მიზანშეწონილია ამგვარი ინფორმაციის შეგროვება, რათა წევრ-სახელმწიფოებს გაუადვილდეთ სიძნელეთა გადალახვა სხვათა გამოცდილების გაზიარებით; უფრო მეტი, ამგვარი ინფორმაციის მისაღებად კითხვის გაგზავნა მსგავსია ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1956 წლის 1 აგვისტოს 624 B (XXII) რეზოლუციის თანახმად შემუშავებული ადამიანის უფლებათა საკითხის შესახებ პერიოდულ მოხსენებათა სისტემისა.

პროცედურა 7

გენერალური მდივანი ავრცელებს მინიმალურ სტანდარტულ წესებს და გამოყენების არსებულ პროცედურებს რაც შეიძლება მეტ ენაზე და უზრუნველყოფს მათ ხელმისაწვდომობას ყველა სახელმწიფოს, დაინტერესებული სამთავრობათშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, რათა მიღწეულ იქნეს წესების და პროცედურების მაქსიმალურად ფართოდ გავრცელება.

კომენტარი

ნათელია მინიმალური სტანდარტული წესების ფართოდ გავრცელების აუცილებლობა, მათი უფრო ეფექტიანი გავრცელებისა და გამოყენების უზრუნველყოფისათვის აუცილებელია განხორციელდეს მჭიდრო თანამშრომლობა ყველა შესაბამის სამთავრობათშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციასთან ამიტომ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს მჭიდრო კონტაქტები უნდა ჰქონდეს ამ ორგანიზაციებთან და მათ განკარგულებაში გადასცეს შესაბამისი მონაცემები და ინფორმაცია. მან ხელი უნდა შეუწყოს ამ ორგანიზაციების მიერ ინფორმაციის გავრცელებას მინიმალური სტანდარტული წესების და მათი გამოყენების პროცედურათა შესახებ.

პროცედურა 8

გენერალური მდივანი ავრცელებს თავის მოხსენებებს წესების გამოყენების თაობაზე, ანალიტიკურ მონათხრობს პერიოდული მიმოხილვებისა, დამნაშა-

ვეობის აღკვეთის და მასთან ბრძოლის კომიტეტის მოხსენებებს, დამნაშავეობის აღკვეთის და სამართალდამრღვევებთან ბრძოლის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონგრესისათვის მომზადებულ მოხსენებებს, ასევე სამეცნიერო პუბლიკაციებს, ამ საკითხისადმი მიძღვნილ სხვა დოკუმენტაციას, რომელიც შეიძლება საჭირო გახდეს მინიმალური სტანდარტული წესების გამოყენებისათვის ხელშეწყობის მიზნით.

კომენტარი

მოცემული პროცედურა ასახავს დაინტერესებული ორგანიზაციებისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გამოცემათა ან ადამიანის უფლებათა წელიწადეულებში სისხლის სამართლის პოლიტიკის საერთაშორისო მიმოხილვაში, დამნაშავეობის აღკვეთის და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების საინფორმაციო ბიულეტენში და სხვა შესაბამის გამოცემებში გამოქვეყნებული სტატიების სახით ინფორმაციის მიწოდების არსებულ პრაქტიკას.

პროცედურა 9

გენერალური მდივანი უზრუნველყოფს მინიმალური სტანდარტული წესების რაც შეიძლება ფართოდ გავრცელებას და მის გამოყენებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამის პროგრამებში, ტექნიკური თანამშრომლობის განხორციელების ჩათვლით.

კომენტარი

აუცილებელია ისეთი მდგომარეობის უზრუნველყოფა, რომლის დროსაც გაეროს ყველა შესაბამისი ორგანო თავის დოკუმენტებში შეიტანს წესებს და მათი გამოყენების პროცედურებს, ან მითითებებს იმ საშუალებებზე, რაც ხელს შეუწყობს წესების ფართოდ გავრცელებას და მათ გაცნობას სპეციალიზებული დაწესებულებების, მთავრობების, სამთავრობათაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების და ფართო საზოგადოებრიობისათვის, აგრეთვე, ხელს შეუწყობს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს და გენერალური ასამბლეის მართვის მათი გამოყენების საქმეში.

ის, თუ რამდენად მოახდენს პრაქტიკულ ზეგავლენას ეს წესები გამოსასწორებელი დაწესებულებების ადმინისტრაციაზე, ბევრად არის დამოკიდებული მათი ადგილობრივ კანონმდებლობასა და ადმინისტრაციის მიერ მიღებულ ღონისძიებებზე. წესები გასაგები და ნაცნობი უნდა იყოს პირთა ფართო წრისათვის მთელს მსოფლიოში — როგორც სპეციალისტების, ისე არასპეციალისტებისათვის. ამიტომ, აუცილებელია მეტი საჯაროობა ნებისმიერი ფორმით, რისი მიღებაც შეიძლება წესების ხშირი მითითებით და კომპანიების ჩატარებით მოსახლეობს ინფორმირების მიზნით.

პროცედურა 10

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ტექნიკური თანამშრომლობისა და განვითარების პროგრამების ფარგლებში:

a) თხოვნის საფუძველზე დახმარებას უწევს მთავრობებს ყოველისმომცველი და პუმანური გამოსასწორებელი სისტემების შექმნასა და განმტკიცებაში.

b) თბოვნის საფუძველზე მთავრობებს დახმარებას უწყვეს ექსპერტების, რეგიონალური და რეგიონთაშორისი მრჩეველების ვაგზავნით, რომელნიც სამუშაოებზე დამნაშავეობის აღკვეთის და სასამართლო მართლმსაჯულები-სფეროში.

c) ზელს უწყობს ეროვნული და რეგიონალური სემინარების და სხვა სხდომების მოწყობას პროფესიონალურ და არაპროფესიონალურ დონეზე მინიმალური სტანდარტული წესების და მათი გამოყენების შესახებ პროცედურების გაერცელების მიზნით.

აფართოებს არსებულ მხარდაჭერას გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან დაკავშირებული რეგიონალური კვლევითი და სასწავლო ინსტიტუტებისადმი დამნაშავეობის აღკვეთის და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეგიონალური კვლევითი და სასწავლო ინსტიტუტები დამნაშავეობის აღკვეთის და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში ეროვნულ ინსტიტუტებთან თანამშრომლობით შეიმუშავებენ, როგორც უნდა იქნეს შეტანილი მინიმალური სტანდარტული წესები და პროცედურები სასწავლო გეგმებსა და სახელმძღვანელოებში, რათა მათი გამოყენება მოხდეს სისხლის სამართლის ყველა დონის სასწავლო პროგრამით, აგრეთვე, ადამიანთა უფლებების შემსწავლელ სპეციალიზებულ კურსებზე და სხვა მსგავსი საკითხების შესწავლისას.

კომენტარი

ეს პროცედურა მოწოდებულია უზრუნველყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტექნიკური დახმარების პროგრამების და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეგიონალური ინსტიტუტების სასწავლო ღონისძიებების დამატებითი საშუალებების გამოყენება მინიმალური სტანდარტული წესების და პროცედურების განხორციელების დროს. გარდა გამოსასწორებელი დაწესებულებების პერსონალისათვის არსებული რეგულარული სასწავლო კურსებისა, სასწავლო ინსტრუქციებისა და ა. შ. დირექტიულ ორგანოებს გათვალისწინებული უნდა ჰქონდეთ სპეციალისტებთან კონსულტაციები წევრ-სახელმწიფოების მიერ წამოყენებულ საკითხებთან დაკავშირებით. ამავთვე შედის დაინტერესებული ქვეყნისათვის ექსპერტების ვაგზავნა. ეს განსაკუთრებით აუცილებელია, რათა წესების გამოყენებისას გათვალისწინებული იყოს მათი არსი და იმ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური წყობა, რომელმაც მოითხოვა ექსპერტების ვაგზავნა.

პროცედურა 11

დამნაშავეობის აღკვეთის და მასთან ბრძოლის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტი:

a) რეგულარულად აწარმოებს მინიმალური სტანდარტული წესების ვადანინჯვას ახალი ნორმების, სტანდარტების და პროცედურების გამომუშავებისათვის თავისუფლებადკვეთილ პირებთან მოპყრობის სფეროში.

b) აწარმოებს კონტროლს მოცემული წესების პროცედურათა შესრულებაზე; ამასთან, პერიოდულ მოხსენებებს ამზადებს მეხუთე პროცედურის თანახმად.

კომენტარი

ვინაიდან პერიოდული გამოკვლევების, ასევე ტექნიკური დახმარების მისათა მიერ შეგროვილი ინფორმაცია წარედგინება დანაშაულობის აღკვეთის და მასთან ბრძოლის კომისიას, კომიტეტის განკარგულებაში რჩება წესების გამოყენების ეფექტიანობის უზრუნველყოფა გამოსასწორებელი პრაქტიკის დახვეწის საქმეში; კომიტეტის რეკომენდაციებში გათვალისწინებული იქნება წესების და პროცედურების გამოყენების მიმართულებანი. ამიტომ, კომიტეტმა ზუსტად უნდა განსაზღვროს არსებული ნაკლოვანებები ან ნაკლოვანებათა მიზეზები წესების გამოყენების დროს დაინტერესებული ქვეყნის სასამართლო ორგანოებთან და იუსტიციის სამინისტროებთან კონტაქტების საფუძველზე მათი აღმოფხვრისათვის შესაბამისი საშუალებების შესამუშავებლად.

პროცედურა 12

დამნაშავეობის აღკვეთის და მასთან ბრძოლის კომიტეტი აუცილებელ დახმარებას უწევს გენერალურ ასამბლეას ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნებისმიერ სხვა ორგანოს, რომელიც დაკავებულია ადამიანის უფლებათა საკითხების შესწავლით, მინიმალური სტანდარტული წესების გამოყენებასა და შესრულებასთან დაკავშირებული საკითხების გამოკვლევისათვის; სპეციალური კომიტეტების მოხსენებებისათვის რეკომენდაციების შემუშავების საქმეში.

კომენტარი

ვინაიდან, მოხსენებული კომიტეტი არის ორგანო, რომელიც წესების შესრულების მიმოხილვას აწარმოებს, მასვე ევალება ზემოხსენებული ორგანოებისათვის დახმარების გაწევა.

პროცედურა 13


ამ პროცედურებში არაფერი არ უნდა იქნეს ისე გაგებული, თითქოს წესების გამოყენება გამორიცხავს სამართლებრივი დაცვის ნებისმიერი სხვა ზომის და საშუალების გამოყენებას, რომლებიც მიღებულია საერთაშორისო სამართლით ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოების და დაწესებულებების მიერ ადამიანთა უფლებების დარღვევის შემთხვევათა აღსაკვეთად, ისეთი პროცედურის ჩათვლით, რომელიც ეხება ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1970 წლის 23 მაისის 1503 (XLVIII) რეზოლუციის ადამიანის უფლებათა სისტემატიური დარღვევის შესახებ, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის ფაკულტატურ ოქმში გადმოცემული მონაცემების განხილვასთან დაკავშირებულ პროცედურას, ასევე ყველა ფორმის რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ კონვენციის მონაცემთა განხილვასთან დაკავშირებულ პროცედურას.

კომენტარი

ვინაიდან მინიმალური სტანდარტული წესები მხოლოდ ნაწილობრივ ეხება ადამიანის უფლებათა კონკრეტულ საკითხებს, მოცემული პროცედურები არ გამორიცხავს ნებისმიერი სახის დარღვევათა აღკვეთას ნებისმიერი საშუალებით არსებული საერთაშორისო სტანდარტების და ნორმების შესაბამისად.

არაოფიციალური თარგმანი შეასრულა ეკა სუმბატიაშვილმა.

(დაბატონებულიდან მოპარობის მინიმალური სტანდარტული წესები, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია; 1984).



საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუსის შესახებ

პირი პირველი

პირითადი დებულება

მუხლი 1. მოსამართლე და მსაჯული

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეები შეიძლება იყვნენ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი, რომლებიც დანიშნული არიან საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოებსა და თბილისის საქალაქო სასამართლოში.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები შეიძლება იყვნენ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი, რომლებიც არჩეული არიან აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოებსა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში.

მსაჯულები შეიძლება იყვნენ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი, რომლებიც დადგენილი წესით არჩეული არიან საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოებში, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და რაიონის (ქალაქის) სასამართლოებში.

მსაჯულები მართლმსაჯულების განხორციელებისას სარგებლობენ მოსამართლის ყველა უფლებით.

მუხლი 2. მოსამართლისა და მსაჯულისადმი წაყენებული მოთხოვნები

მოსამართლე და მსაჯული მართლმსაჯულებას უნდა ახორციელებდნენ საქართველოს რესპუბლიკის კანონების ზუსტი შესაბამისობით, დამოუკიდებლად, ამასთან, იყვნენ სამართლიანი, ჰუმანური, პრინციპულნი და მიუკერძოებელნი.

პირი მეორე

მოსამართლისა და მსაჯულის დამოუკიდებლობის გარანტიები

მუხლი 3. მოსამართლისა და მსაჯულის დამოუკიდებლობა

მოსამართლე და მსაჯული დამოუკიდებელი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან.

მოსამართლისა და მსაჯულის დამოუკიდებლობას განაპირობებს მანაპირობებს ჩვეის (დანისშენის) და გათავისუფლების კანონით დადგენილი წესი, მოსამართლისა და მსაჯულის ხელშეუხებლობა, მართლმსაჯულების განხორციელების მკაცრი იურიდიული პროცედურა, გადაწყვეტილების გამოტანისას მოსამართლეთა თათბირის საიდუმლოება და მისი გამხელის მეთხოვნის აკრძალვა, პასუხისმგებლობა სასამართლოს მიმართ უპატივეცემლობისათვის ან კონკრეტულ საქმეთა გადაწყვეტაში ჩარევისათვის, სასამართლოების საქმიანობისათვის საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური პირობების შექმნა, აგრეთვე მოსამართლის მაღალი სტატუსის შესაფერისი მატერიალური და სოციალური უზრუნველყოფა.

მუხლი 4. პასუხისმგებლობა სასამართლოს უპატივეცემლობისათვის

საქმის გამოწვილე პირთა ან სასამართლო სადგომის დამსწრე მოქალაქის მხრივ სასამართლოს მიმართ უპატივეცემლობის გამოვლენა, ან ისეთი მოქმედების ჩადენა, რომელიც სასამართლოს აშკარა უგულვებელყოფას მოწმობს, იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5. სასამართლო საქმეების გადაწყვეტაში ჩარევის დაუშვებლობა

მართლმსაჯულების განხორციელებისას მოსამართლსა და მსაჯულს საქმიანობაში ჩარევა აკრძალულია.

კონკრეტული საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის დაბრკოლების ან უკანონო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის მიღწევის მიზნით მოსამართლეზე ან მსაჯულზე ზემოქმედება, რა ფორმითაც უნდა მოხდეს იგი, იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უფლება არა აქვთ წინასწარ განსაზღვრონ თავიანთ ცნობებში კონკრეტული საქმის გამო სასამართლო განხილვის შედეგები ან სხვაგვარად მოახდინონ ზემოქმედება სასამართლოზე გადაწყვეტილების ან განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლაზე.

მუხლი 6. მოსამართლისა და მსაჯულის ხელშეუხებლობა

მოსამართლე ან მსაჯული სასამართლოში თავისი მოვალეობის შესრულებისას არ შეიძლება მიცემულ იქნეს პასუხისმგებაში, ან დაპატიმრებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის, შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმების თანხმობის გარეშე.

მოსამართლის ან მსაჯულის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა შეუძლია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის, ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმების თანხმობით. ამასთან ერთად წყდება მოსამართლის უფლებამოსილების შეჩე-

რების საკითხი, გამოძიებისადმი ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი.

მოსამართლისა და მსაჯულის მიმართ სისხლის სამართლის საქმეების განხილვა ექვემდებარება საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების მოსამართლეთა და მსაჯულთა მიმართ — ავტონომიური რესპუბლიკების უზენაეს სასამართლოებს.

არ დაიშვება დაკავება, იძულებით მოყვანა ან ადმინისტრაციული სახდელის ღონისძიებათა გამოყენება მოსამართლის მიმართ, აგრეთვე მსაჯულის მიმართ, როდესაც ისინი ასრულებენ თავიანთ მოვალეობას სასამართლოში.

მუხლი 7. მსაჯულის შრომის უფლებების გარანტია

მსაჯულის დათხოვნა ადმინისტრაციის ინიციატივით ან დისციპლინური სახდელის წესით გადაყვანა ნაკლებხელფასიან სამუშაოზე მისი უფლებამოსილების პერიოდში დაიშვება, ზოგადი წესის დაცვის გარდა, მხოლოდ მსაჯულის ამრჩევი შრომითი კოლექტივის თანხმობით.

ქარი მესამე

მოსამართლის არჩევა (დანიშვნა), მსაჯულთა არჩევნები

მუხლი 8. მოსამართლეობისა და მსაჯულობის კანდიდატებისადმი წაყენებული მოთხოვნები

რაიონის (ქალაქის) მოსამართლედ შეიძლება დანიშნოს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 27 წელი, ფლობს ქართულ ენას, ავტონომიურ რესპუბლიკაში — ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენას.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოს მოსამართლეს უნდა ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება, იურიდიული სპეციალობით მუშაობის არანაკლებ ორი წლის სტაჟი და ჩაბარებული — საკვალიფიკაციო გამოცდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ შეიძლება დანიშნოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 30 წელი, ფლობს ქართულ ენას, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, იურიდიული სპეციალობით მუშაობის ხუთი წლის სტაჟი, მათ შორის, როგორც წესი, მოსამართლედ მუშაობის სულ ცოტა ორი წლის სტაჟი და ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 30 წელი, ფლობს ქართულ ენას, ავტონომიურ რესპუბლიკაში — ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენას, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და სულ ცოტა ხუთი წლის იურიდიული სპეციალობით მუშაობის სტაჟი, მათ შორის, როგორც წესი, მოსამართლედ მუშაობის სულ ცოტა ორი წლის სტაჟი და ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა.

მსაჯულად შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდა 25 წელი და ფლობს ქართულ ენას, ავტონომიურ რესპუბლიკაში — ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენას.

მუხლი 9. მოსამართლეობის კანდიდატა შერჩევა

მოსამართლეობის კანდიდატებს შერჩევენ საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის ორგანოები ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნის საფუძველზე.

მოსამართლეობის კანდიდატებად პირველად რეკომენდებული პირნი პროფესიულ მომზადებას გადიან იმ წესითა და შემთხვევებში, რომლებსაც განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებს შერჩევენ და წარადგენს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო, ავტონომიურ რესპუბლიკებში — ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროები საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით და მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნის საფუძველზე.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატებს შერჩევენ და წარადგენენ მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნის საფუძველზე, ამ სასამართლოების თავმჯდომარეები საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებს შერჩევენ და წარადგენს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 10. მოსამართლეთა არჩევის (დანიშვნის), მსაჯულთა არჩევის წესი და უფლებამოსილების ვადები

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს წარდგინებით.

ავტონომიური რესპუბლიკების რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეებს ნიშნავენ ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმები ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროების წარდგინებითა და საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით.

ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების მოსამართლეებს ირჩევენ ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები ამ სასამართლოების თავმჯდომარეების წარდგინებითა და საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს ირჩევენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულებს ირჩევენ მოქალაქეთა კრებებზე მათი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მიხედვით, კენჭისყრით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მსაჯულებს ირჩევენ ქალაქის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანო.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების მსაჯულებს ირჩევენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მსაჯულებს
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

ყველა სასამართლოს მოსამართლეებს ნიშნავენ ან ირჩევენ ათი წლი-
დით. ხოლო მსაჯულებს ირჩევენ ხუთი წლის ვადით.

ადმინისტრაციულ მოსამართლეებს ნიშნავენ ხუთი წლის ვადით.

თუ მოსამართლეს ან მსაჯულს უფლებამოსილების ვადა გაუდის სას-
თლო საქმის განხილვისას, მას უფლებამოსილება გაუგრძელდება ამ ს-
განხილვის დამთავრებამდე.

მსაჯულის სასამართლოში მიწვევა მოვალეობის შესასრულებლად ხ-
რიგითობის წესით, არა უმეტეს ორი კვირისა წელიწადში. გარდა იმ შემთხ-
ვისა, როცა ვადის გაგრძელება აუცილებელია მისი მონაწილეობით დაწყებ-
სასამართლო საქმის განხილვის დასამთავრებლად.

მუხლი 11. მოსამართლისა და მსაჯულის ფიცი

პირველად დანიშნული ან არჩეული მოსამართლე და პირველად არჩე-
მსაჯული დებენ ფიცს.

მოსამართლისა და მსაჯულის ფიცის ტექსტს, აგრეთვე ფიცის დად-
წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

პირი მეოთხე

მოსამართლისა და მსაჯულის უფლება-მოვალეობანი

მუხლი 12. მოსამართლისა და მსაჯულის უფლებები

მოსამართლესა და მსაჯულს აქვს მართლმსაჯულების განსახორციელებლ-
საჭირო უფლებამოსილება.

მოსამართლეს აგრეთვე აქვს უფლება:

მოსთხოვოს თანამდებობის პირებსა და მოქალაქეებს შეასრულონ მის
განკარგულებანი, რომლებიც დაკავშირებულია მოსამართლეებისათვის კანონი-
დაკისრებული მოვალეობების განხორციელებასთან;

შეიტანოს სახელმწიფო ორგანოებში, კოოპერატივებში, საზოგადოებრი-
ორგანიზაციებში და თანამდებობის პირებთან წარდგინებანი კანონის დარღვე-
ვების ან დარღვევის ხელშემწყობი მიზეზების და პირობების აღმოფხვრის
შესახებ;

გამოითხოვოს მისთვის საჭირო ინფორმაცია.

სახელმწიფო ორგანოები, კოოპერატივები, საზოგადოებრივი ორგანიზა-
ციები და თანამდებობის პირნი ვალდებული არიან შეასრულონ მოსამართლის
მოთხოვნები.

მუხლი 13. მოსამართლისა და მსაჯულის მოვალეობანი

მოსამართლეები და მსაჯულები სამოქალაქო სამართლის საქმეების, სის-
ხლის სამართლის საქმეებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქ-
მეების განხილვისას მოვალენი არიან ზუსტად შეასრულონ კანონის მოთხოვნები,
უზრუნველყონ მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, სახელისა და
ღირსების, საზოგადოების ინტერესების დაცვა, სასამართლო საქმიანობის მა-
ღალი კულტურა და აღმზრდელობითი ზემოქმედება, იყვნენ სამართლიანი და
ჰუმანური.

მსაჯულები მოვალენი არიან ეუფლებოდნენ სამართლებრივ ცოდნას, ზედონ ყოველი საქმის სასამართლო გარჩევისათვის.

მოსამართლეებმა წინასწარ უნდა გააცნონ მსაჯულებს განსახილველი საქმეები, მოქმედი კანონმდებლობა და მისი გამოყენების პრაქტიკა.

მოსამართლეებსა და მსაჯულებს არა აქვთ უფლება გაამყლავნონ მოსამართლეთა თათბირის საიდუმლოება და დახურული სასამართლო სხდომების ჩატარებისას მიღებული ცნობები.

მსაჯულები მოვალენი არიან დროულად გამოცხადდნენ სასამართლოში მართლმსაჯულების განსახორციელებლად.

მსაჯულთა სასამართლოში გამოძახების უზრუნველყოფა სავალდებულოა იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისათვის, სადაც მუშაობს ან სწავლობს მსაჯული.

პარი მესუთა

მოსამართლეთა კონფერენციები, მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეჯიები

მუხლი 14. მოსამართლეთა კონფერენციები

საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედებენ:

საქართველოს რაიონის (ქალაქის), საქალაქო სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენცია, ავტონომიური რესპუბლიკების რაიონის (ქალაქის) და უზენაესი სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენციები;

მოსამართლეთა კონფერენციები განიხილავენ სასამართლო პრაქტიკაში წამოჭრილ კანონმდებლობის გამოყენების საკითხებს, მიმართავენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს წინადადებებით სახელმძღვანელო განმარტების მიცემის, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგინების ან კანონის განმარტების შესახებ წარდგინების შეტანის თაობაზე.

კონფერენციები ირჩევენ მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეჯებს.

კონფერენციების მოწვევისა და მოწყობის წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

მუხლი 15. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეჯიები

მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეჯიები აირჩევა მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევისა და მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიების გაძლიერების მიზნით.

მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეჯიები აირჩევა ამ კანონის მე-14 მუხლით გათვალისწინებული მოსამართლეთა კონფერენციების მიერ მოსამართლეთა რიცხვიდან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეჯიას ამავე სასამართლოს წევრთა რიცხვიდან ირჩევის ამ სასამართლოს პლენუმი.

მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეჯიებს ირჩევენ ხუთი წლის ვადით.

მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეჯიების არჩევის წესს და საქმიანობის ორგანიზაციას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.



მოსამართლისა და მსაჯულის გაწვევა და ვადამდე გათავისუფლება
მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობა

მუხლი 16. მოსამართლისა და მსაჯულის გაწვევა და ვადამდე გათავისუფლება

მოსამართლესა და მსაჯულს შეიძლება ვადამდე ჩამოართვას უფლებამოსილება მხოლოდ მათმა აპრჩევმა (დამნიშნავმა) ორგანომ კანონის უხეში დარღვევის ან სახელის გამტეხი საქციელის ჩადენისათვის, რომელიც შეუთავსებელია მის მაღალ წოდებასთან, აგრეთვე, მათ მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გამო.

მოსამართლე ან მსაჯული შეიძლება ვადამდე გათავისუფლდეს დაკისრებული მოვალეობების შესრულებისაგან:

ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რომელიც ხელს უშლის მუშაობის გაგრძელებას;

სხვა თანამდებობაზე არჩევის ან მისი თანხმობით სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო;

საკუთარი სურვილით.

მოსამართლის გაწვევის საკითხი წყდება მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიისა და საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს დასკვნების გათვალისწინებით.

მოსამართლისა და მსაჯულის გაწვევისა და ვადამდე გათავისუფლების წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

მუხლი 17. მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობა

მოსამართლე შეიძლება მიეცეს დისციპლინურ პასუხისმგებაში:

სასამართლო საქმეების განხილვისას კანონიერების დარღვევისათვის;

სხვა სამსახურებრივი გადაცდომისათვის;

სახელის გამტეხი საქციელისათვის,

დისციპლინურ პასუხისმგებაში მოსამართლის მიცემის წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

პარი მეშვიდე

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 18. მოსამართლის საკვალიფიკაციო ატესტაცია

მოსამართლე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დადგენილი წესით გადის ატესტაციას, რომლის შედეგების მიხედვით მას ენიჭება საკვალიფიკაციო კლასი.

მოსამართლის საკვალიფიკაციო ატესტაციის ჩატარების წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

მუხლი 19. მოსამართლის მატერიალური და სოციალური უზრუნველყოფა

მოსამართლეს ხელფასი უწესდება საკვალიფიკაციო ატესტაციის მიერ მინიჭებული საკვალიფიკაციო კლასის გათვალისწინებით.

მმართველობის ადგილობრივი ორგანოები მოვალენი არიან არჩევიდან (და-

ნიშნებიდან) არა უგვიანეს ექვსი თვის ვადაში უზრუნველყონ მოსამართლე კე-
თილმოწყობილი საცხოვრებელი ბინით.

მუხლი 20. მოსამართლის შეთავსებით მუშაობა

მოსამართლის მუშაობა შეთავსებით დაიშვება პედაგოგიური და სამეცნიერ-
რო-კვლევითი საქმიანობისას.

**მუხლი 21. მსაჯულისათვის ხელფასის, სხვა გადასახდელებისა და შეღავა-
თების შენარჩუნება სასამართლოში მის მიერ მოვალეობის შესრულებისას**

მსაჯულს სასამართლოში მოვალეობის შესრულებისას მუდმივ სამუშაო
ადგილზე ენახება საშუალო ხელფასი.

სხვა გადასახდელებისა და შეღავათების მიმართ მსაჯულის მიერ სასამარ-
თლოში მოვალეობის შესრულების დრო გათანაბრებულია ძირითადი სამუშაოს
შესრულების დროსთან.

სასამართლოში მსაჯულის მიერ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირე-
ბული ხარჯების ანაზღაურების წესს და ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს
რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

**მუხლი 22. სასამართლო ხელისუფლების სიმბოლოები. მოსამართლისა
და მსაჯულის მოწმობები**

სასამართლოებში სასამართლო ხელისუფლების სიმბოლოებს, მოსამართ-
ლისა და მსაჯულის მოწმობათა ნიმუშებს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის
უზენაესი საბჭო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. ბამსახაშვილი.
თბილისი. 1990 წლის 25 დეკემბერი.



ალექსანდრა ბლანკენაბელი

სამართლებრივი სახელმწიფოს ცნობისათვის

ყოველდღიურ ცნობიერებაში სამართლებრივი სახელმწიფო ნიშნავს ისეთი ტიპის სახელმწიფოს, რომლის ხელისუფლება დაფუძნებულია სამართალზე, სამართლით შემოიზღუდება და სამართლის მეშვეობით ხორციელდება. მაგრამ ასეთი წარმოდგენა, თუმცა შინაარსობრივად სწორი, რასაკვირველია, არასაკმარისია სამართლებრივი სახელმწიფოს ფენომენის ადეკვატური გაგებისათვის, რომელიც რთულ, მრავალფაქტორულ სისტემას წარმოადგენს. საჭიროა გაშუქდეს სამართლის ფორმისა და შინაარსის თანაფარდობა, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაცია (ე. ი. ხელისუფლების დაყოფა), სამართლებრივი სახელმწიფოს ყველა ელემენტის ამ მათრგანიზებელი პრინციპისადმი დაქვემდებარება, და ბოლოს, თვით სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია. ეს უკანასკნელი რიგი სპეციფიკური ელემენტების გამოყოფით როდი ამოიწურება; საჭიროა განისაზღვროს მათი საერთო წესი და მათი ურთიერთკავშირების ხასიათი. ამ მიზნით, უნდა განვიხილოთ სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციის ზოგიერთი „ჩუმი“ წინაპირობები და ფიქციები.

1. სამართლებრივი სახელმწიფო, როგორც შინაარსობრივი ცნება

სამართლებრივი ნორმების შინაარსისა და სამართლიანობის პრობლემა დიდი ხანია ცნობილია: იურიდიული მეცნიერება აქ განიხილავს სამართლისა და კანონის თანაფარდობას. ეს პრობლემა ფუძემდებლურია სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციაშიც: ფაშიზმისა და სტალინიზმის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კანონის ფორმა სრულიად არ გულისხმობს კანონის სამართლიანობას. აქედან გამომდინარე, სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია პრინციპულად ვრცელდება სამართლებრივი ნორმების შინაარსზე. მეორეს მხრივ, მსოფლიოში სხვადასხვა საზოგადოებრივი წარმოდგენა არსებობს სამართლიანობაზე და სწორ წყობაზე და ამ განსხვავებათა მართებულობა გამომდინარეობს თვითგამორკვევის უფლებიდან, რაც ბუნებრივია ნებისმიერი საზოგადოებისათვის. სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციას ზოგადი მიმართულება აქვს და მოწოდებულია ქმედითი იყოს ნებისმიერი ტიპის საზოგადოებაში; ამისათვის იგი უნდა შეიცავდეს არა ზედმეტად დეტალიზებულ, არასაჭირო, დაწვრილებით ნორმებს, არამედ მხოლოდ ყველაზე ზოგად (მაგრამ ყველა შემ-

თხვევაში საქმარის) პრინციპებს. ძირითადად ლაპარაკია შემდეგ ოთხ პრინციპზე:

ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების არსებობა. სამართლებრივი სახელმწიფო არ არის სახელმწიფო ხელისუფლების აღსრულების მომწესრიგებელი თვითკმარი მექანიზმი; სამართლებრივი სახელმწიფოს მიზანია ყველა მოქალაქის „ბედნიერი ცხოვრების“ („Pursuit of happiness“) უზრუნველყოფა. სამართლებრივმა სახელმწიფომ თანმიმდევრულად უნდა განახორციელოს თავისი ძირითადი დანიშნულება — ყოველ მოქალაქეს მისცეს პიროვნების ყოველმხრივი განვითარების შესაძლებლობის გარანტია. იურიდიულ ენაზე რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს იმ ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების არსებობას, რომლებიც უზრუნველყოფენ ნებისმიერ ქმედებებს ყოველი კონკრეტული სიტუაციისათვის, რომლებიც არ ზღუდავენ ინდივიდუმა თავისუფლებას და არ ეწინააღმდეგებიან პირადი ნების გამოვლენაზე უფრო მაღალ საზოგადოებრივ ინტერესებს. ამასთან, ლაპარაკია სოციალურ ქმედებათა ისეთ სისტემაზე, რომლის დროსაც ინდივიდუმის, მოქალაქის კომპეტენცია წარმოადგენს პირველადს, „ბუნებრივს“, ე. ი. ისეთს, რაც დასაბუთებას არ საჭიროებს. მაშინ, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების აღსრულების საშუალება წარმოადგენს მეორადს, წარმოებულს, და ამიტომაც წარმოუდგენელს სპეციალური სანქციების გარეშე, რისი მინიჭებაც მხოლოდ საზოგადოებრივ ინტერესს შეუძლია. ამ იერარქიაში ჩაქსოვილია განსახილველი პრინციპის ფარული არსი, რაც შემდეგნაირად განისაზღვრება: რაც აკრძალული არ არის ნებადართულია.

ფარდობითობის პრინციპი. ნათქვამიდან გამომდინარეობს კრიტერიუმის შემუშავების აუცილებლობა ისეთი სიტუაციის შესაფასებლად, როდესაც სახელმწიფო კანონებში გამოხატული საზოგადოებრივი ინტერესები ამართლებენ ინდივიდუმის უფლებებისა და თავისუფლების შეზღუდვას, ინდივიდუმის თავისუფლების პირველადობა ითვალისწინებს, რომ ყოველი სიტუაციისათვის მსგავსი შეზღუდვა მინიმალური უნდა იყოს. გერმანულ კონსტიტუციურ სამართალში შემუშავებულია სახელმწიფო ღონისძიებათა „შეფარდებითობის“ პრინციპი, რომელიც სამ თანმიმდევრულ კრიტერიუმს ითვალისწინებს: ვარგისიანობის, მოქალაქის თვალსაზრისით საჭიროების და მიზნისა და საშუალებების თანაფარდობის (არ შეიძლება ბედურებისთვის ზარბაზნის სროლა).

თანასწორობა კანონის წინაშე და ნდობის დაცვა. ეს ორი პრინციპი ავსებს სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციის შინაარსს. კანონის წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპი თითქოსდა თავისთავად ცხადია, მაგრამ პრაქტიკაში ამ პრინციპის დარღვევის არა ერთი შემთხვევაა, რომლებიც გამოწვეულია არა მხოლოდ კანონთა ვოლუნტარისტული გამოყენებით, არამედ იურისპრუდენციის სფეროში სოციალური უთანასწორობის მექანიკური გადატანითაც. გარდა ამისა, დღეს ამ პრინციპის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ თანასწორობის წმინდა ფორმალური გაგება სულაც არ უწყობს ხელს ნაკლებად შეძლებული ფენებისთვის სამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობას. მოქალაქის ნდობის დაცვის პრინციპი წარმოადგენს საყოველთაო სამართლებრივ პრინციპს. სამართლებრივ სახელმწიფოში ეს არის სახელმწიფოს „თავისუფლების“ კიდევ ერთი შეზღუდვა ინდივიდუმის სასარგებლოდ. მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, სუვერენულ სახელმწიფოს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ შეცვალოს კანონები, მაგრამ მოქალაქესაც, როგორც თანასწორუფლებიან პარტნიორს, უფლება აქვს თავის ქმედებებში ყვე-

ლა არსებული კანონის საფუძვლიანობის პრეზუმფციიდან გამომდინარე მიუთითოს მათი გაუქმების მკვეთრი, მოულოდნელი შედეგების შესაძლებლობაზე. თუ საზოგადოების საჭიროებები მოქალაქეთა წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც მოითხოვს ისეთი ქმედებების გატარებას, რომლებიც ამ უკანასკნელთა ინტერესებს ეხება, ნდობის დაცვის პრინციპი მოქალაქეს აძლევს კომპენსაციის (ზარალის ანაზღაურება) უფლებას.

2. სამართლებრივი სახელმწიფო და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაცია

როგორც ცნობილია, სამართლებრივი სახელმწიფოს დასავლური დოქტრინა გულისხმობს ხელისუფლების სავალდებულო აუცილებელ გაყოფას; ასეთი მიდგომა მნიშვნელოვან პრინციპებს ეყრდნობა. ეჭვს გარეშეა, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრეროგატივა კონტროლის ფუნქციაა; სახელმწიფო აპარატის შიგნით შრომის ნებისმიერი გაყოფა კი გარდუვალად ითვალისწინებს ხელისუფლების დაქუცმაცებასაც, რაც აადვილებს მასზე კონტროლის ამოცანას. ასეთი მიდგომისას სამართლებრივი „შედწევის“ ობიექტი ხდება დაყოფილი ხელისუფლების თანაფარდობა. ამრიგად, სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციიდან გამომდინარე (ყველა მისი ელემენტის ჯამში), მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თითოეული ხელისუფლების სპეციფიკური ხასიათი და ის სპეციფიკური საშიშროება, რომლითაც იგი ემუქრება როგორც სხვა ხელისუფლებას, ასევე მოქალაქესაც.

ა) საკანონმდებლო ხელისუფლება. სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციის ფარგლებში საკანონმდებლო ხელისუფლების პრობლემას სამი ასპექტი გააჩნია. პირველი მათგანი დაკავშირებულია საკანონმდებლო კომპეტენციის არსის განმარტებასთან, უფლებაა ეს თუ მოვალეობა? მეორე, საჭიროა განისაზღვროს საკანონმდებლო ხელისუფლების ფარგლები და გამოცემული კანონების, ასე ვთქვათ, კანონზომიერების მასშტაბი. მესამე, საჭიროა, რომ თვით კანონები შეესაბამებოდნენ ძირითად კანონს (კონსტიტუციას) და ზოგიერთ სხვა ფორმალურ მოთხოვნებს.

კანონი სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების უმაღლესი ფორმაა არა მარტო თავისი იურიდიული ძალით, არამედ თავისი იურიდიული ლეგიტიმაციით (მას ქმნიან თვით ხალხის მიერ არჩეულნი). ისტორიის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საკმაოდ ხშირად, საკანონმდებლო ხელისუფლებას ძირს უთხრის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მიღებული კანონმქვემდებარე ნორმატიული აქტები; ეს იმის გამო, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება გამოაძევებდა საკანონმდებლოს, ანდა იმიტომ, რომ საკანონმდებლო ხელისუფლება თვითონ აარიდებდა თავს პასუხისმგებლობას. ამიტომ, სამართლებრივი სახელმწიფოს რეალისტურმა კონცეფციამ მკვეთრად უნდა განსაზღვროს საკანონმდებლო ხელისუფლების უფლებებისა და მოვალეობების მოცულობა. აქ გერმანული კონსტიტუციური თეორია ორ მიდგომას გთავაზობს: ან კლასიკურს, რომლის მიხედვითაც საკანონმდებლო საფუძველი აუცილებელია ნებისმიერი ჩარევისათვის, რომელიც მოქალაქის თავისუფლებასა და საკუთრების უფლებას ეხება, ან თანადროულ პრობლემას, რომელსაც უფრო ფართოდ იხილავს; მაგალითად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სოცია-

ლური უზრუნველყოფის სფეროში სახელმწიფოს მომსახურება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის მდგომარეობაზე, დგება საკითხი იმ ნორმების სათვის კანონის ფორმის მიცემის შესახებ, რომლებიც ასე თუ ისე ეხება მოქალაქის ინტერესებს.

ამასთან, არსებობს საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ თავისი უფლებების ნებაყოფლობითი გადაცემის პრობლემა, საქმე ისაა, რომ თანამედროვე სახელმწიფოში — კანონის განმაზოგადებელი, განყენებული ხასიათის გამო არ შეიძლება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გარეშე გამოსვლა. გფრ-ის კონსტიტუციაში არის სპეციალური მუხლი (მე-80), რომელიც არეგულირებს საკანონმდებლო კომპეტენციის გადაცემას აღმასრულებელ ხელისუფლებაზე; გათვალისწინებულია, რომ ეს პროცესი უნდა განხორციელდეს კანონის ფორმით, და ამ უკანასკნელში უნდა განისაზღვროს მომავალი კანონქვემდებარე აქტების შინაარსი, მიზანი და მოცულობა. ეს ცხადია, მხოლოდ ერთი შესაძლებელი მოდელია, მაგრამ მთავარია, რომ იგი გვთავაზობს თვით კანონმდებლის მიერ ხელისუფლების ნებაყოფლობით გადაცემით პრობლემის გადაწყვეტას.

საკანონმდებლო ხელისუფლების საზღვრები განსაზღვრულია კონსტიტუციით, რაც გამოხატავს ქვეყნის ძირითადი კანონის უზენაესობის პრინციპს: ყოველი საკანონმდებლო — ისევე, როგორც საერთოდ ნებისმიერი სამართლებრივი აქტი, მას უნდა შეესაბამებოდეს. ეს პრინციპი ვრცელდება კანონმდებლობის ყველა სფეროში და გულისხმობს კონსტიტუციის ფედერალური პრინციპების პრიორიტეტს (როგორც, მაგალითად, იმ კონფლიქტებში საკავშირო და რესპუბლიკურ კანონშემოქმედებას შორის, რომელსაც ამჟამად აქვს ადგილი საბჭოთა კავშირში), მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი აქ კანონმდებლისათვის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების პირდაპირი მოქმედებაა — სწორედ იმიტომ, რომ როგორც ისტორია გვიჩვენებს ცალკეული მოქალაქის უხელისუფლებობა მას სახელმწიფო ვოლუნტარიზმის უშუალო ობიექტად აქცევდა.

რაც შეეხება კანონის მიმართ წაყენებულ სხვა მოთხოვნებს, აქ საჭიროა მკაფიოდ მოწესრიგებული საკანონმდებლო კომპეტენციებისა და პროცედურების დაცვა. კომპეტენცია გულისხმობს კანონშემოქმედების ფუნქციების მინიჭებას იმ პირთათვის, ვინც ხალხის მიერ არის უფლებამოსილი — ფედერალურ და ადგილობრივ კომპეტენციათა გამიჯვნისას; პროცედურა კი უზრუნველყოფს ამ საქმიანობაში პროფესიონალების, აგრეთვე იმ პირთა ჩაბმას, რომელთა უფლებებიც შეიძლება შელახულ იქნეს განსახილველი აქტით. ამავე დროს მხედველობაში გვაქვს მისაღები იმ ფაქტიდან გამომდინარე შედეგები, რომ კანონი მოქალაქეს კარნახობს თავის ნებას. ასეთმა დიქტატმა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იმოქმედოს, თუ მოქალაქისათვის გასაგებია მის მიმართ წაყენებული მოთხოვნები; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ კანონი ნათლად და გამოკვეთილად არის ფორმულირებული, ცხადია, პრაქტიკაში კანონისადმი ეს მოთხოვნა აწყდება იურიდიული ენის სპეციფიკას და თვით კანონის აბსტრაქტულ ხასიათს. საქმე დადის იმ მოთხოვნამდე, რომ კანონი გასაგები იყოს იურისტისათვის; რომელმაც იცის ამ მუხლების უმაღლესი სამართლოს მიერ დადგენილი განმარტებები.

ამ პრინციპების უმრავლესობა მეტნაკლებად ცნობილია საბჭოთა იურის-

ტებისათვის და საბჭოთა სამართლებრივი სისტემისათვის; თეორიულად ისინი საბჭოთა კავშირშიც არსებობენ, მაგრამ სინამდვილეში, როგორც საუწყებლო სამართალშემოქმედება ადასტურებს, არ მოქმედებენ.

სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია ითვალისწინებს მუდმივ კონტროლს კანონმდებლის აქტებზე, ისე, რომ სამართლის, ე. ი. კონსტიტუციის ნებისმიერ დარღვევას თან სდევს საკანონმდებლო აქტის ბათილობა; რასაც ადგენენ საკონტროლო ორგანოები, მაგალითად კონსტიტუციური სასამართლო. მაგრამ პრაქტიკაში ასეთი კონტროლის საშუალების და თვითმაკონტროლებელი ორგანოს არსებობა — რომლებიც გამოირიცხავენ კანონმდებლი სუვერენულობის წარმოდგენას — საკმარისი როდია. კონტროლის ეფექტურობა მიიღწევა მხოლოდ მაშინ, როდესაც კონტროლის პროცედურის აღძვრის შესაძლებლობა აქვს მას, ვინც უშუალოდ განიცდის თავისი უფლებების შელახვას, ესე იგი, არა მარტო ფედერაციისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ორგანოებს, არამედ მოქალაქეებსაც.

ბ) **აღმასრულებელი ხელისუფლება.** ცნებას „აღმასრულებელი ხელისუფლება“ ხშირად არასწორად განმარტავენ იმ გაგებით, რომ ეს არის ხელისუფლება, რომელიც სხვის დავალებებს ასრულებს. პრობლემა კი მხოლოდ ის როდია, თუ როგორ ასრულებს ხელისუფლება ამ დავალებებს, არამედ ისიც, შეუძლია თუ არა მას მისთვის მიცემული დავალებების გარეშე მოქმედება. აღმასრულებელი ხელისუფლების კონცეფცია ითვალისწინებს მის ჰეგემონიულ სტატუსს; ესაა სწორედ აღმასრულებელი ხელისუფლება და არა თავისთავად: მოქალაქესთან მისი სიახლოვის შეხამება ხელისუფლებისა და ძალმომრეობის საშუალებების გამგებლობასთან გარდუვალად გულისხმობს იმას, რომ მოქმედების პროგრამები მის მიერ არ იქნას შემუშავებული. ამის გამო აღმასრულებელი ხელისუფლების კონცეფცია სამართლებრივ სახელმწიფოში უნდა ითვალისწინებდეს მის დამოკიდებულებას კანონთან, კანონის მცდარი გამოყენების შედეგებს და თვით კანონის გამოყენების პროცესს.


კანონთან დამოკიდებულება. აქ ჩვენ ორ პრობლემას ვაწყდებით, ერთის მხრივ, როგორც უკვე ითქვა, აღმასრულებელი ხელისუფლების ქმედებები თითქმის ყოველთვის ეხება მოქალაქეთა უფლებების სფეროს და დემოკრატიული თვალსაზრისით ასეთი ქმედებებისათვის საჭიროა ამ მოქალაქეთა წარმომადგენლების თანხმობა. სამართლებრივი სახელმწიფოს კატეგორიებში ასეთი „თანხმობა“ იქცევა კანონად: ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი ქმედება, რომელსაც უშუალოდ კავშირი აქვს მოქალაქეთა უფლებებთან (თავისუფლებებსა და საკუთრებასთან, კლასიკური ფორმულით), კანონს უნდა ეყრდნობოდეს. მხოლოდ და მხოლოდ კანონით რეგულირების პრინციპი ეხება სამართლებრივი გადაწყვეტილებების შინაარსსაც და ადმინისტრაციის კონკრეტულ ქმედებებსაც. დასავლეთგერმანული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი თეორია კიდევ უფრო შორს მიდის, ავრცელებს რა ამ პრინციპს მოქმედების ფორმაზეც და ტიპზეც: მართვის აპარატის უფლებამოსილება — გამოსცეს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი (ე. ი. აბსტრაქტული წესი) — ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ინდივიდუალური ადმინისტრაციული გადაწყვეტილების გამოტანის საკმაო საფუძველს, და პირიქით, საბოლოო ჯამში წარმოიქმნება ამ აპარატის ორმაგი სამართლებრივი დამოკიდებულება. მეორეს მხრივ, სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია უნდა ითვალისწინებდეს გარანტიებს მართვის აპარატის მხრივ კანონის ხელყოფის წინააღმდეგ, რომელიც ყოველთვის ისწრაფვის „თავისთავად“

ვადობისაკენ“, კანონის საწინააღმდეგო საკუთარი ნორმატიული აქტების გამოცემის გზით. აქ მოქმედებს კანონის უზენაესობის პრინციპი; მართვის აპარატის ნებისმიერი მსგავსი აქტია მცდარია (კანონსაწინააღმდეგოა) და შეიძლება ბათილად გამოცხადდეს სასამართლოს წესით. ამას უნდა დაემატოს აგრეთვე, კონსტიტუციის პირდაპირი მოქმედება (კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპი) მართვის სფეროსთან მიმართებაში: კონსტიტუციასთან კანონის ან კანონქვემდებარე აქტის წინააღმდეგობის შემთხვევაში ნებისმიერი თანამდებობის პირი ვალდებულია საკითხი გადაწყვიტოს კონსტიტუციური ნორმის თანახმად. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ასეთი ვალდებულება მხოლოდ ქალაქში არ არსებობდეს. ამას უკავშირდება მმართველობის აპარატის მცდარი, ანუ არამართლზომიერ ქმედებათა შედეგების საკითხი.

არაკანონზომიერი ქმედებების შედეგები. აქ განასხვავებენ ოთხ დამოუკიდებელ, მაგრამ ურთიერთდაკავშირებულ ასპექტს: დაშვებული შეცდომის ხარისხი; ამ შეცდომის შედეგების ხასიათი; ვინ აგებს მასზე პასუხს; ვის შეუძლია ან ვინ უნდა აღძრას საკითხი თვით ქმედების არამართლზომიერების შესახებ. ასეთი მიდგომა ეყრდნობა პრეზუმფციას, რომ ყოველ შეცდომას გააჩნია შედეგი, — და ეს მართლაც ასეა.

განვიხილოთ შესაძლებელი შეცდომების, ანუ კანონის დარღვევების დიაპაზონი. რასაკვირველია, ხდება კანონის ძალიან სერიოზული დარღვევები, მაგრამ ადგილი აქვს აგრეთვე ძალიან მცირე მნიშვნელობის ფორმალურ დარღვევებს, რომლებიც საქმეთა ვითარებას არ ცვლიან. ასე, მაგალითად, ამა თუ იმ ადმინისტრაციული გადაწყვეტილების დასაბუთებაში არ არის აღნიშნული კანონის მუხლი, რომლის საფუძველზეც ეს გადაწყვეტილება ტარდება. უმნიშვნელო შეცდომის შემთხვევაში წარმოიქმნება ისეთი სერიოზული შედეგის ადექვატური ადექვატურობის საკითხი, როგორცაა აქტის ბათილად ცნობა. სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია მოცემულ შემთხვევაში აწესებს მოქნილ მიდგომას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მცდარი აქტის ბათილად ცნობის აუცილებელმა პრინციპმა იცის გამონაკლისები, რომლებიც ყოველთვის საპირობებენ საგულდაგულო დასაბუთებას, რაც შეცდომის (კანონიდან გადახვევის) მიზეზების კონკრეტულ ანალიზს მოიცავს, აღნიშნული პრინციპის ძალით ირკვევა შედეგების ხასიათიც: სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია აქ ანსხვავებს პირველად და მეორად შედეგებს. პირველადი შედეგები — ეს არის დარღვეული უფლებების აღდგენა პირდაპირი მნიშვნელობით; უკანონო ნორმატიული აქტი უქმდება, გადაისინჯება უარი სიკეთის კანონიერ მინიჭებაზე. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ასეთი არამართლზომიერი აქტის ობიექტი, ე. ი. მოქალაქე, დაწესებულება ან დამოუკიდებელი სახელმწიფო ქვედანაყოფი უმეტეს შემთხვევაში ასე თუ ისე ზარალდება. სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციის თანახმად, ეს ზარალი, როგორც მატერიალური, ასევე მორალური, — ანაზღაურებულ უნდა იქნეს.

საკითხს იმის შესახებ, თუ ვისზე ვრცელდება ამ შედეგების მოქმედება, მიყვავართ არა მარტო სამართლებრივი სახელმწიფოს, არამედ აგრეთვე სა-მოქალაქო სამართლის ცენტრალურ პრობლემასთან: საქმე ეხება სახელმწიფო ორგანიზაციის პასუხისმგებლობას მისი თანამშრომლების ქმედებებზე. კონფლიქტური სიტუაცია სახეზეა: თვით ორგანიზაციისათვის ხელსაყრელია, რომ პასუხისმგებლობა კონკრეტულ თანამშრომლებს დაეკისროთ, დაზარალებულისათვის კი პირიქით, ხელსაყრელია, რომ პასუხისმგებლობა (და არა მხო-




ლოდ მატერიალური) თვით ორგანიზაციას დაეკისროს. ეს საკითხი უფრო ფაქტიდან გამომდინარე: ნებისმიერი თანამდებობის პირი, ისევე როგორც მთელი სახელმწიფო ორგანო, არასოდეს არ მოქმედებს თავისი სახელით და თავისი ძალაუფლების საფუძველზე. ამიტომ პასუხსაც უსათუოდ აგებს სახელმწიფო, თავისი ორგანიზაციის სახით, რომელსაც შემდგომ შეუძლია შესაბამისი პრეტენზიები წაუყენოს კონკრეტულ თანამდებობის პირს. გერ-ში მაგალითად, არსებობს სახელმწიფოს მიერ ზარალის, მათ შორის თანამდებობის პირთა არამართლზომიერი ქმედებით გამოწვეული ანაზღაურების ძალიან რთული სისტემა. ამასთან დაკავშირებით, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოურ სამართლის სისტემაში სახელმწიფოს (ორგანიზაციის) პასუხისმგებლობაზე გადასვლა ჯერ არ განხორციელებულა, რაც განაპირობებს თანამედროვე იურიდიული პრაქტიკის რიგ ნაკლოვანებებს. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს კანონი თანამდებობის პირთა (და არა სახელმწიფოს!) არამართლზომიერ ქმედებათა გასაჩივრების წესის შესახებ.

მოსარჩელის საკითხი, ე. ი. იმის შესახებ, თუ ვის შეუძლია აღძრას საჩივარი აქტის მცდარობისა და მისი შედეგების თაობაზე, ძალიან მარტივად წყდება. ეს შესაძლებლობა უფროდ ეკუთვნის დაზარალებულ პირს: მისი უფლებები (განსაკუთრებით პიროვნების ღირსება) მოითხოვს ხელყოფისაგან მისი ინტერესების დასაცავად მისთვის ამგვარი პრეროგატივის მიცემას. გარდა ამისა, მოცემულ პირს გააჩნია უკანონო აქტის საწინააღმდეგო ქმედების ყველაზე ძლიერი („ეგოისტური“) სტიმული.

მთლიანობაში კი შედეგების პრობლემის განხილული ასპექტები განისაზღვრება შემდეგი პრინციპით: ნებისმიერ შეცდომებზე პასუხს უნდა აგებდეს სახელმწიფო. ასეთ სიტუაციაში წარმოიქმნება საკმაოდ ძვირადღირებულ შეცდომათა თავიდან აცილების საფუძვლიანი მიზეზები, რაც უზრუნველყოფს მართლწესრიგს დაცვას სამართლებრივ სახელმწიფოში.

პროცედურა. სამართლებრივ სახელმწიფოში აღმასრულებელი ხელისუფლების კონცეფციის მიმოხილვა გაასრულებს მის იმ ასპექტს, რომელიც დაკავშირებულია გადაწყვეტილების მიღების ხერხთან. სამართლებრივი გადაწყვეტილება ყოველთვის არის გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება მტკიცედ დადგენილი წესით: ნაწილობრივ სწორედ ეს უზრუნველყოფს მის მართლზომიერებას. ასეთი პროცედურები (მაგალითად, ყველა დაინტერესებული მხარის და ექსპერტების მოსმენა, ანდა თვით გადაწყვეტილების წერილობითი დასაბუთება) ხელს უწყობს როგორც მიღებული გადაწყვეტილების რაციონალურობისა და ეფექტიანობის ამაღლების, ასევე მოქალაქეთა ინტერესების დაცვასაც — რამდენადაც ისინი მონაწილეობენ პროცედურაში ჯერ კიდევ გადაწყვეტილების შემუშავების სტადიაში.

გ) მართლმსაჯულება. ხელისუფლების გაყოფის სისტემაში მართლმსაჯულება ახორციელებს საკონტროლო ფუნქციებს სხვა ხელისუფლებების ქმედებათა მიმართ. მოქალაქის (ან სხვა, უფლებებშელახული იურიდიული პირის) თვალსაზრისით, ეს კონტროლი წარმოადგენს მისი უფლებებისა და ინტერესების დაცვას. მართლმსაჯულების ასეთი ორმხრივი ხასიათი მიუთითებს მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე სამართლებრივ სახელმწიფოში. ერთის მხრივ, ის უზრუნველყოფს იმ მექანიზმის ფუნქციონირებას, რომელიც ხელს უშლის სხვა ხელისუფლებების ჩარევას, მეორეს მხრივ კი — მოქალაქის სარჩელის მიღებაზე, ან მოქალაქეებს შორის კონფლიქტის გადაჭრაზე უარის შემთხვევა-



ში შეიძლება თვითონ შეუქმნას საფრთხე ადამიანის ინტერესებს და ამ უკანასკნელს შეიძლება დასჭირდეს მისი უფლებების დამცველი გან დაცვა.

მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და სასამართლოს კანონიერება. სამართლებრივ სახელმწიფოში მართლმსაჯულების აღსრულების პირველი და ფუნდამენტური წინაპირობა — მოსამართლეებისა და სასამართლოების დამოუკიდებლობაა. ეს დამოუკიდებლობა ვრცელდება როგორც მოსამართლის საქმიანობის სფეროზე, ასევე მის პიროვნებაზე. არც სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან, არც სასამართლო სისტემის მხრიდან და არც საზოგადოების მხრიდან არ შეიძლება და არც უნდა არსებობდეს რაიმე ჩარევა კონკრეტული სასამართლო გადაწყვეტილების მიღებაში. გფრ-ში, მაგალითად, სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ კასაციას ექვემდებარება. მაშინ, როდესაც მოსამართლე არ ექვემდებარება ზემდგომ სასამართლო ინსტანციებს და არ არის მათ წინაშე პასუხისმგებელი. მაგრამ მოსამართლის სრული დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად საჭიროა კიდევ მისი პირადი დამოუკიდებლობა. აქ დაფიქრებას მოითხოვს როგორც მისი თანამდებობაზე ყოფნის ვადა — როგორც წესი, მხოლოდ სამისდღეშიო დანიშვნა იძლევა მოსამართლის სრული დამოუკიდებლობის გარანტიას, — ასევე მისი მატერიალური უზრუნველყოფა — მოსამართლეს, რომელიც იძულებულია სხვა ხელისუფლების წინაშე მთხოვნელის როლში გამოვიდეს, ეჭვს გარეშეა, მისგან დამოუკიდებლობა შეინარჩუნოს. ამასთან საჭიროა გავფანტოთ მითი იმის შესახებ, რომ მოსამართლის დამოუკიდებლობას მისი პირადი თვისებები განაპირობებენ; პირიქით, თუ მოსამართლის დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილ იქნება ორივე აღნიშნული აზრის შესაბამისად, მაშინ მართლმსაჯულებაც დამოუკიდებელი იქნება თვით მოსამართლის ნებისმიერი პირადი თვისებების მიუხედავად. სხვათა შორის, ახალი საბჭოთა კანონი მოსამართლეთა სტატუსის შესახებ, რომელიც ამ თანამდებობაზე ყოფნას 10 წლით ითვალისწინებს, ამ თვალსაზრისით საკმარისი როლია.

დამოუკიდებლობის პრინციპს სამართლებრივ სახელმწიფოში ემატება სასამართლოს კანონიერების პრინციპი, რომლის თანახმადაც, ნებისმიერი საკითხების განსჯადობა უნდა განისაზღვროს კანონით აბსტრაქტულ დონეზე (გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საქმეთა ისეთი განაწილება, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოს სამსჯავროს წევრთა პიროვნულ მახასიათებლებს, გზას უხსნის სხვადასხვა მანიპულაციებს), აგრეთვე სავანგებო სასამართლოების (საბჭოთა ხალხისთვის ცნობილი „სამეულები“, ოცო და სხვა) აკრძალვით.

უფლებათა დაცვა. როცა სასამართლოს განვიხილავთ როგორც მოქალაქეთა უფლებების დაცვის ორგანოს, შეიძლება მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ დასაცავი უფლებების ძირითად მოცულობას განსაზღვრავს კანონმდებელი, რომელიც პროცესუალურ კანონში წარმოადგენს ან არ წარმოადგენს სასამართლოს მისაწვდომობას. მაგრამ კანონმდებლის „მოწყალებით“ უფლებების დაცვის განხორციელება ეწინააღმდეგება უფლებების კონცეფციას და არ უწყობს ხელს მართლმსაჯულების, როგორც საკონტროლო მექანიზმის ეფექტიანობას ნაკლოვანებების შესახებ ადგილიდან მიღებული ინფორმაციის გარეშე, — ასეთ ინფორმაციას კი მოქალაქის ნებისმიერი დასაბუთებული სარჩელი შეიცავს, სისტემას არ შეუძლია კონტროლის ფუნქციის განხორციელება. ამიტომაც საჭიროა სასამართლოს საყოველთაო მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

რომელიც გარკვეულწილად დამოუკიდებელია კონკრეტული პროცესუალური კანონისაგან. ამ მიზეზით გფრ-ის კონსტიტუცია შეიცავს ძალიან მნიშვნელოვან მუხლს (მუხ. 19, IV ნაწ.), რომელსაც დასავლეთ-გერმანული იურიდიული თეორია სამართლებრივი სახელმწიფოს გვირგვინად თვლის. ამ მუხლის თანახმად, მოქალაქის უფლებათა დარღვევის შემთხვევაში, მას — სხვა პროცესუალურ შესაძლებლობათა უქონლობისას — შეუძლია მიმართოს ჩვეულებრივ სამართალწარმოებას.

პროცედურა. კანონით მოუწესრიგებელი პროცედურების მნიშვნელობას უკვე გაესვა ხაზი სხვა ხელისუფლებისადმი მიძღვნილ თავებში. მართლმსაჯულების სისტემაში საპროცედურო წესები განსაკუთრებით მკაცრად მოქმედებს: პრაქტიკულად მათ ნებისმიერ დარღვევას (კერძოდ, სასამართლოში მხარეთა მოსმენის პრინციპს) თან სდევს გადაწყვეტილების ბათილობა, რამდენადაც მოქალაქის სხვა სახელმწიფო ძალაუფლებისაგან და თვით მართლმსაჯულებისაგან (სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ) ოპტიმალური დაცვის პრინციპი მხოლოდ წყალობის იმედიტლა რჩება; დაცვის სხვაგვარი სამართლებრივი ფორმები უკვე აღარ არის.

დ) სამართლებრივი სახელმწიფო და ხელისუფლებათა დაყოფა. ჩვენი მიმოხილვის მიზანია დავაკონკრეტოთ სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია ცალკეულ ხელისუფლებებთან მიმართებაში. ზოგადი სახით ეს ნიშნავს, რომ სამართლებრივი სისტემა განსაზღვრავს თითოეული ხელისუფლების საზღვრებს და მისი კომპეტენციის ფარგლებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლაპარაკია იმაზე, თუ საბოლოო ჯამში ვინ წყვეტს მოცემულ საკითხს. რასაკვირველია, მოცემული დახასიათება ვერ მოიცავს ცალკეული ხელისუფლებების რთულ ურთიერთდამოკიდებულებებს სამართლებრივ სისტემაში. კლასიკური თეორია მას განსაზღვრავს როგორც „კონტროლის და წონასწორობის“ (checks and balances) სისტემას; მაგრამ ეს ფორმა ძალზე ლაბილარულია. უნდა აღინიშნოს, რომ თითოეულ ხელისუფლებას გააჩნია საკუთარი სფერო, რომელიც სხვა ხელისუფლებებისათვის დახშულია, მაგრამ არსებობს ამ სფეროს მონათესავე დარგები, რომლებზეც სხვა ხელისუფლებათა მოქმედება და კომპეტენცია ვრცელდება. სწორედ „საკუთარის“ და „ერთობლივის“ ეს პარალელურობა უზრუნველყოფს ცალკეული ხელისუფლებების არსებობას და მათ წონასწორობას — სხვაგვარად რომ ვთქვათ, — მათ „მოშინაურობას“ (რასაკვირველია, შეფარდებით) მოქალაქის მიერ.

8. სამართლებრივი სახელმწიფოს „ფარული“ წინაპირობები

ზემოთ აღინიშნა, რომ ხელისუფლებათა გაყოფის პრინციპი ერთგვარ საფუძველს — თავისებურ ფუნდამენტს ემყარება, რომელიც მთელ სისტემას იჭერს. ჩვენ ამას „ფარული“ წინაპირობები ვუწოდებთ. „ფარული“ იმიტომ რომ როგორც წესი, კონკრეტული საკითხების გადაჭრისას ისინი არ გვევლინებიან იურისტის ცნობიერების ზედაპირზე. მიუხედავად ამისა „ფარული“ წინაპირობებს დიდი მნიშვნელობა აქვთ: ისინი აწესრიგებენ სამართლებრივ სახელმწიფოს სისტემას. აზრს სძენენ მის ცალკეულ ელემენტებს.

კანონების, სამართლებრივი ნორმების არსებობა. სამართლებრივი სახელმწიფოს პირველი წინაპირობა კანონების და სხვა სამართლებრივი ნორმების

არსებობაა; სამართლებრივი სახელმწიფოს მოვალეობას შეადგენს სათანადო სამართლებრივი აქტების გამოცემა. ცხადია, მთავარია არა თავისთავად ნების, — არამედ საჭირო კანონების გამოცემა: ან იმიტომ, რომ ასეთი დევი კონსტიტუციით, ანდა იმიტომ, რომ ასეთია სოციალური სინამდვილის მოთხოვნები. სწორედ ეს გულისხმობს ისეთი მექანიზმის არსებობას, რომელიც სახელმწიფოს ამ მოვალეობის შესრულებისაკენ უბიძგებს. აქ ორი გზაა. პირველი, მიეცეს მოქალაქეს, ორგანიზაციას ან სახელმწიფო ორგანოს შესაძლებლობა სარჩელი წაუყენოს უკანონობის ან უმოქმედობის ანტიკონსტიტუციურობის გამო. მეორე, სასამართლო სამართალშემოქმედების კანონიერების ცნობა (ნებისმიერი სასამართლოდან გამომდინარე) იმ შემთხვევაში, როდესაც საჭირო საკანონმდებლო ნორმა არ არსებობს. აღვნიშნავთ, რომ გფრ-ის სამართლებრივმა სისტემამ ორივე გზა იცის.

არასამართლო მიერ ქმედებათა შედეგების გარდუვალობის პრინციპი. ნებისმიერი სამართლებრივი სისტემა აწყდება იმას, რომ კანონის სხვადასხვა დარღვევის არსი ერთი და იგივე არ არის: შეცდომები შეიძლება იყოს მძიმე და სრულიად უმნიშვნელო. იქ, სადაც არ არის სამართლებრივი სანქციების შემუშავებული სისტემა (მაგალითად, ადმინისტრაციულ სამართალში, სადაც სამართლებრივი აქტი შეიძლება იყოს ან მოქმედი, ან ბათილი), დაუყოვნებლივ წამოიჭრება კითხვა — აქვს თუ არა აზრი მცირე შეცდომის მიმართ სერიოზული სანქციის გამოყენებას? პრინციპში, ასეთი კითხვა გამართლებულია, მაგრამ მხოლოდ მთავარი წესის შეგნებისას: ნებისმიერ სამართლებრივ შეცდომას, ე. ი. კანონის დარღვევას, ყოველთვის უნდა ჰქონდეს შედეგები (მაგალითად, სანქციების ან ზარალის ანაზღაურების სახით). ვინც ამ პრინციპული წესიდან გამონაკლისის დაშვებას მოითხოვს, მან უნდა დაასაბუთოს ეს.

პროფილაქტიკა თუ რეპრესია. სამართლებრივი სისტემა არსებითად ორ მიდგომას იცნობს სამართალდარღვევისადმი. ერთის მხრივ, შეიძლება შეგვეცადოთ. თავიდან ავიცილოთ იგი. მეორეს მხრივ, შეიძლება მასზე რეაგირება ნორმის აღდგენით ან სანქციით. მაგრამ აქ საჭიროა გვახსოვდეს ერთი პარადოქსი: რაც უფრო ნაკლებ ამოცანას დავისახავთ, მით უფრო მეტი შედეგების მიღწევა შეგვიძლია. რასაკვირველია, ფრიად სასურველია, რომ საერთოდ არ არსებობდეს სამართალდარღვევები არც სახელმწიფოს და არც მოქალაქის მხრივ, მაგრამ პრაქტიკაში ნებისმიერი სამართლებრივი სახელმწიფო აწყდება და წააწყდება სამართალდარღვევებს. ამიტომაც, მთელი ძალების კონცენტრაცია პროფილაქტიკაზე — გარკვეული აზრით უტოპიური მიდგომაა. იდეალური საზოგადოებისა და შეუცდომელი სამართლებრივი სისტემის შესაძლო არსებობიდან გამომდინარე. თანამედროვე პირობებში კი ასეთი უტოპიური მიზნის მიღწევისაკენ სწრაფვას მხოლოდ ის მოსდევს, რომ პროფილაქტიკის მექანიზმები, როგორც უნდობლობაზე დაყრდნობილი მექანიზმები, ხელყოფენ თავისუფლებას. გარდა ამისა, პროფილაქტიკით გატაცება შეიძლება გადაიზარდოს მართლწესრიგის რეპრესიული ფუნქციების უგულვებელყოფაში. რის შედეგადაც მოქალაქე დაცვის გარეშე დარჩება. საბჭოთა სამართლებრივი სისტემა წარმოადგენს პროფილაქტიკის მხარეს გადახრის მაგალითს, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

ქმედებები და ინტერესები. სამართლებრივი სახელმწიფო არ წარმოადგენს მუდმივ ძრავას. თავისი ფუნქციონირებისათვის სამართლებრივ სისტემას ესა-


პირობა „ენერჯია“. ციკლს „ნორმა — ნორმისდარღვევა — ინფორმაცია დარღვევის შესახებ — დარღვეული ნორმის აღდგენა“ სჭირდება მართლწესრიგის აღდგენის სტიმული. ყოველდღიური გამოცდილება, აგრეთვე სოციოლოგიური და ეკონომიკური გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ ყველაზე ძლიერ იმპულსს იძლევიან ისინი, ვისთვისაც ეს ხელსაყრელია, ე. ი. ისინი, ვისი უფლებებიც შეილახა დაშვებული დარღვევის შედეგად. ამრიგად, სამართლებრივი სისტემა საკმაო ენერჯიით მაშინ მომარაგდება თუ მოქმედების (სარჩელის აღძვრის, საკონტროლო პროცედურების) შესაძლებლობა მიეცემა მათ, ვინც ამაში დაინტერესებულია და ვისაც ეს ხელს აძლევს. მოქმედებისა და ინტერესის შეზამება უზრუნველყოფს სამართლებრივი სისტემის ენერგეტიკულ მომარაგებას; ეს არის სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი „ჩუმი“ წინაპირობა.

4. სამართლებრივი სახელმწიფოს ფიქციაზი

იურიდიულ თეორიაში ფიქცია გაიაზრება როგორც ვარაუდი, რომელიც ფაქტებს არ ემყარება. ჩვეულებრივ, ფიქციები გვხვდება სამოქალაქო სამართალში, თუმცა თავისი ფიქციები სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციისაც გააჩნია. აი, ერთი მაგალითი. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ სამართლებრივ მოდელში პიროვნების თავისუფლება ძირითად, პირველად ცნებას წარმოადგენს, ხოლო სახელმწიფოს, საზოგადოების კომპეტენცია, ე. ი. საზოგადოებრივი ინტერესები — მეორადს. ისტორიულ სინამდვილეში საქმე ამგვარად სულაც არ იყო. ფილოსოფიური ანთროპოლოგიიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ ისტორიულად პირველად იყო სწორედ პიროვნების სოციალური ინტეგრირება, ხოლო მისი თავისუფლება მეორად პროდუქტს წარმოადგენდა. ამგვარად, ლოგიკას ეფუძნება თავისუფლების მრავალრიცხოვანი კანონზომიერი შელახვა საზოგადოებრივი ინტერესებისათვის. გასაგები ხდება, რომ თავისუფლების იურიდიული გაგება მის რეალურ სტატუსს არ შეესაბამება, რომ ეს ფიქციაა. რით აიხსნება ასეთი აშკარა ულოგიკობა? აზრი ნათელია: პირველადი თავისუფლების ფიქციის საფუძველზე ნებისმიერი ჩარევის დასაბუთების ტვირთი აწევს სახელმწიფოს და საზოგადოებას, რითაც მიიღწევა უკეთესი წონასწორობა ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის. ასე ემსახურება ფიქცია სოციუმის და სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობას.

ფიქციების ჩამონათვალი ამით არ შემოიფარგლება. კიდევ ერთი მაგალითი: სამართალმცოდნეობაში მიღებულია ფრანგული გამოთქმა „მოსამართლე კანონის ბაგეა“. ის იყენებს მხოლოდ იმას, რაც კანონშია, და არ შეუძლია მასში არარსებული დებულებების განმარტება. მაგრამ სინამდვილეში, როგორც ემპირიული კვლევები გვიჩვენებს, ნორმების, მათ შორის იურიდიულის, ნებისმიერი გამოყენება სოციალურ სინამდვილეში სხვაგვარად ხდება: დაინტერესებულ მონაწილეებს შორის მიმიდინარეობს კონკრეტული გადაწყვეტილების და შესაბამისად თვით ნორმის (კანონის) შინაარსის „განხილვა“ (მოგვარება). ეს, რასაკვირველია, საბჭოურ სამართლებრივ სისტემასაც ეხება, მიუხედავად მოსამართლის გაცილებით უფრო ნაკლები დამოუკიდებლობისა. ჩვენს წინაშე კვლავ ფიქციაა, რომლის აზრიც ისაა, რომ მაქსიმალურად „მიაჯაჭვოს“ მოსამართლე კანონს და ამით უზრუნველყოს მისი სათანადო ნეიტრალურობა.

ამრიგად, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩვენს მიერ განხილული ფიქციები რეალობად იქცევა.



* * *

სამართლებრივ სახელმწიფოზე ანალიტიკური თვალის გადავლება ამჟღავნებს ელემენტების საკმაოდ რთულ ურთიერთდამოკიდებულებას სხვადასხვა დონეზე. ზაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დასახული კონცეფცია გენერალურ გეგმას წააგავს: მასში დასაშვებია ზოგიერთი გადახვევა, მაგრამ არსის შეცვლა არ შეიძლება. მთავარი კი მდგომარეობს იმაში, რომ არ უნდა დავივიწყოთ სამართლებრივი სახელმწიფოს მიზანი: სახელმწიფო თავისთვის კი არ უნდა იყოს სამართლებრივი, არამედ იმისათვის, რომ უზრუნველყოს პიროვნების და საზოგადოების — სწორედ ასეთი თანმიმდევრობით — კეთილდღეობა და დოვლათიანობა.

თარგმნა ირაკლი წიკლაშვილი.



© „სამართალი“, 1991 წ.

რედაქციის მისამართი: 280110, თბილისი, ჭავჭავაძის ალმაზუნახლის კრ. 108.

ტელ: 95-88-49, 95-58-87

გადაეცა წარმოებას 8.02.91 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.03.91 წ.

ფორმატი 70×108¹/₁₆, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7, სააღრიცხვო-სავაგომცემლო თაბახი 6,5, შეკვ. № 300, ტირაჟი 10.000.

საქართველოს ყურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა, 380009, თბილისი, მ. კოსტავას, 14.

«САМАРТАЛИ» («ПРАВО») (на грузинском языке). Ежемесячный научно-практический журнал Союза юристов Республики Грузия.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Давида Агмашенебели, 103, тел.: 95-88-49; 95-58-87.

Типография журнально-газетного издательства Грузии «Самшобло»,
380009, Тбилиси, ул. М. Костава, 14.

ფანო 1 336.

ინფორმაცია 76185



210/91

სფ6/2